

652/1
1965/3



მუსიკური

საქართველო

19665



అంగ్లాంగ్లికాన్

కృష్ణ

సంపాదకామాలు-మొత్తమైణి కు
సాంకేతికాలయితరి - కాంపానీలు

శశికాలం

సాంకేతికాలయితరి మార్కెటింగ్
క్రాచిల్డ్ ఆపారులు
బాయిల్ బిల్లేజిస్ మార్కెట్

పునర్విష్టాలు

9792

6

1965

మోహన్
రోహన్

క. వాటామాపి — ల్యేస్టో	3
భాసిపి — గ్లోబి లా గ్లోగ్జూర్ ఫిల్మ్స్ బో (ఫోటోఫిల్మ్ క్రొమ్ మాటల్రోమ్, గ్లోబో)	5
శ. భాసిపి — డ్రెసిస్ సార్క్రెప్లాంటా (ల్యేస్టో)	25
ఔ. రమిపి — డ్రెడా (నాచ్యువోటి పోసిండా)	27
ఎ. బౌషారిపి — ఔర్కో సొంబ్రో (ల్యేస్టో)	37
అ. ఆసాటిపాసి — గోప్తిస్ క్రేష్ణ్ బో (మాటల్రోమ్)	39
ఖ. చింపిపి — ఆపారులు మింబిండా (ల్యేస్టో)	59
ఒ. ఇం మంకాసాసి — చ్యూటిసోఫ్ట్‌వేర్ (మాటల్రో, గ్లోబోల్వో)	60

ప్రాణికాలా

శ. క్రమిసారమ్మా — నొక్కుస్పో లా సాఫ్ట్‌వర్స్ బోల్వో	
భ. మాంచిపిపి — ల్వాష్టా క్రొమ్ మాటల్రో	



అనుసారమైన పునర్విష్టాలు-మొత్తమైణి కు
సాంకేతికాలయితరి మార్కెటింగ్

პრატის წარსულიდან

პ. ცხვიტარიბა — თვითმპყრობელობის	
წინააღმდეგ გმირული ბრძოლის	
ისტორიიდან	88
პ. გაგამისონიბა — აჭარის მუსიკალური	
საზოგადოება	91
 შურრალ „ლიტერატურული აჭარის“	
1965 წლის ნომრების შინაარსი	94

რედაქტორი შოთა ქურიძე

სარედაქტო ორგანიზაცია:

ნ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, მ. ვარშანიძე (3/მგ. მდივანი),

პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გოგებაშვილის ქ. № 24.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, 3/მგ. მდივანის — 33-72.

ԵՐԵՎԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

લ જ એ મ દ ર મ લ

ହେମ ସାନ୍ଦ୍ରାରତ୍ନ, ହେମ ସାଙ୍ଗନକ,
ହେମ ମଞ୍ଜାନ୍ତ ଦାଳନ, ସାଫାରିତପ୍ରେଲିଂସ ହେମ,
ତୁ ଯେହ ପିରାଟିପ୍ରେଲିଂସ, ପିଲାଦା ଡାଙ୍ଗନକ,
ସାନ୍ଦ୍ରା ଡାଙ୍ଗିମାରକ, ଖଣ୍ଡନ ମନ୍ଦିରପ୍ରେନାନ୍ତ?
ଥିଲାମ, ଲୁର୍ଖାନ ଥିଲାମ,
ପାମ, ଫିନିରିଦା ପାମ,
ଅନ୍ଧରେ ଶୁଷ୍କପାରିଶିଲ୍ପ ଗାନ୍ଦା ଗିନ୍ଦିଶ୍ରେ ଡାଙ୍ଗନ୍ଦିଶ୍ରେ?
ମିଠାପ ଫିଲ୍ଡେବିଲ୍ଲିଂ, ହେମ ସାଲାପାମ,
ଶେନ୍କ୍ରେ ଅମାନଟେ ଲା ଶେନ୍କ୍ରେ ଲାମାନ୍ଦିଲ୍ଲେବ!

გუნდი მერავნა...

დღეები, როგორც წეროები, სადღაც მცხრიან,
დავგარე ყრმობა და ფიქრებმა არ დამაძინა...
აგრე პატარამ დამიძახა გუშინ „ბიძია“,
დამიძახა და გული მატეინა...
რაღაც სიძმიმე ვიგრძენი და სევდამ გამთელა,
წლებმა ჩემშიაც შური იძია.
აგრე შემომხვდა პაწაწინა ციცინათელა
და შემეკითხა: — რა დრო არის, ჩემთ ბიძია?
საათს დავხედე, ვუპასუხე: — რა დრო გასულა,
ჩემს თმაში უკვე ვერცხლლისფერი ძაფები
ბრწყინვას.
ნაზად შემხედა სველ თვალებში ცელქმა ასულმა
ალბათ, სულელი თუ ვეგონე და გაეცინა.
დაფიქრებული გზას გავუდევ და გულნატკენი;

პატარა გოგო წინ გაფრინდა, ჩიტი ღაბუა...
 მალე გაივლის კიდევ წლები, წლები რამდენი
 და ვიღაც მეტყვის: — ჩემო ბაბუა.
 და ეს იქნება საფეხური უკანასკნელი,
 ბავშვობა, ყრმობა, სიჭაბუე, სიბერე ძნელი.
 და დაფლეთილი დღეები, ვით წიგნის ფურცლები...
 და გული მხოლოდ,
 და გული მხოლოდ,
 გულია უცვლელი.

ა ს ე ი ტ უ ვ ი ნ... .

ასე იტყვიან, ლამაზი ვნახე —
 ულამაზოზე არავინ მღერის.
 სილმაზეა თვალების მახე,
 გონიერება — დიდება ერის.
 იყო ლამაზი, ეს როდი ნიშნავს
 ბედნიერი ხარ, დაგიკრან ტაში.
 ახალგაზრდა ხარ, დღეს არა
 გიშავს,
 ხვალ გახუნდები, ცოდვა ხარ მაშინ.
 თვალებს შეავლებ გატეხილ სურას
 და მეგობრები შეგხვდება ცივად.
 ნახავ ალბომში ვარდისფერ
 სურათს,
 დააწვიმდება ცრემლების წვიმა.
 და გინდა გქონდეს ოჯახი დიდი

და გემრიელი და ტებილი ლუკმა...
 მაგრამ ცხოვრება ლალი და
 მშვიდი,
 არ დააფასე, გაფლანგე უქმად.
 ახლა, გაივლი სანაპიროზე
 და ფიქრობ... მაგრამ არის გვიანი...
 უნდა გცოდნოდა შენ თავის
 დროზე,
 რომ ერთხელ ცხოვრობს აღამიანი...
 რომ შეუმჩნევლად სიტურფე
 ჭკნება,
 გინდაც სარკეში მუდამ იცქირო.
 ცხოვრება მარტო როდია ვნება,
 რომ გაფლანგო და კვლავ
 შეიძინო.



იური ბენიძე

გზები და გზაჯვარედინები

— ჩვენი მაგიდა გერმანულ ყაი-
დაზე კომპლექტდება, სუფრას კი
ქართულად წარვმართავთ, — ხუმ-
რობით განმიმარტა მანწყავამ.

— მევაბრებო! — განაგრძო
მან, მიმართა რა ყველას, — ჩვე-
ნი პოლკი შეივსო. თქვენს წინაშე
ანდრო ბოლქვაძეა. ვიდრე თორ-
მეტი საათი გახდებოდეს, შეგიძ-
ლიათ მისგან ინტერვიუ მიიღოთ.

დამხარეს შეკითხვები. ყველა-
ნი გაჩუმდნენ და სმენა მომაპყრეს.
მხოლოდ მეზობელ ბინებში ხმაუ-
რი მოგვაგონებდა, რომ ახალი წე-
ლი დგებოდა.

როცა ჩემი ჭიქა ავწიე, ვფიქრო-
ბდი: რას მოგვიტანდა ივი სამშობ-
ლოს მოწყვეტილ ამ ადამიანებს
და მე, მათი კომპანიის ახალ
წევრს?

... სასწავლებელში მოწყობა
შეუძლებელი აღმოჩნდა. არც სა-
მუშაოს მიღება იყო აღვილი. ამი-
ტომ როცა მღებავად ჩამრიცხეს
კონსორციუმ „სინემაში“, გამარ-

ჯვება ვიზეიმე. მაგრამ სიხარულ-
მა დიდხანს არ გასტანა. პარიზში
ჩამოსვლიდან ნახევარი წლის შემ-
დეგ დამთხოვეს, რადგან არ მქონ-
და სამუშაოზე მოწყობის სათანა-
დო ნებართვა. დავიწყე ახალი სა-
მუშაოს ძებნა. პირდაპირ ღატაუ-
რად ცეცოვრობდი. ვიღაცამ ამის
შესახებ უთხრა მენშევიკების პა-
რიზის სექციის თავმჯდომარე
უროტაძეს და მან მომაწყო ლე-
ვილში, პატარა სოფელში ორლეა-
ნის გზაზე, პარიზიდან 26 კილო-
მეტრზე. აქ იყო მამული, რომე-
ლიც უორდანიამ იყიდა საქართვე-
ლოდან წამოლებული ოქროებით.
ამ მამულში ცეცოვრობდა ემიგრან-
ტების ნაწილი.

მე გამომიყვეს პატარა ნაკვეთი
და უბრალო გლეხივით ვმუშაობ-
დი. სორბონის მაგივრად ცეცივ-
ლობდი პამიდორისა და წიწმატის
მოყვანას.

მანწყავას მეოხებით შევედი
ემიგრანტი ახალგაზრდების ის
ჯგუფში, რომელიც ოპოზიციურად

* გაგრძელება: იხ. „ლიტ. აქარა“, № 5.

იყო განწყობილი უორდანიას მი-
მართ. და თუმცა მასზე გული გაგ-
ვიტყდა, ჩვენ მაინც ვერ ვხვდებო-
დით, რომ მენშევიზმი, როგორც
ასეთი, განწირული იყო. ჩვენ გვე-
გონა, რომ შეიძლებოდა მისი „შე-
კეთება“, თუ ამას ხელს მოჰკა-
დებდნენ ახალგაზრდა სოციალ-
დემოკრატები.

კრებებზე უორდანიას ჯგუფის
წინააღმდეგ რომ გამოვდიოდით,
ჩვენ თანდათან გავიჩინეთ მომ-
ხრები. მათი სახესრებით შევქე-
ლით გამოგვეშა გაზეთ „ახალ-
გაზრდა სოციალ-დემოკრატის“
რამდენიმე ნომერი. უორდანიას
მომხრე ახალგაზრდების ჯგუფმაც
მაშინვე დაიწყო ამავე სახელში-
დების გაზეთის გამოშვება. ცოტა
ხნის შემდეგ კი ერთიც დახურეს
და მეორეც, რადგან ასეთი პრაქ-
ტიკა ეწინააღმდეგებოდა საფრან-
გეთის კანონებს.

ემიგრაციაში სხვადასხვა ჯგუ-
ფის ბრძოლა განსაკუთრებით ნათ-
ლად ჩანდა კრებებსა და კონ-
ფერენციებზე, როგორც მათ მა-
ლალფარდოვნად უწოდებდნენ
ხოლმე.

ამ თავურილობებზე რომ ასე თუ
ისე წარმოდგენა გქონდეთ, მო-
გითხრობთ ერთ-ერთის შესახებ.

კონფერენციის დაწყების წინ
სამანდატო კომისიის სხდომაზე
მოვიდა უორდანია და, რომ გაიგო,
მისი ჯგუფი უმცირესობას წარ-
მოადგენდა, სწრაფად დაიხია
უკან: ავადმყოფ შვილთან —
რეჭებთან გამომიძახესო. დელეგა-
ტებმა თავი მოიყარეს, მაგრამ

უფორდანიოდ კონფერენციის დაწყე-
ბიან, ხალხს უგზავნიან, ცდილო-
ბებ მოიტყუონ, მაგრამ ამაოდ.
შვილის ავადმყოფობა, რასაკვირ-
ველია, სიცრუეა. „დელეგატები“
აღშფოთებული არიან, კამათობენ,
კიცხავენ, უცდიან ერთ დღეს, მეო-
რეს. კონფერენციის შენობა ხოშ-
გარკვეული ვადით დაიქირავეს,
მეწარმისაგან.

ბოლოს, მესამე დღეს შენობის
პატრონი — ფრანგი მოითხოვს:
დატოვეთ დარბაზი, სანამ პოლი-
ციას მოვაწვევდე.

ყველაზე მნიშვნელოვანი მოვ-
ლენა, რომელმაც იმ დროს ააღი-
ვა ქართული ემიგრაცია, ნოე რა-
მიშვილის მკვლელობა იყო. რას
არ ამბობდნენ მის შესახებ. გასა-
გალი ჰქონდა უორდანიას მტკიცე-
ბას, რომ მკვლელობა ბოლშევი-
კებმა წააქეშეს. მისმა წრემ აიტა-
ცა ეს ვერსია და გაჰკიონდნენ „მოს-
კოვის ხელშე“. სხვა ემიგრანტე-
ბი, რომლებიც მკვლელს იცნობ-
დნენ, სთვლიდნენ, რომ ეს, სულ
ცოტა, სასაცილო იყო.

რამიშვილის მკვლელს პარმენ
ჭანტუგაძეს მე არ ვიცნობდი. პა-
რიშში რომ ჩავედი, იგი უკვე და-
პატიმრებული იყო და სასამართ-
ლოს ელოდა. ამბობდნენ, რომ
წარმოშობით იგი სოფელ შემოქ-
მედიდან იყო, გურიიდან. მენე-
ვიკური მთავრობის დროს იყო
საექსპედიციო რაზმის უფროსი
და სასტიკად უსწორდებოდა რე-
ვოლუციურად განწყობილ გლე-

ხებს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი არალეგალურად მუშაობდა, ხოლო 1924 წლის მენშევიკური ავანტიურა რომ დამარცხდა, საფრანგეთში გაიქცა. იქ დიდხანს ვერ მონახა თავისი ადგილი, სულ უფრო და უფრო გაჭირვებულიდ ცხოვრობდადა საბოლოოდ გაბოროლდა.

მაგრამ საქმე, რასაკვირველია, ამაში არ იყო.

სოციალ-დემოკრატია (ასე ეძაბდნენ მაშინ მენშევიკებს) ლიდერები ცოტა ძალ-ღონეს როდი ხარჯავდნენ, რათა შეექმნათ მოჩვენებითი თანხმობა თავის ბანაკში. ამასვე მოითახოვდა მათგან პოლონეთის გენერალური შტაბი, რომელიც წერიალა ოქროებით აფინანსებდა სახლვარგარეთულ ბიუროს. მაგრამ ყოველი მეცადინეობა ამათ იყო. უპირველეს ყოვლისა ამას ხელს უშლიდა ნაციონალდემოკრატების მოქმედება. გიორგი გვაზავაძე, სპირიდონ კელიამ და ალექსანდრე ასათიანმა ამ პარტიაში შექმნეს თავისი ჯულიები, რომლებიც ებრძოდნენ ერთმანეთსაც და სოციალ-დემოკრატებსაც. ამ ბრძოლაში ჩაება, და აქტიურადაც, ფაშისტური ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“, რომელსაც თვითნებურად მოთავეობდა ლეო კერესელიძე. მეტოქეობის აზრი მდგომარეობდა ბრძოლაში ქართულ ემიგრაციაზე გავლენისა და უცხოეთის მთავრობებისა და მათი დაზვერვის წინაშე პრესტიუსათვის.

მემარჯვენე ელემენტების აზრით, უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო სოციალ-დემოკრატების, ე. ი. მენშევიკების დამარცხება, მათი ადგილის დაკავება და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გაჩაღებულიყო ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინაღმდეგ. მთავარი იქრიში მოიტანეს „შინაგანსაქმეთა მინისტრის“ ნოე რამიშვილის, როგორც მენშევიკების ყველაზე ენერგიული მოღვაწის, წინაღმდეგ. ამასთან ხანდახან პირდაპირ ამბობდნენ, რომ მენშევიკებზე გამარჯვება მხოლოდ მაშინ მოხერხდება, როცა ნოე რამიშვილი გაქრებათ.

თვით მენშევიკური პარტიის ბევრიც წევრიც ოპოზიციაში ედგა ხელმძღვანელობას, მაგრამ რამიშვილის ყველაზე აქტიური მოწინააღმდეგე იმ პერიოდში, რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს ეს, აღმოჩნდა ევგენი გეგეჭორი, რომელიც მასთან ერთად დიდხანს ეწეოდა უღელს. საქმე ის იყო, რომ გეგეჭორი, გარდა თავისი, როგორც ემიგრანტული მთავრობის წევრის, ოფიციალური საქმიანობისა, სხვადასხვა ბნელი საქმითაც იყო გართული. რამიშვილმა უსაყველურა გეგეჭორს გაუმაძღრობა და მეტის მეტი ანგარება. მაგრამ გეგეჭორი მიეჩვია ხელგაშლილ ცხოვრებას, არ ყოფნიდა მცირე ჯამაგირი და ამის გამო იძულებული იყო ფული სხვა გზიდ ეშოვა. ამ ფულს (არცთუ მცირეს!) გეგეჭორი უმ-

თავრესად იღებდა თავისი მეგობრის — ბაქოს დაშნაური ორგანიზაციისაგან სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრის — აჯამოვის შემწეობით. აჯამოვს პარიზში ჰქონდა „ინტერნაციონალური იურიდიული კანტორა“, რომელიც არაფერს არ თავილობდა. გეგე-ჭკორი ყველა ამ საქმეში უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა და პოლიტიკურ ასპარეზზე, ცხადია, დაშნაკთა ინტერესებს იცავდა. ამ ნიადაგზე დიდი კამათი ატყდა და რამიშვილმა და გეგე-ჭკორმა კინაღამ მუშტები დასცხეს ერთმანეთს. „მინისტრები“ გააშველეს. გაცეცხლებული გეგე-ჭკორი ყვიროდა, რამიშვილი მოსაკლავიაო.

მიუხედავად იმისა, რომ სხდომის ყველა მონაწილე გააფრთხილეს, ინცინდენტი არ გააჩმაუროთ, თვითონ გეგე-ჭკორმა გაამხილა იგი. ხმა სწრაფად გავრცელდა მთელ ქართულ კოლონიაში, განსაკუთრებით გულმოღვინეობინენ თეთრგიორგელები. ყველაფერი ეს კეთდებოდა გარკვეული მიზნით — დაერწმუნებინათ პარმენ ჭანუყვაძე მოქედინა თავდასხმა.

მართალია, ჭანუყვაძე დიდიხანია მზად იყო ამისათვის. იგი დაითხოვეს ქარხანა „პეტოდან“, ლარიბად ცხოვრობდა და ყველა თავის უბედურებაში ადანშაულებდა მენტერიკების სათავეში მდგომარ, განსაკუთრებით რამიშვილს. ერთხელ, ბიანკურში რომ

შეხვდა, პარმენმა ლანძლვა დაუწერა და მას გაცოლებულმა ასეთი შვილმა ქოლგა მოუქნია და უცბად ჭანუყვაძე გაიქცა. მას ვერ ეპატიებინა თავისი თავისათვის ასეთი შერცხვენა და სულ ფიქრობდა როგორ ეძია შური... ყველა ეს გარემოება გამოიყენეს და ჭანუყვაძე დაითანხმეს ჩაედინა მკვლელობა. მას აღუთქვეს, რომ თუ დააპატიმრებდნენ, ეყოლებოდა საიმედო დაცვა და, როგორც განმათავისუფლებელს, ყოველგვარი სიკეთით ავსებდნენ.

7 დეკემბერს ჭანუყვაძე ბრძოში იდგა იტალის მოედანზე, მეტროს გამოსასვლელთან. რამიშვილი ყოველ წუთს უნდა გამოჩენილიყო. იქვე მახლობლად, შესასვლელთან, იდგა ერთ-ერთი წამქეზებელი, თავგამოდებული თეთრგიორგელი მიხეილ კედია. მას უნდოდა დარწმუნებულიყო, როგორ მოხდებოდა ყოველივე ეს.

და აი „მსხვერპლი“ გამოჩნდა. გვერდით მოჰყვება სანდრო მენალიაშვილი. ისინი უკვე ხალხის ნაკადს შეერივნენ, უკვე ჩაუარეს ჭანუყვაძეს, მაგრამ ვერ შენიშნეს იგი. ნუთუ პარმენს შეეშინა? მაგრამ აი იგი მოწყდა ადგილს და ხალხში მიჰყვა მიმავალი ფიგურების კვალს. მერე პისტოლეტი ასწია და ზურგში ესროლა — ნოე რამიშვილი უხმოდ დაეცა ასფალტზე.

გასროლისთანავე რამიშვილის თანამგზავრი შებრუნდა და ხელი სტაცა მკვლელს.

პოლიცია... და ყველაფერი დამ-
თვრდა.

თეოტრგიორგელებმა მიზანს მია-
ღწიეს. დანამდვილებით ცნობი-
ლია, რომ მისმა ხელმძღვანელებ-
მა სპეციალური დადგენილება გა-
მოიტანეს ამ მკვლელობის შესა-
ხებ. მაშინ ისინი იყვნენ ადრეულ
„რომანტიკულ“ ხანში, როცა
ისეთ სახეს იღებდნენ, თითქოს
ამიშვილის მკვლელობა პოლი-
ტიკური მნიშვნელობის საქმე იყო.
კოლონიაში კი იმტუთშივე გაავ-
რცელეს ხმა, თითქოს ჭანუყვაძე
მოაშადეს საბჭოთა დაზვერვის
აგენტებმა. ეს ვერსია ყველასათ-
ვის მისაღები იყო, მათ შორის მე-
ნშევიცებისთვისაც.

ამით შეიძლებოდა ეს ინცი-
დენტი ამოწურულად ჩაგვეთვალა,
თუ არა ერთი გარემოება, რომე-
ლიც მე მიამზო მოკლულის დის-
ტულმა შალვა ბერიშვილმა. მას
ერთადერთს არ უნდოდა შერიგე-
ბოდა იმას, რომ ბიძამისის მკვლე-
ლობის ნამდვილი დამნაშავენი
გვერდით იმყოფებიან, ერთმა-
ნეთს ხვდებიან და თავს ისე იჭე-
რენ, თითქოს არაფერ შუაში
იყვნენ.

იგი გამოვიდა საზღვარგარეთუ-
ლი ბიუროს სხდომაზე და განა-
ცხადა, რომ საჭიროდ არ სთვლის
დაფაროს ნამდვილი მკვლელები.

რა აურ-ზაური შეიქნა! ზოგი
ვინმე შურისძიების შიშით დროე-
ბით გაიპარა პარიზიდან. ისევ გა-
ჩაღდა ვნებათა ცეცხლი, დაიწყო
ვირთხების ჯახირი. საქმეში ჩაე-
რია თვით ნოე ჭორდანია. მან

მიიწვია ამბოხებული დისტულ
და შეეცადა მის დარწმუნებას:

— საჭირო არ არის სიმართლე,
საჭირო არ არის ხმაური. ეს ავ-
ნებს მთელ ემიგრაციას. ეს საზია-
ნო ყველასათვის და შეურაც-
ხყოფს თვით ბიძის ხსოვნას.

ი როგორ შეატრიალა საქმე
ამ ცბიერმა მოხუცმა.. და დის-
ტულმა დათმო, ოღონდ იმ პი-
რობით, რომ ისინი, ვისაც ბრალი
მიუძღვის მკვლელობაში, წერი-
ლობით გამოთქვამდნენ სინანულს
მომხდარი ამბის გამო და ითხოვ-
დნენ პატიებას. და კიდევ: ისინი
არ გამოვიდოდნენ პროცესზე მათი
ნების აღმსრულებელ ჭანუყვაძის
სასარგებლოდ.

ასეთი ქაღალდი შეადგინეს.
თეოტრგიორგებმა „რაინდუ-
ლად“ შეასრულეს სიტყვა — არ
გამოვიდნენ პროცესზე და ამან
გაართულა დაცვის საქმე, რომე-
ლიც ცნობილმა ფრანგმა ადვო-
კატებმა — ანრი ტორესმა და
გაბრიელ დელატრმა იკისრეს.

გულმოკლულმა და წამქეზებე-
ლთა მიერ მოტყუებულმა ჭანუყ-
ვაძებ დაცვის თანხლებით დატოვა
„მართლმსაჯულების სასახლის“
პირქში შენობა. იგი გაგზავნეს
სამხრეთ საფრანგეთში, კლერმონ-
ფერანის საპატიმროში.

კითხვა ისმის: ვის სჭირდებოდა
მთელი ეს ხმაური? რა შეიცვალა
ემიგრაციის ცხოვრებაში? ვინ და
ვის რა დაუმტკიცეს? სრულიად
არაფერი. აფართხალდნენ მღვრიე
აუზში, ვიღაც წყალში ჩაახჩევს,

ვიღაც „აგურიდან“ გადააგდეს და
ისევ დაიწყეს ერთმანეთის კბენა.

ხოლო ამ ისტორიის ბოლო ასე-
თია:

რამდენიმე წლის შემდეგ ნოე
რამიშვილის შვილმა ბერძომ დედის
სახელზე ციხის ექიმის მეშვეობით
მიიღო ჭანუყვაძის წერილი. იგი
ინანიებდა. თავის საქციელს და
თხოულობდა ხელახლა დაკითხვის
შუამდგომლობას — მე ვიტყვი
სიმართლეს, ვინ გამგზავნა რამი-
შვილის მოსაკლავადო. მაგრამ არა-
ვის ასეთი შუამდგომლობა არ
აღუძრავს. მაშინ ჭანუყვაძე რე-
ლიგიურ ექსტაზს მიეცა, მოუშვა
წვერი და თავის საკანში მუხლო-
დრეკილი საათობით ლოცულობ-
და. ერთი წლის შემდეგ იგი გარ-
დაიცვალა.

„პრინც“ მდივნის პორტოლი

კინკლაობა და შარი ფლეთდა
ქართულ ემიგრაციას პარიზში.
პირველად ასეთი არასახაბიძელო
ვითარების მიზეზებში ვერ ვერ-
კვეოდი. მაგრამ რაც უფრო ჩამოთ-
რია ემიგრანტთა ცხოვრებამ, მით
უფრო ნათელი გახდა, რომ საბო-
ლოო ანგარიშით ჩხუბობდნენ იმ
შემოსავლიდან დიდი თანხის
ხელში მოსაგდებად, რომელსაც
სალარო იღებდა ბურუუაზიული
დაზვერვებისაგან. ეს შემოსავალი
რომ არ შემწყდარიყო, უნდა მოე-
ჩვენებინათ მაინც, თითქოს საზ-
ღვარგარეთული ბიურო აქტიუ-
რად და წარმატებით მოქმედებდა
საბჭოთა საქართველოს ტერიტო-

რიაზე. ლიდერები გულმოდვიწედული
ადგენლენენ ჯაშუშ-დივერსაციონის
შეგზავნის გეგმებს და რიგით ემი-
გრანტებს ხურდა ფულის როლს
აკისრებდნენ.

და მაინც, ფული არასოდეს არ
ყოფნიდათ. განწირულების გან-
წყობილება არ ტოვებდა სამშობ-
ლოდან ნებაყოფლობით გაძევე-
ბულებს.

და აი ერთხელ ერთმა ექსტრავა-
განტურმა მოვლენამ შესძრა მოე-
ლი ქართული კოლონია. გავ-
რცელდა ხმა, რომ გაქნილი ალექ-
სი მდივანი პირველ ცოლს გაეყა-
რა და მდიდარ ამერიკელ ქალს
ბარბარე ჰეტონს წინდავსო. ქალ-
წული ესე ეძებდა დიდგვაროვან
ლამაზ მეუღლეს. თითქოს ცუდი
არაფერია! შეიძლება გაიხარო
თანხმემამულის წარმატებით და
მოილხინო მდიდრულ ქორწილში!
მაგრამ აღმოჩნდნენ მეშურნენი,
რომლებმაც არ დააყოვნეს და ჰე-
ტონის მარიკო გააფრთხილეს,
შენი სასიძო სრულებითაც არ
არის დიდგვაროვანი, იგი მხოლოდ
და მხოლოდ ქეციანი წვრილი აზ-
ნაურია, ამასთან დიდი აფერის-
ტიო. ქორწინება კინაღამ ჩაი-
შალა.

მდივანი და მისი ნათესაობა
დატრიალდნენ, შეუდგენ ნოე
უორდანიას უახლოესი წრის გად-
მობირებას და ქორწინებაში დახმა-
რებისათვის აღუთქვეს, რომ შზი-
თევიდან დიდ თანხას შესწირავ-
დნენ ლეგაციის სალაროს.

ასეთი საქმეების დიდოსტატმა

ევგენი გეგეჭკორმა გაცხოველებული მუშაობა გააჩაღა.

უპირველეს ყოვლისა მდივნისათვის შექმნეს ახალი თანამდებობა. იგი გახდა ლეგაციის მეორე მდივანი. ამასთან დაკავშირებით მისი გვარი წინსართით „პრინცი“ გაჩნდა დიპლომატიური კორპუსის ცნობარში. ამ ცნობარს აკონტროლებდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო და, მაშასადამე, „პრინცი“ დაკანონდა.

გეგეჭკორის ხელმძღვანელობით გაჩნდა კიდევ ერთი დამაჯერებელი დოკუმენტი. ერეკლე მეორის ერთეული სიგელი, რომელიც მენშევიკების მიერ წაღებულ არქივში აღმოჩნდა, იწყებოდა სიტყვებით: „თავად სოლომონ ლეონიძეს — მდივანს“. ისარგებლეს რა იმით, რომ მდივანი ქართულად თანამდებობაც არის და გვარიც, ქველი სიგელის რუსულად თარგმნისას სიტყვა „მდივანი“ „სეკრეტარიად“ კი არ გადაიღეს, არამედ უცვლელად დატოვეს. ამის შედეგად წინადაღებამ რუსულად ასეთი სახე მიიღო: „თავად სოლომონ ლეონის-ძე მდივანს.“ რუსული ტექსტი გაიმეორეს ინგლისურ თარგმანში და ყალბი დოკუმენტიც მზად იყო. ხოლო ქართულ ჰერალდიკაში გაჩნდნენ ახალი თავადები — მითური სოლომონ მდივნის პირდაპირი შთამომავლები.

და აი მამიკო ჰეტონი ქალიშვილითურთ ჩამოდის პარიზში. უორდანია და მისი თანამება-

გრენი ისე ღელავენ, თითორობ უნდა განეხილათ უმნიშვნელოვანები სოციალური პრობლემები ან მათი მრავალტანჯული სამშობლოს განვითარების გზები. ნამდვილად კი?

ნამდვილად კი ყველანი სხედან გაცურებული ამერიკელი მილიონერის წინაშე და რიგ-რიგობით უმტკიცებენ მას მდივნის თავადურ წარმომადგრად რომელიც ვითომც სათავეს იღებს საღლაც ჭალარა მეთერთმეტე საუკუნეში.

— დიახ, მეფის დროს სასიძოს მამა სამხედრო მინისტრი იყო, — ამბობს ერთი, — თვითონ ალექსის კი, თავისი ბრწყინვალე ერუდიციის მეოხებით, მთელი ამ წლების მანძილზე უცვლელად უკავია ლეგაციის მეორე მდივნის პოსტი:

— და კიდევ, სიგელი, მეცე ერეკლეს სიგელი არ დაგავიწყდეთ...

— ეს ქორწინება უნდა გახდეს ამერიკასთან საქართველოს კავშირის სიმბოლო!..

სულ მთლად გულაჩუყებული მამიკო ჰეტონი, რომელსაც, ალბათ, არასოდეს წაუკითხავს არაკები, წამოღვა და ჯერ წვერიან მოხუცებს ეამბორა, მერე კი თვით სასიძოს.

— თქვენ, — მიმართა მან მდივანს და დიდი ამბით თქვა: — დაიპყარით ჩემი ქალიშვილის გული და მოიპვეთ ჩემი კეთილგანწყობილება.

ამის შემდეგ პარიზის გაზეთები

აჭრელდა ბარბარე პეტონისა და ალექსი მდივნის ფოტოსურათებით და ცნობებით ქორწილზე, რომელიც დანიშნული იყო პარიზის რუსულ კათედრალურ ტაძარში.

... ამ დღეს დარიუს ქუჩა აავსო ათასობით უსაქმურმა. ტაძრის ირგვლივ დაწყონ პოლიციის კორდონი. სტუმრებს მხოლოდ მოსაწვევი ბილეთებით უშვებენ. ელისეის პროსპექტის მხრიდან ზედიზედ მოჰკრიან ბრწყინვალე ავტომობილები. ისმის პარიზისა და უცხოეთის გაზეთების წარმომადგენელთა ფოტოაპარატების საკეტთა ჩხაკუნი.

ქორწილს ესწრება ემიგრაციის მთელი „ნალები“ უორდანიას, გეგმეკორის, ჩხერიელის მეთაურობით. მათ აცვიათ სპეციალურად ამის გამო შეკერილი, ლომბარდიდან გამოსყიდული ან ნაქირავები ფრაკები. ჭიშკრიდან ტაძრის შესასვლელამდე მოფენილია ხალიჩები. ორივე მხარეზე ჩამწკრივებულია საპატიო ყარაული — ჩერქეზულ ჩოხაში გამოწყობილი რჩეული ვაჟკაცები. პარიზელთათვის მართლაც დიდებული სანახაობაა!

ჯვარს სწერს რუსი მიტროპოლიტი ევლოგი, რომელსაც მოოქროვილი სამოსი აცვია. თანაშემწერა ქართველი მღვდელი ფერაძე, უწმიდესთა წინაშე ახალგაზრდა წყვილია — სამეფო კარისკაცის შოამომავალი და ამერიკელი „ხუთცენტიანი მაღაზიების მე-

ფის“ შვილიშვილი, რომელსაც დაიკავა. ქართული ჩიხტაკობი ახურავს. მაგრამ აი რა არის ყველაზე შესანიშნავი: მათ უკან, პირველ პლანზე დგას თეთრწვერანი მოხუცი — ყოფილი „საქართველოს სოციალისტური პრემიერი.“

დანი და აბრამოვიჩი, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია ახლა კი გამდიდრდა და მეორე ინტერნაციონალის ყველაზე შეძლებულ სექციად იქცევაო, სადღაც ბრძოში შურისაგან, ალბათ, გულზე სკდებოდნენ.

მაგრამ აი ჯვარისწერა დამთავრდა. ახალშეუღლებულნი ტოვებენ ტაძარს. ღროა შეისვას ჭიშები მათ პატივსაცემად. ყველანი ბანკეტზე მიისწრაფიან. და აქ უორდანიამ — ერთ-ერთმა პირველმა ორატორმა საბოლოოდ დაუმტკიცა მდივანს თავადის ტიტული. დიპლომატიური კორპუსისა და პრესის წარმომადგენელთა თანდასწრებით იგი მას უწინდებს „მონსინიორ“, ზუსტად ისევე, როგორც წინათ მიმართავდნენ მეფეზრი სისხლის პრინცებსა და ჰერცოგებს.

კირილემ, რომელიც თავის თავს რუსეთის მეფეს უწოდებდა, მდივანს გაუგზავნა მოწვევა, მინახულეთო.

განზე არ დარჩენილა არც თეთრგოორგელთა ბელადი ლეო კერუსელიძე, რომელსაც ალაპმა უწყის ვინ მისცა გენერლობა. იგი ნაწყენია, რომ არ გარიეს ქორ-

წილთან დაკავშირებულ თაღლი-
თურ მაქინაციებში. რომ არაფე-
რი ხვდეს პატარძლის მზითევი-
დან? საჭიროა დაკარგულის ანაზ-
ლურება. და მთელი ქართული
კოლონია გააოცა ცნობამ, რომ
„გენერალმა“ კერესელიძემ „თა-
ვადი“ ალექსი მდივნი დააჯილ-
დოვა თამარ მეფის ორდენით. რი-
სთვის? მისი ბრწყინვალების გან-
საკუთრებული დამსახურებისა-
თვის სამშობლოს წინაშე.

ყველანი ეკითხებოდნენ ერთ-
მანეთს, როდის და სად დააწესეს
ეს ორდენი. რატომდაც არავის
ახსოვდა ასეთი რამ. მაგრამ დე
ლმერთმა უშველოს! ხალისიან
საერთო ატმოსფეროში კერესე-
ლიძის საქციელს გულდამშვიდე-
ბით ხვდებიან. მთავარია, რომ ბი-
ზნესი ვაკეთდა!

ქართულ ემიგრაციას ჭრილო-
ბები ეს-ეს არის უხორცდება.
დავიწყებას ეძლევა კინკლაობა.
ერთი მეორეს დიღხანს თავს რომ
არ უქრავდნენ, ახლა ისევ ესალ-
მებიან ერთმანეთს და მსჯელობენ
ამასწინანდელ სასიხარულო ამ-
ბავზე. თვითეული გულში ფიქ-
რობს, რომ მასაც მოუწევს რა-
ღაცა.

მაგრამ ... ვაი, ვაი და ვა!

მდივანი მიდის საქორწილო
მოგზაურობაში. მდივანი საბო-
ლოოდ ტოვებს პარიზს.

რა სახალისოა იზრუნო ამ ჩა-
მოფლეთილ ბრბოზე, როცა ჯი-
ბეში გიდევს ამერიკელი სიმამრის
მილიონები. ლეგაციის სალაროს
გადაეცა რაღაც სრულიად უმნი-

შვნელო თანხა (რაც არ უნდა იყოს, მოხუცები მხარში ამოუდ-
გნენ გაჭირვების დროს!), ლეო-
კერესელიძეს ძლიერ უგულოდ
გადაუხადეს მხოლოდ ორდენის
საფასური.

მამიკოს თვითმფრინავში რომ
ადიოდა, „პრინცმა“ უკანასკნელი
ბრძნული ჩემევა მისცა საქციელ-
წამხდარ თანამემამულეებს:

— იცოდეთ, ოქროს კვერცხის
მოლოდინში ქათამი არ დაგვეკ-
რგოთ.

მაიდა გვირჩვინის ეგვლებით

ახალგაზრდა სოციალ-დემოკ-
რატების ჯგუფში მე დავუშეგობ-
რდი ემიგრანტ ედუარდ პაპავას.
ჯერ ჩვენ დაგვაახლოვა ერთნაირ-
მა დამოკიდებულებამ უორდანისა
ხელმძღვანელობისადმი, შემდეგ
კი საერთო უკმაყოფილებამ თვით
ახალგაზრდა სოციალ-დემოკრა-
ტების მყვირალა და უშინაარსო
საქმიანობით. ბევრ მათგანს არ
ჰქონდა მტკიცე შეხეძულება, იო-
ლად შედიოდა სხვადასხვა ემი-
გრანტულ ორგანიზაციაში და ასე-
ვე იოლად გამოდიოდა (სხვათა
შორის, ასევე იქცეოდა ბევრი
ჩვენგანიც!). სწორედ ამიტომ ახა-
ლგაზრდა სოციალ-დემოკრატების
ნაწილი თეორგიორგელების მხა-
რეზე გადავიდა, მათ შორის ედ-
უარდ პაპავაც.

ამ ემიგრანტულ ორგანიზაცია-
ზე უფრო დაწვრილებით უნდა
მოგითხოთ; მისი ძირითადი ნა-
წილი შემდგომ მჭიდროდ დაუკა-



ვწმირდა ნაციონალ-სოციალისტებს და პიტლერულ დაზვერვას. ამ ორგანიზაციის სახელწოდებას მისი ერთ-ერთი პირველი ხელმძღვანელი ლეო კერესელიძე ასე განმარტავდა:

„თეთრი გიორგი“ წმიდა, ნათელი გვირგვინის ემბლემას წარმოადგენს და გამოხატავს არა ვიწროპარტიულ, კლასობრივ ინტერესებს, არამედ მომდინარეობს ეროვნული ფსიქოლოგიით გაუდენილი გულის სილრმიდან“.

თეთრგიორგელთა პროგრამის მაღალლატარდოვნება და გაურკვევლობა კომპენსირდებოდა ყველა პარტიის ლიკვიდაციის პირდაპირი მოთხოვნით. ამ მოთხოვნამ ორგანიზაციაში მიიზიდა ის ემიგრანტები, რომლებიც უკვე დარწმუნდნენ მენშევიკების, სოციალ-ფედერალისტებისა და ნაციონალ - დემოკრატების გაკოტრებაში.

ყურადსალებია ლეო კერესელიძის ფიგურაც, რომელსაც ემიგრანტების ერთი ნაწილი გარიბალდის უწოდებდა, ხოლო მეორე — უბრალოდ ბანდიტს.

ახალმოვლენილი „ფიურერი“ საშუალოზე დაბალი იყო, ფართო მხარებჭიანი, ჰქონდა ძლიერ წინგამოწეული მკერდი და გრძელი ხელები. ბავშვობაში იგი ცხენიდან გადმოვარდნილა, ხერხემალი დაზინჯებია და კუზი გასჩენია. მელოტი თავი პირდაპირ მხრებზე ედგა. პირში მუდამ ინგლისური სიგარა ჰქონდა გაჩრილი.

საქართველოდან ემიგრაციაში დაიწყო რომ წავიდა, კერესელიძე საზღვარგარეთ ცუდად როდი ცხოვრობდა იმ უძრავი ქონების რენტით, რომელიც მის ცოლს ჰქონდა შვეიცარიაში. ამიტომ ფული არ აკლდა და ხარჯავდა მას პირველხარისხოვან რესტორანებში, სხვადასხვა გასართობ დაწესებულებაში. ამ საქმიანობისაგან თავისუფალ დროს იგი ახმარდა თეთრგიორგელთა ორგანიზაციას და წერდა „ნაშრომებს“ იურიდიულ და სამხედრო საკითხებზე.

„თეთრი გიორგის“ მეორე აქტიური მოღვაწე იყო ნორვეგიაში მენშევიკური მთავრობის ყოფილი დესპანი მიხაკო წერეთელი.

თეთრგიორგელთა საერთო პოლიტიკური კრედო ასეთი იყო: საქართველოს არ შეუძლია იარსებოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, იგი უნდა გახდეს რომელიმე ძლიერი ევროპული ქვეყნის კოლონია, ასეთი ქვეყანა კი, ცხადია, ფაშისტური გერმანია.

მაგრამ ვიდრე საბოლოოდ გადაბარგდებოდნენ პიტლერული რაიხის სამსახურში, „თეთრი გიორგის“ ხელმძღვანელები შერით უყურებდნენ, თუ როგორ იღებდნენ მენშევიკები სუბსიდიას კუნის ნური პოლონეთის დაზვერვაცხადან. საჭირო იყო ხელში ჩილოთ ინიციატივა.

ლ. კერესელიძემ მოიწვია ვიწული წრის — თეთრგიორგელთა წერმომაღენლებისა და რამდენრით ნაციონალ-დემოკრატის დახურება.

ლი სხდომა. ამ სხდომაზე განიხილეს მენშვეიკთა ლიკვიდაციისა და მათი ლეგაციის უსწრავესად დაპყრობის საკითხი. მაგრამ განა შეიძლებოდა საიდუმლოს შენახვა ასეთ არეულ გარემოში? მეორე დღესვე ლეგაციის შენობის წინ საფრანგეთის აღმინისტრაციმ თავისი დაცვა დააყენა. გეგმა ჩაიშალა.

მენშვეიკების ლიდერებს არაფერი უშლიდა ხელს საჭირო შემთხვევაში თეთრგიორგელები გამოეყენებინათ დამარბეველი აქციებისათვის ემიგრანტთა იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც საბჭოთა საქართველოს მზარდ წარმატებათა გავლენით გამოგზიშლებას იწყებდა და ზურგს აქცევდა თავის ბელადებს. ამას ნათლად მოწმობს ემიგრანტ გრიგოლ ვეზაპელის თავის დროზე გახმაურებული ისტორია.

საქართველოში აგვისტოს მენშვეიკური ავანტიურის დამარცხების შემდეგ პარიზელ ემიგრანტთა წრეში გაჩნდნენ ადამიანები, რომელთაც სურდათ გაეგოთ როგორი იყო საქმის ნამდვილი ვითარება სამშობლოში. ეს იოლი როდი იყო, რადგან გააფთრებული ანტისაბჭოთა კამპანია ერთი წუთითაც არ ცხრებოდა.

უცნაურია, მაგრამ ასეთ ემიგრანტთა შორის აღმოჩნდა უურნალისტი გრიგოლ ვეზაპელი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ნაციონალ-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი იყო.

ამ ფრისად ნიჭიერმა უურნალისტები ტრანსიტში დაიწყო გაზეთ „ახლო საქართველოს“ გამოცემა. მასში იბეჭდებოდა მასალები, რომლებიც ემიგრანტთა ინტერესს იწვევდნენ და აღუძრავდნენ მათ სამშობლოში დაბრუნების ბუნებრივ სურვილს.

ამან ძლიერ შეაშფოთა მენშვეიკთა მოთვენი, განსაკუთრებით შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ნოე რამიშვილი. იგი დაუინებით ეძებდა საშუალებას, რათა იძულებული გაეხადა ვეშაპელი უარეყო არჩეული გზა და ენა მუცელში ჩაეგდო. ას შედგა გეგმა სპეცტაკლისა, რომელშიც მთავარი როლი უნდა შეესრულებინათ თეთრგიორგელ ვეშაპატონებს, თვითონ რომ ეძებდნენ „საბრძოლო მოქმედების“ რამე საბაბს.

... ამ დღეს პარიზის მოედანი ორდეონი ჩვეულებრივად ცხოვრობდა.

აქ იყო კაფე „ვოლტერი“, სადაც ფინჯან ყავასა და სირჩა კონიაქზე ერთმანეთს ხვდებოდნენ აღვიკატები და ექიმები, ჟურნალისტები და სტუდენტები. აქვე იყო ორი დარბაზი, რომელსაც კაფეს მფლობელნი უთმობდნენ მომსვლელებს კრებებისა და დისკუსიებისათვის.

ერთხელ ერთ-ერთ ამ დარბაზში თავი მოიყარეს „ახლო საქართველოს“ მკითხველებმა რედაქტორ გრიგოლ ვეზაპელთან ერთად. ისინი შშვიდად საუბრობდნენ, რაც სრულებით არ ჰვავდა

ემიგრანტთა ჩევეულებრივ ხმაურიან ფორმებს, და ვერც კი შენიშვნეს, როგორ გაჩნდნენ მათ გვერდით მათივე თანამემამულენი — შეზარხოშებული „თეთრგიორგელები“ მიხეილ კედიას მეთაურობით.

— ოჯო, ბატონებო, აქ ბოლშევიკებს მოუყრიათ თავი! — თეატრალურად წამოიძახა მიხეილ კედიამ და ვეშაპელს მიუახლოვდა.

— მოსკოვის დირექტივებს განიხილავთ, ხომ? — და მან პატრონივით წაიღო ხელი პაპისაკენ, ვეშაპელის წინ რომ იდო.

— არამზადა! — მკაფიოდ თქვა გრიგოლმა და ძლიერმა დარტყმამ მაშინვე ძირს დასცა იგი.

ეს იყო სიგნალი. იმწუთშივე „თეთრგიორგელმა“ ვაჟატონებმა გადააყირავეს მაგიდები, ცემა დაუწყეს „ახალი საქართველოს“ მომხრეებს.

— ბატონებო, ბატონებო, რას სჩადიხართ! — კიოდა დიასახლისი, რომელმაც ხმაურზე მოირბინა.

მისი უფრო კეთილგონიერი მეულე, რომელსაც იმედი არ ჰქონდა, რომ მოჩხუბრები რაიმეს შეისმენდნენ, უკვე ტელეფონის აპარატისაკენ გარბოდა.

პოლიციის რაზმმა ცემა-ტყეპის ბოლოს მიუსწრო და დააპატიმრა როგორც თავდამსხმელები, ისე დაზარალებულნა მაგრამ ჩვეულებრივი აქმის შედგენისა და

სხვა ფორმალობათა დაცვის შედეგ ყველანი გაათვისულოს.

ვეშაპელი ფიქრობდა, რომ მოფაქტიო ვაჟატონებმა თავდასხმა მოაწყვეს საკუთარი ინიციატივით და მოელოდა, რომ ემიგრაციის ლიდერები ამის გამო თანაგრძნობას გამომიცხადებენ, „თეთრგიორგელებს“ მაინც გაკიცხავენ. მაგრამ ისინი არ მალავდნენ თავის ღვარძლს და ზეიმობდნენ.

მაშინ ვეშაპელმა, რომელმაც გულუბრყვილოდ დაიჯერა პარიზული თემიდას მიუკერძოებლობა, სასამართლოში უჩივლა თავდამსხმელებს.

როგორც ჩანს, მან არ გაითვალისწინა, რომ საფრანგეთის მთავრობის, სასამართლოსა და სხვა წრეებში დიდი იყო მტრობა ყოველივე საბჭოურისადმი, ხოლო სიმპათია — განსაზღვრული. ამასთან თვით ვეშაპელს უკვე სთვლილენ საბჭოთა ორიენტაციის მომხრედ.

ასეთ ვითარებაში მენშევიკებსა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებს შეეძლოთ სასამართლო პროცესი გამოეყენებინათ თავისი პროცესაციული მიზნებისათვის.

ამას მოწმობდა ის ფაქტიც, რომ პოლიციის მოხელეები, წესრიგი რომ დაამყარეს დარბეულ კაფე „ვოლტერში“, მხოლოდ ოქმის შედგენით დაკმაყოფილდნენ და არც კი გადაუციათ იგი პროკურატურისათვის.

მაგრამ საჩივარი შეტანილი

იყო და შეტაკების ყველა მონაწილე ელოდა სასამართლოს.

ეჭხადებოდა მისთვის ქამდე ჩრდილის შეფარებული დარბევის მთავარი დირიქორი ნ. რამიშვილიც. მან მტკიცედ გადაწყვიტა ჩამოცილებინა ვეშაპელი ანტისაბჭოთა ემიგრაციის გზიდან.

კონკრეტულ მოქმედებათა შესამუშავებლად მიიზიდეს შოთა ქარცივაძე, რომელიც მენშევიკების დავალებით ხელმძღვანელობდა დამრბევლებს კაფეში. ამ ვაჟატონს მსგავსი ბნელი საქმეების უდიდესი გამოცდილება ჰქონდა ჯერ კიდევ მენშევიკური საქართველოს დროიდან, როცა დაკისრებული ჰქონდა საგანგებო რაზმის უფროსის მექი კედიას — მიხეილ კედიას მამის — მესამე თანაშემწის მოვალეობა.

ქარცივაძის გეგმით ვეშაპელი უნდა მოეკლა ემიგრანტ ავთანდილ მერაბიშვილს. ამ საქმისათვის იგი შემთხვევით როდი შეაჩინეს.

ემიგრაციის მოთავენი მერაბიშვილს ბრალს სდებდნენ, რომ ბოლშევიკებს ემხრობოდა. და მათი მითითებებით მოქმედებდა. ნამდვილად კი ეს უკანასკნელი ყოველნაირად ცდილობდა მენშევიკური მთავრობისათვის დაეტკიცებინა თავისი ერთგულება.

მერაბიშვილის დარწმუნება ადვილი აღმოჩნდა. უთხრეს, რომ ეს ტერორისტული აქტი მისი ყველაზე უკეთესი „რეაბილიტაცია“ იქნებოდა.

2 „ლიტერატურული აჭარა“, № 6.

— თვითონ განსახე, — ჩატარებული ნებდა მას ქარცივაძე, პროკურორი ჩვენთან ერთად იჩუბდე კაფე „ვოლტერში“, თავის საჩივარში ვეშაპელი შენს გარდა ყველას გვასახელებს. რატომ, ა? მე კი მჯერა შენი, მაგრამ ხომ საჭიროა ყველას სჯეროდეს?

ამ საუბრის შემდეგ ქარცივაძე ერთ ნაბიჭეც არ სცილდებოდა მერაბიშვილს. გულითადი მეგობრებივით მათ ყველგან ერთად ხედავდნენ, თვით სასამართლოს დღემდე.

1926 წლის ზაფხულის დამდეგს, როგორც იქნა, პროცესი დაინიშნა. სამართალში მისცეს ნიკოლოზ დგებუაძე, მიხეილ კედია, შოთა ქარცივაძე, სიმონიკა ბერეჟიანი და სხვები. თავდამსხმელთა დასაცავად მენშევიკებმა მიიზიდეს მთელი ძალები, ვისთვისაც კი ზელსაყრელი იყო ეს. პროცესი. სათავეში იდგა „მძიმე არტილერია“ — საფრანგეთის რეაქციული კათოლიკური წრეები, რომელთა შორის გამოირჩეოდა ყოველდღიური კათოლიკური გაზეთის „პარიზის ექო“ რედაქტორის მოადგილე ანდრია პირენო. მან პრესაში მოაწყო ფართო ანტისაბჭოთა კამპანია, დაწყებული მონარქიული „აქსიონ ფრანსეზიდან“ დამთავრებული რადიკალური „ოვრით“.

დაცვის მოწმეებად პროცესზე გამოვიდნენ კათოლიკური ინსტიტუტის რექტორი კარიანალი ბოლდრიარი სასახლის სამსახურის გენე-



რალური შტაბის პოლკოვნიკი კო-
კი.

დაცვას წარმოადგენდა პარიზის
მოლური ადვოკატი, პარლამენტის
დეპუტატი ვიქტორ ბატია.

რა შეეძლო დაეპირისპირებინა
მათთვის ვეშაპელს, თუმცა მის
მხარეზე იყო ნიშიერი ადვოკატი
ანრი ტორესი? ყველაფერი ხომ
წინასწარ იყო გადაწყვეტილი. კა-
ფეს პატრონმაც კი სწორედ სასა-
მართლოში დაივიწყა ყველაფერი,
რაც მის საწარმოში მოხდა იმ
უკუღმართ დღეს!

სასამართლომ გამოიტანა განა-
ჩენი: თავდამსხმელები დაჯარიმ-
დნენ ერთი ფრანკით... ხმაურისა-
თვის საზოგადოებრივი თავშეყ-
რის ადგილზე და კიდევ ერთი
ფრანკით სამოქალაქო სარჩელის
ანაზღაურების სახით.

ცოლთან ერთად გრიგოლ ვეშა-
პელმა დასტოვა სასამართლოს
დარბაზი, გამოვიდა ქუჩაში და
გააჩერა ტაქსი. მათთან ერთად
მანქანაში ჩაჯდა გაზეთის მდივა-
ნი ხაჩიძე. მმ დროს ხალხიდან,
პროცესს რომ უსმენდნენ, რევო-
ლუციერით ხელში გამოხტა მერა-
ბიშვილი და ძახილით — „რაი
დაიცავი!“ თავის მსხვერპლს მთე-
ლი მჭიდრ დაცალა.

ყველაფერი იოლად მოხდა და
საქვირველია — რაღას უცდიდნენ
სასამართლოს? ჰო, მართლა! სა-
სამართლოში იყო ტრიბუნა, საი-
დანაც ერთხელ კიდევ შეიძლებო-
და ბინძური სიტყვებით მოეხსე-
ნებინათ ცნებები „საბჭოთა სამ-

შობლო“ და „ბოლშევკიზედ და
შემდეგ შეიძლებოდა მკვლელო-
ბა წარმოედგინათ როგორც „ჭე-
შმარიტი პატრიოტის“ მერაბი-
შვილის ნაზ ფსიქიურ ორგანიზა-
ციაზე სასამართლოს მწვავე ზე-
მოქმედების შედეგი.

ცხრა თვეს იჯდა მკვლელი სა-
პატიმრო „სანტეში“ და მენშე-
ვიკების მიერ სპეციალურად ამი-
სათვის გამოყოფილი პირების მე-
შვეობით იღებდა გადაცემებს.
ფულს, წერილებს. შემდეგ შედგა
კიდევ ერთი სასამართლო, მაგრამ
უკვე მკვლელობის გამო. ამჯერად
დაცვა კიდევ უფრო ბრწყინვა-
ლებ იყო ორგანიზებული. მის
რიგებში, კათოლიკური ავტორი-
ტეტების გარდა, აღმოჩნდნენ მე-
ორე ინტერნაციონალის სოცია-
ლისტი „ვარსკვლავები“ — ფრან-
გები პ. რენდელი, ა. მარკე და
ბელგიელი კ. გუისმანისი.

ადვოკატ ბატაისა და მისი მოწ-
მეების კვალდაკვალ კითხვაზე —
„მოკლა თუ არა მერაბიშვილმა
ბატონი გრიგოლ ვეშაპელი“ ნა-
ფიცმა მსაჯულებმა უპასუხეს:
„არა“. ამის შემდეგ, ბუნებრივია,
სხვა კითხვები მოიხსნა. და მერა-
ბიშვილი გაამართლეს იმ დანაშა-
ულში, რომელსაც იგი არათუ უარ-
ყოფდა, არამედ პირიქით, რომ-
ლითაც თავი მოჰქონდა.

ემიგრაციის მოთავენი ზეიმობ-
დნენ. კმაყოფილებით ისრესდა
ხელებს ნოე რამიშვილი. მაშინ
მან ჯერ კიდევ არ იცოდა, თუ რა-
მდენიმე წლის შემდეგ მისივე „თა-

ნარემამულის” ზელით ქურდულად გასროლილი ტყვია თვითონ მასაც მოუღებდა ბოლოს.

თავის ვაჟბატონთა წრეში გამარჯვებას ზეიმობდა მიხეილ კედიაც, ეს დიდი იმედის მომცემი ფაშისტი. შემდგომ, მეორე მსოფლიო ომის დროს, ფაშისტ ბოსს მარტინ ბორმანს რომ ემსახურებოდა, მან თავი გამოიჩინა კიდევ უფრო საზიზლარი და სისხლიანი საქმეებით. უფრო გვიან (ეს რომ წინასწარ გამოეცნო!), ქოშმარებით გაწვალებული და სამართლიანი სამაგიეროს მიზღვევის შიშით შეპყრობილი, იგი შვეიცარიის პატარა ქალაქის სასტუმროს ფანჯრიდან გადმოხტა...

მენშევიკებმა საფრანგეთის პურუუაზიულ სასამართლოში საქმე კი მოიგეს, მაგრამ იმავდროულად წააგეს იგი ემიგრანტთა იმ წრეში, რომელთა ჩამოცილებაც უნდოდათ ახალი თეთრგიორგული კეტით.

ვეშაპელზე საზიზლარმა თავდასხმაც და მკვლელობამ საბოლოოდ გაუტეხა სახელი მენშევიკთა ხელმძღვანელობის არს იმ ემიგრანტების თვალში, რომლებიც „ახალი საქართველოს“ ირგვლივ იყვნენ გაერთიანებული. თითქმის ყველა მათგანმა, გრიგოლ ვეშაპელის მეუღლესთან ერთად, გადაწყვიტა, რომ მათი ადგილი საქართველოში, თავის ხალხთან იყო და საბოლოოდ ჩამოშორდნენ ემიგრაციას, დაბრუნდნენ სამშობლოში.

ყველაფერი ეს მოხდა პარიზში ჩემს ჩასვლამდე. დაწვრილებით ამბავი უფრო გვიან გავიგება ყველაფერი ეს, ცხადია, მაიძულებდა დავფიქრებულიყავი, თუ სად მოვხდი, რატომ ვცხოვრობ ასე, რა უნდა გამეკეთებინა, რომ ჩამოშორებოდი მას. მაგრამ არასოდეს არ მყოფნიდა არც გაბეჭდულება და არც ძალა ბოლომდე მივყოლოდი ამ აზრს.

გამგზავრება საფრანგეთიდან

თუმცა საფრანგეთში უკვე თითქმის სამი წელი დავყავი, უნივერსიტეტში შესვლის შესაძლებლობა ისევე არ მქონდა, როგორც ჩამოსვლის პირველ დღეს.

ულიმღამო არსებობა პარიზში მომბეზრდა და, დავაგროვე თუ არა ცოტაოდნი ფული, დავიწყე ფიქრი სხვაგან გადასვლაზე. მაგრამ სად? ამ დროს ედუარდ პაპავამ მაცნობა, ორგანზაცია სპარსეთში მგზავნისო.

— სპარსეთი ახლოა საქართველოსთან და იქ მეტი პრაქტიკული სამუშაო გვექნება, — თქვა მან. — წამომყვები?

— სპარსეთში? იყოს სპარსეთი! — დაუყოვნებლივ ვუპასუხე მე. — თუნდაც ჭანდაბის წაგალ, ოღონდ მოცილდე აქაურემიგრანტულ ქვაბს და აღარ ვუცეირო, როგორ იხარშებიან მასში ცოდვილნი.

მზადება ხანმოკლე იყო. სპარსეთში გამგზავრების ნება მივიღე

ჩემი პასპორტით, რომელიც იქ
სამი წლის წინათ ვიყიდე.

გული არ დამწყვეტია, ისე დავ-
ტოვე ქალაქი, საღაც ნათელი იმე-
დებით ალსავსე წინათ ესოდენ
დაუკებლად მოვისწრაფოდი.

და აი თანდათან ვშორდებოდი
ნაპირს, ამჯერად საფრანგეთის
ნაპირს.

ფრანგულ მიწაზე დატნენ ადა-
მიანები, რომლებიც იქ გავიცანი
და რომელთაგან ბევრს ვერასო-
დეს ველაზ ვიხილავ.

აი მთავარი მოხუცი ნოე უორ-
დანია. მას აშინებდა რამიშვილის
ხვედრი და თითქმის აღარ დადიო-
და კრებებზე. თუმცა მისი არგუ-
მენტები პოლემიკაში, რომელშიც
იგი მონაწილეობდა, ისეთივე
გარდაქმნებს განიცდიდა, რო-
გორსაც გამოცდილი ილუზიო-
ნისტის ხელში ბანქოს დასტა, უო-
რდანია მაინც რჩებოდა მენშევი-
კების ბელადად. იგი კვლავ ინარ-
ჩუნებდა ასისტენტებს, რომლებიც
ფხიზლად უყურებდნენ მის მანი-
პულაციებს და მზად იყვნენ პირ-
ველ შეფერხებისთანავე მიშველე-
ბოდნენ თავის შეფს.

გვარჯალაძეს, უროტაძესა და
ჩხენკელს არაერთხელ უთქვამთ,
თუ უორდანის ჩამოვიცილებთ,
ქართული ემიგრაციიდან არაფე-
რი დარჩება და დე ილუზია მაინც
იყოს, ეს უკეთესია...

კონსტანტინე გვარჯალაძემ ჩე-
მზე უბადრუკი ადამიანის შთა-
ბეჭდილება დატოვა. მან თავი მია-
ნება ექიმის პროფესიას და მაწ-

ვნის საწარმოს მფლობელს უკავშირდება
პანიონად გაუხდა. ზოგჯერ იგი
გამოდიოდა მეორე ინტერნა-
ციონალში, როგორც ქართველი
მენშევიკების სექციის წარმომაღ-
გენელი. როცა სხდომათა დარბა-
ზში ქვაბურა ქუდითა და ხელის
ჯოხით გამოჩნდებოდა, მას მოწი-
წებით ესალმებოდნენ, მაგრამ სა-
კმარისი იყო ტრიბუნაზე ასული-
ყო, ცხვირზე პენსე დაემაგრები-
ნა, რომ ხალხი კულუარებში გარ-
ბოდა. სკამებზე რჩებოდნენ მხო-
ლოდ მთვლემარე დელეგატები.
მაგრამ ეს არ აცბუნებდა მოხუცს.
იგი ისევ და ისევ ბუტბუტებდა
თავის მოხსენებას, რომელსაც
მაწვნის დამზადებისაგან თავისუ-
ფალ დროს თხზავდა.

მეორე ასისტენტი — ქელი
მენშევიკი უროტაძეც უორდა-
ნის ტოლი იყო, მაგრამ საკ-
მაოდ ახალგაზრდა ჩანდა. ყვე-
ლანი მას უბრალოდ გრიშას
ეძახდნენ. იგი იყო საშუალო ტა-
ნის კაცი და თეთრი გრუზა თმა
ჰქონდა. ზოგიერთი მისი კოლეგი-
საგან განსხვავებით, შეეძლო სა-
სიამოვნო თანამესაუბრე ყოფი-
ლიყო. იგი მარჯვედ ათავსებდა
პარიზის მენშევიკთა სექციის თავ-
მჯდომარის პოსტა და ლევილის
მამულის მოურავის თანამდებო-
ბას. ამ პოსტების შენარჩუნება
ადვილი როდი იყო. ერთ დროს,
როცა აღარ თავმჯდომარეობდა,
კინაღამ ექს-მოურავიც გახდა. მა-
გრამ მოიშველია გაძგრომ-გამოძ-
რომისა და ინტრიგების მთელი



თავისი გამოცდილება, რომელიც
მენშევიკური ყრილობებისა და და-
მუშაქებელი კრების დროს შეი-
ძინა, და მიაღწია მდგომარეობის
განმტკიცებას. იგი ფარულად
ხვდებოდა უორდანიას და არწმუ-
ნებდა ერთგულებაში, მენშევიკე-
ბის კრებებზე კი აძაგებდა თავის
შეფს, რითაც კენჭისყრისას ხმე-
ბის საჭირო რაოდენობა მიიღო.

უორდანიას ამაღაში იმყოფე-
ბოდა აკაკი ჩხენკელიც — ქველი
სოციალ-დემოკრატი, სახელმწი-
ფო სათათბიროს ყოფილი დეპუ-
ტატი. აქ, ემიგრაციაშიც, მას მა-
ღალი რანგი ჰქონდა — იყო
სრულუფლებიანი მინისტრი საფუ-
რანგეთის მთავრობასთან. ეს სა-
შუალებას აძლევდა განუწყვეტ-
ლივ ეტრიალი გამოჩენილი დია-
ლომატების წრეში.

მოხუცი ცხოვრობდა თავის დე-
დაბერ მაკრინესთან ერთად, რო-
მელიც „სიყვარულით“ მოიტაცა
აფხაზეთის ერთი სოფლიდან. მაგ-
რამ ერთად ცხოვრების ორმოცი
წლის მანძილზე მაკრინემ ვერ იქ-
ნა და ვერ ისწავლა ქმრის სახე-
ლის სწორად გამოთქმა, დაუინე-
ბით ეძახდა მას „აკაკ“...

და მაინც, ჩხენკელი არ ყოფი-
ლა ისე უბრალო, როგორც ერთი
შეხედვით შეიძლებოდა მოგჩვენე-
ბოდათ. მისი ნამდვილი უნარი
იფურჩქნებოდა დუქანში, მენშე-
ვიკების ლეგაცია რომ ეწოდებო-
და.

მთელი ეს უბადრუკი თავყრილო-
ბა თვალწინ წარმომიდგა, სანამ

მოაჯირზე გადაკიდებული პირები
რებლი ზღვის თეთრ ქაფს, გემის
ჭანჭიკი რომ ისროდა.

შალიგო მოცვევავის გვდი

პირველ დაბრკოლებას თურქე-
თის საზღვრის ახლოს, სპარსეთის
ქალაქ მაკაში გადავეყარე. ედუ-
არდის ფრანგული პასპორტი ჰქო-
ნდა და შეუფერხებლად გაუშვეს
თეირანში, მე კი დამკავეს. თურ-
მე უყურადღებობის გამო მე გადა-
მიხვევია მარშრუტიდან, რომე-
ლიც ვიზის გაცემისას აღუნიშ-
ნავს პარიზელ კონსულს სპარსე-
თში. პოლიცია ჩაეჭიდა მას და
თურქეთში გასახლებით დამემუქ-
რა. გაჭირვებით მივიღე თავრიზში
გამგზავრების ნება. მაგრამ იქ-
აც დაუყოვნებლივ დამაპატიმრეს.
პოლიციას აინტერესებდა, სად
ვიშვე პასპორტი, ვინ დამეხმარა
ამაში, ვის და რამდენი გადავუხა-
დე. არ ვიცი, სანამ გაგრძელდე-
ბოდა ყველაფერი ეს, ედუარდის
რომ არ ეზრუნა. ბოლოს, ეტაპით
გამგზავნეს თეირანში, კიდევ
სამი თვე გავატარე პატიმრობაში
და გამათავისუფლეს.

ამასობაში პაპავა უკვე მოწყო-
ბილა კინოთეატრ „შუქარაში“ და
მე მასთან გადაგბარგდი.

კინოთეატრის პატრონი გრიშა
საყვარელიძე დამეხმარა და მივი-
ღე ემიგრანტის ბინადრობის მოწ-
მობა. ახლა სამუშაო უნდა მეშო-
ვა. მოვეწყვე შაქრის ქარხნის
მშენებლობაზე ქალაქ ვერამინში.

საწარმოს აშენებდა ჩეხოსლოვაკური კომპანია „შკოდა“. იქ ერთ წელიწადს ვიმუშავე კონტროლიორად, მშენებლობის დამთავრების შემდეგ კი თეირანში დავბრუნდი და ისევ უმუშევარი გავხდი.

ამ ხნის მანძილზე პაპავას თითქმის არ შევხვედრივარ. როცა შემხვდა, შემომჩივლა, რომ მისი ყველა ცდა შეექმნა ირანში (ასე უწოდებდნენ 1934 წლიდან აშშეეყანას) „თეთრი გიორგის“ ორგანიზაცია, სიძნელეებს წააწყდა.

მისი ჩივილი უხმოდ მოვისმინე, ჩემი დამოკიდებულება არ გამიმულავნებია. კარგად მახსოვდა უთანხმოება პარიზელი ემიგრანტების ბანაჟში და არ მსურდა ჩავძიებოდი იმ საქმის არსს, ედუარდი რომ ეწეოდა.

საშოგარის ძებნაში ხშირად ვტრიალებდი კინოთეატრ „შუქურასთან“. ერთხელ, როცა საყვარელიძესთან ერთად ვიდექი მისი დაწესებულების შესასვლელთან, ჩვენთან მოვიდა გაცვეთილტანსაცმლიანი მოტეხილი კაცი, ქართულად მოგვმართა და პაპიროსი გვთხოვა. საყვარელიძემ პორტსიგარიდან ამოიღო რამდენიმე ღერი.

— გმადლობთ, ბატონო გრიშა, — ჩაილულლულა მან და ცხრად მოიკავა. — თუ ჭიქა არა ყის ფულსაც მომცემ, მთლად კარგი იქნება!

საყვარელიძემ რამდენიმე მონეტა მიუგდო.

— ვინ არის ის? — ვკითხე როცა მათხოვარი წავიდა.

— შემოდი ჩემთან, მოგიყვები....

— ახლა რომ კაცი ნახე, დაიწყო მან თხრობა, — თეირანში იცნობენ როგორც მოცეკვავე შალიკოს. იგი გორელია, ყოფილი დექანოზის — სალარიძის შეილი. 1927 წელს მილიცაში მუშაობისას რაღაც დანაშაული ჩაიდონა და სპარსეთში გამოიქცა. აქ შალიკო მაღე გახდა ცნობილი როგორც წარმტაცი ისტორიების მთხობელი. ამაში ფარსული ენის კარგი ცოდნა დაეხმარა. ირანელები თვითონ საუცხოო მთხობელები არიან და ადვილი როდია მოიპოვო მათი აღიარება. მაგრამ როგორც კი გამოჩნდებოდა შალიკო კაფეხანაში, ყველანი მხიარული შეძახილებით ხვდებოდნენ და საუკეთესო ადგილს უთმობდნენ.

ფართოდ იყო ცნობილი შალიკო აპიუმის მწეველთა წრეშიც. აქაც იგი ვირტუოზი გახდა, შეეძლო ზედიზედ მოეწია სამი ჩიბუხი აპიუმი — ეს საშუალო ნარკომანების მთელ ოცეულს ეყოფოდა.

მაგრამ შალიკომ ყველაზე მეტად სახელი გაითქვა მას შემდეგ, რაც ჩემთან დაიწყო გამოსვლა როგორც კავკასიური ცეკვების შემსრულებელმა. შენ ახლა იგი დაჩანაკებული და უბადრუკი ნახე, მაგრამ არა იმიტომ, რომ მოხუცია. იგი არც ისე ხნიერია..

სულ ცოტა ხნის წინათ, როცა ეს-ტრადაზე გამოჩნდებოდა თავის თეთრ ჩოხაში, საქართველოდან რომ ჩამოიტანა, დარბაზი აღტა-ცებით გაირინდებოდა ხოლმე. გა-მოდიოდა იგი სეანსის წინ და ხა-ლხი ხშირად არ შედიოდა სადე-მონსტრაციო დარბაზში, ისევ და ისევ იხმობდა მოცეკვავეს. ასეთ შემთხვევაში მე ნებას ვიძლეოდი სეანსი დაგვიანებით დაეწყოთ. ანგარიში უნდა გამეწია შალიკოსა და მისი მრავალრიცხოვანი თაყ-ვანის მცემლებისათვის — და, რა თქმა უნდა, არც ჩემი ჯიბე დამე-ვიწყებინა, რომელიც ამ დღეებში მხოლოდ უფრო ფართოდ უნდა გამეხსნა.

როცა შალიკო ესტრადაზე „ლექურს“ ჩამოუვლიდა, მისი მო-ხდენილი ფიგურის ცერა ნამდვი-ლი სიამოვნება იყო, ხოლო ქა-ლებს ისე იზიდავდა მისი ჯადო, რომ ჩადრსაც ივიწყებდნენ და საერთოდ ყოველგვარ აღმოსავ-ლურ პირობითობასაც.

ერთხელ იგი ნახა ცნობილმა და ძლიერ მღიდარმა სპარსერმა მომერალმა ბულბულ-ხანუმმა. ქალს შეუყვარდა იგი და ყვავილის ვებერთელა თაიგული გაუგზუ-ნა. მალე ისინი დაახლოვდნენ. შალიკო ფუფუნებით და ღოვ-ლათიანად ცხოვრობდა. ზოგი მას „დიდ პატრიოტს“ უწოდებდა, ზოგი — „თავადს“, ხოლო სხვები კიდევ — „რევოლუციონერს“. მის ირგვლივ თავს იყრიდნენ ნახევ-რად მშეერი კავკასიელი ემიგრა-

ნტები. თავისი „ავარის“ სათავე-ში შალიკო ქეიფსა და თავშეძლებაში ატარებდა დროს. ყველაფერ ამას მოჰყვა მძიმე ვენერიული დაავადება. ამის შემდეგ ხანუმის სახლში ცხოვრება აუტანელი გახდა. ქალ-მა გააგდო შალიკო, მაგრამ მას არ უნდოდა დაეტოვებინა იგი. მა-შინ ბულბულმა ხერხს მიმართა. შალიკოს წინადაღება მისცა მისი კანონიერი ქმრი გამხდარიყო, მა-გრამ ამისათვის საჭირო იყო მაპ-მაღიანობა მიეღო. და აი შალიკო ალი-ხანი გახდა. მასზე შეასრულეს წესი, რამაც იგი ერთი თვით მია-ჯაჭვა საწოლს. და ამ ღრმოს ბულ-ბულმა არ დაუცადა ქმრის გამო-ჯანმრთელებას და სახლიდან გაა-გდო იგი, რათა თავისი სნეულე-ბით რა შეებილწა ოჯახური კერა. სად წასულიყო ალი-ხანი? მათ, ვისაც იგი არჩენდა, ზურგი შეაქ-ციეს. და ალი-ხანმა თავშესაფარი პოვა ერთ ქუჩის მექავთან. ავად-მყოფობა სულ უფრო აძაბუნებს მას და ძველი შალიკოდან, რო-გორც დაინახე, არაფერი აღარ დარჩა...

...მე დიდხანს ვიჯექი იმ საღა-მოს კინოთეატრ „შუქურას“ მფლობელთან. გავიგე კიდევ ერ-თი ისტორია ახალქალაქელი ყმა-წვილისა, რომელიც დიდ გაჭირ-ვებას განიცდიდა და მოინდომა სამშობლოში დაბრუნება. ამან კიდევ უფრო გააძლიერა ხელი-სუფალთა უნდობლობა და იგი იქამდე მივიდა, მათხოვრობა დაი-

წყო. ზაზამ ცუდად დაამთავრა — პეტერიან შეიშალა. ცნობილია, რომ იგი ქუჩაში, ლობესთან მოკვდა. პოლიციამ, გამოძიებაზე დრო რომ არ დაეკარგა, მოსპომისი გვამი, რათა მას არ მიეზიდა ძალლები, რომლებიც მუსლიმანებს არ უყვართ.

შოთერ მიშა ბიგიაშვილს კი, რომელიც უმუშევრობის გამო უაღრესად დაძაბუნდა, „ბედმა გაულიმა“ და ქუჩაში კი არა, საავადმყოფოში მოკვდა და ამბალმა მისი გვამი შავაბდულაზინის სასაფლაოზე დააგდო.

ყველაფერ ამას რომ ვისმენდი და მთხრობელის ბედნიერ სახეს რომ ვუცქერდი, სულ მინდოდა მეკითხა მისთვის:

— შენ კი რით დაეხმარე ამ აღამიანებს?

თითქოს შეკითხვას მიმიხვდაო, მან მითხრა:

— ჩვენ, ვინც გაუჭირვებლად ვცხოვრობთ, ერთეულები ვართ. ყველას ვერ დაეხმარები....

მე წავედი და ვფიქრობდი, რომ რადაც უნდა დამჯდომოდა, სამუშაო მეშოვა.

სახლში ცირდოუსის ეზაზე

პაპავასა და ვინმე ირანელ მუჭამედთან ერთად ავიღე რკინიგზის მიწაყრილის დაგების იჯარა.

პირველსავე თვეს ორივე კომპანიონმა მიმატოვა, შრომის მძიმე პირობებია და შეუძლოდ ვართო. მე მარტო დავრჩი მუშებთან უდაბურ ადგილზე. ცივი ზამთარია. მშენებლობაზე მუშაობენ ირანელები, თურქები, ქურთები. ბევრს არ აქვს თბილი ტანსაცმელი.

მიუხედავად ამისა და პრიმიტიული შრომის იარაღებისა, ექვსკილომეტრიანი მიწაყრილი გაზაფხულისათვის დავამთავრეთ. რამდენადაც მე ერთადერთი მეიჯარე ვიყავი, „საერთო ენა“ გამოვნახე ათისთავსა და აღმინისტრაციასთან და ჩემმა შემოსავალმა საკმაოდ დიდ თანხას — ოცდაათი ათას რეალს მიაღწია.

თეირანში რომ დავბრუნდი, აღარ მეფიქრებოდა, როგორ გამეტანა თავი თუნდაც ერთხანს. რასაკვირველია, ნაწყენი არა ვარ, პაპავა რომ გაიქცა მშენებლობიდან და სულით და გულით მინდა სამაგიერო გადავუხადო იმ სიკეთისათვის, როცა მასთან ვცხოვრობდი. მე მას გავაცნი ჩემი ფინანსური მდგომარეობა და მიხარია, რომ ორივენი ერთხანს უკეთ ვიცხოვრებო....

(დასასრული იქნება)


პენი მესტია

დედის საჩეცელთან

ნინო ლევალიძეს

დამძიმებია ტანჯვით სხეული,
გული დაჩხვლიტეს თითქოს ეკლებმა;
წევს სარეცელზე ქანცმილეული
და მოლოდინით სული ელლება.
ვერ იმორჩილებს დარდებს ფრთებგაშლილს,
ჩუმი ნაღველი ხმაში ერევა,
ხან სიზმარში და ხან ოცნებაში
შვილებს ულიმის და ეფერება.
— სად ხართ, შვილებო, — მოხუცი შფოთავს, —
რად დაკარგულხართ ამ მთებს გადაღმა?
სადა ხარ, ვიქტორ, სადა ხარ, კოტე,
შენც, ნაბოლარა ბიჭო, სადა ხარ?!
გამათბეთ თქვენი თვალების სხივით,
მოდით, დამიცხრეთ ნატვრის წყურვილი...
მაგრამ ცივია კედლები, ცივი
და შეზარავი მათი დუმილი.
პირქუშად დგანან ბახმაროს მთები,
მკერდდათოვლილი, ნისლიანები;
ჩამოუშლიათ ტირითებს თმები
და დედის წუხილს იზიარებენ...
თითქოს გამოელდა ჯანი სნეული,
სულმა იპოვა, რასაც ეძებდა:
კაცი, ლეგენდად გადაქცეული —
კოვბაკი მოდის მის სარეცელთან.
ვინც არ შემკრთალა ტყვიის წვიმაში,

მტარვალს ზარავდა ბასრი მახვილით,
 შინმოუსელელთა დედის წინაშე
 ღვება მდუმარე და თავდახრილი.
 იგონებს ბრძოლებს, მყაცრს და საზარელს,
 წამებას, ნგრევას და ქარტეხილებს,
 კვამლით შერუჯულ სახლებს, ბალნარებს,
 ნაცარწაყრილებს და დამეხილებს;
 ხედავს დანაომულ ტრამალს და ბეჭობს,
 გზებს, ბერლინამდე წვით რომ გალიეს.
 და შორეული დღეების ექო
 სულში მძვინვარებს ქარიშხალივით...
 დედის ფიქრები მძიმეა, მძიმე
 და კაეშანით შემობურვილი,
 დამჭვნარ ხელებით დაეძებს შვილებს,
 გული ცახცახებს ნახვის სურვილით,
 გაცრეცილ ღაევებს ცრემლები ნამავს,
 სტუმარს მიაპყრობს ცქერას სევდიანს,
 თვალებით ჰკითხავს: — იცნობდით, განა,
 საღმე, ბრძოლებში, არ შეგხვედრიათ?
 — ვიცნობდით...
 ჭირშიც, ლხინშიც გვახსოვდა
 მათი დიდება და შემართება...
 და ელიმებათ ვაჟებს ჩარჩოდან
 ნაღვლიან ჭერის გასანათებლად.
 ... ხვარბეთის მთებს კი მჩე ათოვს თბილი,
 გადაპენტილა ტოტი იელის,
 დაბრუნებია ომილან შვილი,
 პიტალო კლდეზე უფრო ძლიერი.
 ნაომარ ვაჟკაცს შემოხვდა ტაშით
 სოფელი — მისი გზის დამლოცვი;
 მისი სიცოცხლე ჩაღვრილა ქვაში,
 რომ სამუდამოდ დარჩეს ცოცხალი.
 ის ყველა დედის სიხარულს იცავს,
 ავსებს სინათლით და იმედებით,
 მის წინ გრიგალიც გაერთხმის მიწას,
 მუხლს მოიყრიან ომის ღმერთები.



შოთა როსვა

დ ე დ ა

სურათი პირველი

სოფიოს კარმიდამო. დასავლეთ საქართველოს სოფლის პეიზაჟი. ეზოში ძველებუ-
რი დაბალი ოდა-სახლი. წინ ტალავერი. ეზოში ჭოხი უჭირავს.

სოფიო — ო, რა სანახავი მზე ამო-
ვორდა! ასეა, ამოგორდება-ჩაგორდება,
ამოგორდება-ჩაგორდება... აქშა, მამალო!
ახლა ბაღაში ჩაბეგრალა მაი ტურის და-
საჭმელი, აქშა! შე ურჯულო, დაბარვა-
ზე მებარებოდი თუ გათოხვაზე? აქშა-
მეთქი! ალბათ, ღობეა საღმე გამოტეხი-
ლო და ნახეს სატრომელა... (ქვა ესრო-
ლი) ამბაკო ხარ, შარაზე?

(ისმის ხმა: ჰო, ამბაკო ვარ, სოფიო).
კინალამ არ მოგვალი, ბიჭო? გამოუქ-
ვივ აქეთ... ა, მამალს ვესროლე და კინა-
ლამ მეზობელი მოვგალი, ღაბერლი, აბა,
რალია!... (შემოდის ამბაკო).

ამბაკო — მეგონა პირდაპირ მე მეს-
როლე...

სოფიო — კი, ძევლი ინტერესი მაქეს
შენი... კინალამ არ გაგათვე!

ამბაკო — სოფიო, ქვეს რად უშენ,
ისე არ წაგიდოდნენ თუ? ქათამს კი არა,
კაცს ეშინია შენი...

სოფიო — ასეთი საფრთხობელა გავ-

* მწერალმა შ. როვერმ დაამთავრა
ახალი პიესა „დედა“, რომელიც დაიბად-
გშელად წარუდგინა ბათუმის დრამატულ
თეატრს. ვგებდავთ ამ პიესის პირველ
ორ სურათს.

ხდი, ვითომ? შენს მართასავით მაინც არ
დავჩახანაკებულვარ...

ამბაკო — მართას, ამბაკო ნუღარ მკი-
თხებ... ჩვენი განქორწინება არ შეგიტ-
ყია?

სოფიო — მერე რას ერჩოდი მაგ დე-
დაბერს?

ამბაკო — ის არ სჯობს, უფრო ახალ-
გაზრდა რომ მოვნახო?

სოფიო — ისე, მართალს კი ამბოდ...
შენ ბარე ასი წლის კი იქნები მარა, ერ-
თი იცი წლით უმციროსი ქალი თლა შე-
ნი საფერი იქნება.

ამბაკო — ხომ არ გეგულება ვინძე?

სოფიო — მეგულებოდა, მარა...

ამბაკო — რავა, გათხოვდა თუ?

სოფიო — არა, გასულ კვირას და-
ასაფლავეს...

ამბაკო — ოი, შენ რა ვითხრა... კი
მეკუთვნოდა ახლა ეს...

სოფიო — სად მიდიოდი, ამბაკო?

ამბაკო — შენთან მოვედი, ჩემო სო-
ფიო...

სოფიო — რავა, კიშკარს კი ჩაუარე
და...

ამბაკო — ეზოს შემოვხედე, ღობე არ
იყოს გატეხილი-მეთქი... შენთან საქმეზე
მოვედი...



სოფიო — რა იყო, კაცო!
ამბაკო — რა იყო და... ბაგრატია რომაა,
 ახალქამისახლებული, ერთი თხოვნა და-
 მაბარა...

სოფიო — ჰორ?
ამბაკო — სოფიოს დიდა ავტორიტე-
 ტი აქვსო, თავმჯდომარე ყველაფერს
 უჭერის და ერთი მასთან მიმეგზვნოსო...
სოფიო — ბიჭო, ამბაკო... რა ავტორი-
 ტეტი დაუჩემებიათ... სადაური კომისარი
 მე მანახეს...

ამბაკო — კომისარი კომისარია, მარა
 შენი ხათრი რომ აქვს ჩვენს თავმჯდო-
 მარებს, რად გინდა ორი სიტყვა... ჰორა,
 ასე შემოგეხვეწა ის კაცი...

სოფიო — ჩვენი თავმჯდომარე კაი ხა-
 ნია ერთი ვერ ჩავიღდე ხელში...

ამბაკო — თავმჯდომარე ურიგო ბიჭი
 ორაა, მაგრამ...

სოფიო — კაი ბიჭობა საქმეში უნდა
 გამოჩინდეს, თვარა სუფრაზე ყანწის ალე-
 ბა ყველას შეუძლია... უბანში აბანოს
 ავიშენებოთ, საღა მერე? ვითომ კიდევ
 დაიწყეს, დაყარეს მასალები და წავიღ-
 ნენ... შარაზე მასალების დაყრით აშენ-
 დება აბანო?

ამბაკო — ამისთანა დარებია და ახლა
 აბანში რა შეგიყვანს, საბანაოდ მდინა-
 რეში წასელა სხობიათ... ვერ გაწვდნენ
 მაინც. იქით, მეოთხე ბრიგადაში ფურნის
 შენება დაიწყეს....

სოფიო — ჰორა, ისიც შეა გზაზე მი-
 ტოვეს...

ამბაკო — ჯერ ერთი საქმე უნდა მო-
 ათავო და მეორეს მერე მოკიდო ხელი...

სოფიო — თვით უნდა მუშაობდე,
 თვარა ერთად ორი საქმეც კი გაეცთდება...

ამბაკო — ამაში მართალი ხარ...

სოფიო — ჰო, ამაში მართალი ვარ...
 გზაზე რომ დაკენობენ ეს მანქანები,
 ჯაგი-ჯაგი... კაცო, გავიხედავ, მგონია,
 ხეი და მიწა ინგრევა, იმისთანა ლაშა-
 ლუწია. რაი? გზაზე მანქანა მიღის... ბი-
 ჭო, შეაკეთონ ეს გზები და ალარ დაიმ-
 სხვრევა ეს მანქანები!...

ამბაკო — ამაშიც მართალი ხარ...

სოფიო — ჰორა, ყველაფერში მართა-

ლი თუ ვარ, საღაა შენი თავმჯდომარეს
 კი ბიჭობა?

ამბაკო — არა, ბაგრატის კი დაპირდა
 სახლზე დახმარებას...

სოფიო — დაპირებით კი, ბატონი,
 ქარვასლას დაგიდგამენ. მარა მარტო
 დაპირება რას შველის? ერთი, ეს მით-
 ხარი, მართლა ცხრა შვილი ჩამოიყვანა,
 თუ მასხრობთ?

ამბაკო — რომ ჩამოვიდა, შვილი ჰყავ-
 და, მარა შეხედა აქაურობას, არემარე
 მოეწონა და ორი მერე დაუმატა...

სოფიო — აგაშენა, ღმერთმა...

ამბაკო — ახლა ყოველ საღამოს
 ითვლის ბალნებს, გარეთ არ დამრჩესა...

სოფიო — აგაშენა ღმერთმა... აბა,
 ჩვენსავით კი არ უნდა...

ამბაკო — ეჭ, ნეტა მეც ცხრა მყო-
 ლოდა...

სოფიო — შენ კიდევ რა გიშავს... მე
 ვიყითხო... ამოვა მზე — ჩავა, ამოვა—
 ჩავა! ოცდასამი წელიწადი ჰიშკარს გავ-
 უქერი, კისერი მომელრიცა...

ამბაკო — ჰო, კაი გამახსენდა... სო-
 ფიო, იცი, პენსია რომ დაგინიშება?

სოფიო — პენსიას ოცი წელიწადი
 ვღებულობ...

ამბაკო — მაგი შვილიდანა... ოცდა-
 ხუთი მანათი... შენ ახალი პენსია რომ
 დაგენიშვილა, მარ თუ იცი?

სოფიო — ახალი პენსია?

ამბაკო — ჰო, კოლმეურნეობაში...
 თვეში სამოცდათი მანათი.

სოფიო — როის, ბიჭო?

ამბაკო — წუხელ გადაუწყვეტიათ...
 შენთვის ყველაზე დიდი პენსია დაუნიშ-
 ნავთ...

სოფიო — მაი არა ურიგო ამბაკო...
 მაშინ ძველ პენსიაზე უარს ვიტყვი. აბა,
 ორ პენსიას ხომ ვერ მივიღებ!

ამბაკო — შენი საქმეა, ამოირჩიე რო-
 მელიც გერჩიოს...

სოფიო — ახლა, თუ კი მეკუთვნის,
 ოცდახუთ მანეთს სამოცდათი რომ ჭო-
 ბია, ამდენიც კი ვიცი...

ამბაკო — ჰო, თავმჯდომარემ მიულო-
 ცეო... ახლა კიდევ ომში დაკარგულების
 მოსაგონარად იმისთანა სტენდი თუ რაც...

ხა გამოფენა გაუკეთებიათ, ოომე... ქე
მოგეწონება...

სოფიო — მერე?

ამბაკო — მერე, ისო... დაკარგული
გმირების სურათები გამოაკრეს და...

სოფიო — ჰო, კაი უქნიათ...

ამბაკო — ჰოდა, ერთი სურათიო...

სოფიო — რაო?

ამბაკო — არაფერი... იქნე ჩემი ბიჭის
სურათიც გამოაკრეს, ხომ იცი?...

სოფიო — ჰოო?

ამბაკო — ჩემი სოფიო... თუ არ გეწ-
ყინება, ერთი რამე უნდა გთხოვოთ...

სოფიო — რა იყო, ბიჭო, შენც თავ-
მჯდომარესთან ხომ არ მიგეგზავნო?

ამბაკო — მე თავმჯდომარემ შენთან
გამომაგზავნა, მარა...

სოფიო — რაცაც დიდი მიგზავნ-მოგ-
ზავნა დაგიშეით და, თუ ღმერთი გწამს,
გთხოვას ხომ არ მიპირებთ?..

ამბაკო — კაცო, მარტოდმარტო რომ
დამჯდონხარ ამ ჭარგვალში, ამ ხნის დე-
დაბერმა ერთი ჭორეულის რომ ფეხი წამა-
კრა და ეს გამხმარი თავი კერის მია-
ფუნქხონ, ჩვენ რა უნდა ვთქვათ მაშინ?

სოფიო — მათ გითხრა თავმჯდომარევი?

ამბაკო — არა, კაცო... ჰო, მაგ პენსიას-
თან ერთად, იცი, რა გადაწყვიტეს?

სოფიო — რაი, ბიჭო?

ამბაკო — მარტოხელა და უპატრონო
მოხუცებისათვის ცალკე სახლს აშენებენ,
საღმე კარგ ადგილზე...

სოფიო — ჰოო? ახლა კი მოვხუცდი
ეგება მარა, ცალკე რა მინდა, ხომ არ
ავყროლებულვა!

ამბაკო — წაიყვანენ... არა, შენ კი
არა... წაიყვანენ მოხუც ადამიანს იმ
სახლში და სმა-ჭამა, მოვლა-პატრონბა
უფასო იქნება...

სოფიო — (არ მოეწონა) მერე, ვინ
გვინათ თქვენ უპატრონო?

ამბაკო — არა, უპატრონს კი არ
ვაძმობ, კაცო... (თვისითვის) რა ხათაბა-
ლაში ჩამავდო იმ ჭახერმა, სურაო
თვითონ ვერ გმოართვა?

არა, უპატრონ კი არა, ვინც მარტო-
ხელაა, იმაზე ვლაპარაკობდი...

სოფიო — ჰო, მათ კი უფიქრიათ, ამ-

ბაკო, კაი... უნდა ააშენონ... ახლა, საბალა
ცაა, მეც დავიწყებ სახლის მშენებლობა
ბას...

ამბაკო — მშენებლობასი?

სოფიო — რავა, გაგივირდა? აბა, მე
რასთვის მაქეს ამდენი ხანია ეს მასალა
ნაყიდი და დაწყობილი? ამისთანა
სახლს წამოვჭიმავ, მოყერის გული ხა-
რობდეს და მტრის თვალი იცსებოდეს...

ამბაკო — კაი, ერთი, სოფიო, კაი...
რად გინდა, შე ქალო?

სოფიო — რად გინდაონ! ამბაკო, რაც
მოდი, მას მერე რაცხა გინდა მითხრა და-
ვერ ბედად... თქვეი, რა იყო, ბიჭო?

ამბაკო — არაფერი, კაცო...

რა უნდა
ვთქვა? (შემოღის თავმჯდომარე, სოფიო
ვერ ამჩნევს).

სოფიო — ჰო, თქვეი, რა უნდა თავმ-

ჯდომარეს, რა დაგავალა? (თავმჯდომარე
ჩუმად ვაღის).

ამბაკო — ლევანის სურათს გთხვენ,

იმ სტენდზე უნდა გამოაკრან...

სოფიო — ჰოო? ხომ მიგიხვდი? სუ-

რათი გინდათ, არა? (შემოღის თავმჯდო-
მარე).

თავმჯდომარე — გამარჯობა... როგორა-

ხარ, სოფიო ბიცოლა?

სოფიო — რას მეკითხები, ცუდი ცე-

რი მაქეს თუ?

თავმჯდომარე — არა, კაცო, ისე... ხომ

არ დაბერდი-მეტქი?

სოფიო — თქვენ რომ ფიქრობთ, ანც

ისეა სექმე...

თავმჯდომარე — ჩვენც ასე ვფიქ-
რობთ... მართალია, თვალსა და ყურს
დაგაულდა, მარა მაინც ყოჩაღად გამოი-
ყურები...

სოფიო — ჰო, თვალს დამაკლდა და,
ერთი ეს მითხარით, ის რა მოჩანს თეთ-
რად გუმათის მთაზე — ისევ თხის ფერ-
მა ხომ არ მოაშენეს?..

ამბაკო — ჭუმათის მთაზეო? შენ და-
მიცევი, წმიდაო გიორგი!

თავმჯდომარე — ახლა თუ შენ ჭუმა-
თის მთას სედვი, თვალი კი არა, დურ-
ბინდი გქონაა...

სოფიო — ხედავ კი არა, ასე მგონაა,
წავალ და ვნახავ რა არის იქ...

თავმჯდომარე — ერთი კოლმეურნეობაშიც მოსულიყავი, გენახა რა სტენდი გავაკეთო, რა სურახები გამოვაკრიოთ...

სოფიო — კოლმეურნეობაში თუ ამოვალ, შენთან საჩებარის მეტი რა ძალებს...

თავმჯდომარე — ვამე... რა იყო, სოფიო ბიცოლ!

სოფიო — რომელი ერთი გითხრა!... ჯერ ეს მითხარი, ბაგრატას ხომ არ უთხოვია რამე?

თავმჯდომარე — რა ვქნათ, კაცო, ეს ოჯახაშენებული გუშინ ჩამოვიდა და დღეს სახლს გვთხოვს. დაიცალოს ცოტა...

სოფიო — ახალმოსახლეს მეტი ყურადღება უნდა, ხომ იცი? ცხრა შვილის პატრონი ბაგრატა კი არა, აგრე მარტოხელა დედებერი ვარ და ხვალ-ზეგ სახლის მშენებლობას მე ვაპირებ...

თავმჯდომარე — სახლის მშენებლობას ვაპირებო!

სოფიო — შენც გაგიკვირდა, ხომ?

თავმჯდომარე — არა, გასაკვირი რა არის, მაგრამ...

სოფიო — რა მაგრამ... შენც ფიქრობ, ჩემი შვილი ცოცხალი არ არის? ამიტომ გინდათ მისი სურათი, არა?

თავმჯდომარე — აი, შარში გავეხვიეახლო!

სოფიო — აბა, შენც ფიქრობ, რომ მე სახლი არ უნდა ივაშენო?

თავმჯდომარე — რა გავაკრებს, სოფიო ბიცოლ!

სოფიო — ვიცი, რასაც ფიქრობ... შვილი ქე დაკარგა, თვითონ, სადაცაა, სული გაძვრება და ახალი სახლი რაღად უნდაა!

ამბაკო — სიკვდილი ღმერთმა დაგიფაროს, ჩემი სოფიო...

სოფიო — კი, თქვენი ხელიდან მკვდარი ვყოფილვარ უკეე!.. უყურე შენ, რა ჰქონიათ გულში! აბა, ჩემი შვილი ვერ ჩამოვა, ხომ?

თავმჯდომარე — სოფიო ბიცოლა...

სოფიო — უყურე შენ, უყურე!

თავმჯდომარე — ასე რა გვწყინა ახლა!

სოფიო — კა მითხარით რამე?

ამბაკო — რა ვიცი, კაცო, კამინისარებელი და ცული გამომივიდა!

სოფიო — რომ მოვცუცდი, ამიტომ ოჯაზი დავანგრიო, კერია გავაცივო?

თავმჯდომარე — ჩვენ კარგი გვინდოდა, სოფიო ბიცოლ!

სოფიო — დიდად გმაღლობთ, მარა... მე უპატრონო არ გახლავართ!

თავმჯდომარე — ამბაკო... წამოდი, კაცო!

ამბაკო — წავიდეთ, კაცო, მე განა სოფიოს წყენიება მინდა? წავიდეთ (წასვლა დააპირეს).

სოფიო — მოიცათ, ფეხი არ გადაგათ (სახლში შევიდა).

თავმჯდომარე — შენ რა უთხარი?

ამბაკო — ის გუთხარი, რაც მოვილაპარაკეთ. მარა რად გინდა... ასეთი ჭიუტია!.. ოცდასამი წელიწადია შვილი და კარგული ყავს და ახლა სახლის მშენებლობას ვიწყებო.. რა განდაბად უნდა, კაცო? რად უნდა, ერთი, მითხარი?!

თავმჯდომარე — რად უნდა და არაფრად... მაგისი შვილი ჩემი მეგობარი იყო, ფრონტზედაც ერთად წავედით, მაგრამ დაიყარგა ის კაცი და ახლა რა უნდა ვქნათ, ბედს უნდა შევურიგდეთ...

რაღა ღრობის სახლის მშენებლობაა, რად უნდა სახლი?

ამბაკო — სუ, ჩუმად.. აგერ მოღის...

თავმჯდომარე — ჲო, რავა არ უნდა, კაცო! სახლი უნდა, აბა, რა!

ამბაკო — მეც მაგის არ ვამბობ?

თავმჯდომარე — უნდა და კიდეც უნდა დავეხმაროთ და ივაშენებიოთ... (სოფიომ არაყი და ჩურჩხელები მოიტანა).

სოფიო — ახლა ჩემგან განაწყენებული ნუ წახვალოთ... დაილოცეთ და დალიეთ...

თავმჯდომარე — გავიმარჯოს, სოფიო ბიცოლა.. შენ ჩემი სოფიოს მლოცველი დედა-ქალი ხარ... მართალია, ხანდახან დაგვიცაცხნებ კიდეც, მაგრამ ჩვენ ეს კი არ გვწყინს. ამით გვაფხიზლებ კიდეც.. იცოცხლეთ და იხარეთ!

ამბაკო — ჩემო სოფიო, შენს კა ქალობას გაუმარჯოს. ჩვენ თუ რამეში შე-

ვცდით, გვაპატიეთ... (დალია). კაი არა-
ყია... სამადლობელს ხომ არ გვატყიო?

სოფიო — ახლა კიდევ მაღლობა გინდა
გვითხრა? და ისეთ მეორეც...

თავმჯდომარე — რახან ასეა, შენი სახ-
ლის მშენებლობას გაუმარჯოს...

სოფიო — შენ რაღას იტყვი, ძველო
ბებერო?

ამბაკო — მე?... რა უნდა ვთქვა... გაუ-
მარჯოს!..

თავმჯდომარე — კაცს რომ სახლი ეწ-
ვოდა და ახლოს მივიდა, ცეცხლს მაინც
გვიტბობ, ხომ იცი?... ამ არაუს შენც
ხომ არ დალევდი?

სოფიო — დამისხით... (ჭიქა გამოართ-
ვა) რას გეტყვით, იცით?

თავმჯდომარე — ჰო, სოფიო ბიცოლა!

სოფიო — კაცი რომ დაუფიქრდეს,
მქეცენ მართალი ხართ... ახლა მე ერთი
შვილი მყავს და, ახალი სახლის მშენებ-
ლობას რომ ვფიქრობ, იმინ რაღა უნდა
ქნა, ვისაც ცხრა პყავს და ჩემშე უარესი
სახლი უდგას!

ამბაკო — არა, შენ სხვა მხარეს უკავშ-
ნებ... ჩვენ მას არ გვიფიქრია!

სოფიო — კა! წაიღეთ ეს ჩემი მასალა
და ჯერ ბაგრატის აუშენეთ!..

თავმჯდომარე — ახლა უარესი შემოგ-
ვინთო!.. როგორ გეკადრებათ, სოფიო
ბიცოლა!

სოფიო — შვილს ვფიცავარ, ალალი
ვულით ვეუბნებით... სესხად წაიღეთ და,
როცა შიიღებთ, დამიბრუნეთ...

თავმჯდომარე — ეს კიდევ რომ გაიმე-
ორო, ძალიან გვეტყინება... ბაგრატასთვის
ჩვენ მასალას ვიშოვით... ახლა არა ვვაჭვს
და, როცა მივიღებთ, პირველ რიგში მას
მივცემთ.

(ისმის ხმა: „სოფიო!“)

სოფიო — მეახის ვინმე?

ამბაკო — ვიღაცები აქეთ მოლიან...

(ხმი: „სოფიო, ქალო, სოფიო!“)
თავმჯდომარე — ფოსტალიონს ხალხი
მოჰყება...

სოფიო — ფოსტალიონს? ღმერთო,
მშენდობა ქენი!

ამბაკო — რა ამბავია, ნეტავ?

(შემორიან ფოსტალიონი, მართა, თამა-
რი და სხვები)

მართა — სოფიო, ქალო, ზეცამ გაგვი-
ღო პირი, შენი ჭირიმე!

თამრო — მაგრად, სოფიო დეიდა, კაი
ამბავია!...

სოფიო — მერე, მითხარით, მეზობლე-
ბო!

მართა — შენი ლევანის ამბავია, ქალო!

სოფიო — რას ამბობ, მართა!

მართა — ჰო, ცოცხალია, ცოცხალი!

სოფიო — ჩემი ლევანა!...

ამბაკო — ბიჭო, ლევანა, ბიჭო!

ფოსტალიონი — კი, კი!

თავმჯდომარე — რას ამბობ, კაცო!

ფოსტალიონი — საფრანგეთში ყოფი-
ლა!.. ვერ მოვითმინე და გზაში გავ-
ხსენი... მას მერე მოვრბივარ და მოვყვი-
რი.

სოფიო — არ მესუმრიოთ, თქვენი ჭი-
რიმე... არ მესუმრიოთ...

ფოსტალიონი — ავერ წერილი, სო-
ფიო... მოგივდით ვარდენა ღუმბაძე...

სოფიო — (წერილს ფრთხილად ათვა-
ლიერებს) მართალი ყოფილა!... (იცინის)
ა? შეხედე, შენ! ა? ხომ ვამბობდი! ხომ
ყოფილა! ხომ მყოლია? ახლა რას იტ-
ყვით? შეილო, ლევანა, შეილო!

(გული წაუვიდა, ხელში აყვანილი სა-
ხლში შეჰყავთ).

ოთახი სოფიოს სახლში, ოთახში მაგიდა და სკამები. მაგიდაზე გრაფინი არაყით
და სხვა ჭურჭლეული... ჩურჩელები, თხილი. სოფიო მაგიდას უზის. კელელზე
ლევანის სურათი ჰქიდია.

სოფიო — თამრო, რას შევბი, შვილო?

თამრო — მჭადი ჩავაკარი, სოფიო დე-
იდა..

სოფიო — კაი, შენი ჭირიმე, აბა, მოდი,
ერთი სული მაქვე წერილის წერა დავი-
წყოთ...

თამრო — კარგი, დავიწყოთ...

სოფიო — აიღე, შვილო, საწერ-კალამი
და დამიჯექი ახლოს. მე გიყარნახებ, შენ
დამიწერე...

თამრო — მიყარნხე, სოფიო დეიდა...

სოფიო — (სურათს შესცერის) —

„სალამი, შვილო ლევანა... აბა, ცოც-
ხალი ხარ, შე ვამაძალლო? აწე მე მკითხე,
ბიჭო! ხომ მომკალი ადამიანი ამდენი
ლოდინით, ნენა? მე კი ვიცოდი, ცოცხა-
ლი რომ იყავი, ამას გული მეუბნებოდა,
მარა, შენ სად იყავი, ერთი წერილი რომ
ვერ მომწერე, შე ვირისთავო!“...

(თამროს) თამრო, რას დაფიქრებულ-
ხარ?

თამრო — არაფერს, შენ გისმენდი...

სოფიო — არა, რალაცაზე ფიქრობდი
ახლა...

თამრო — ძველი მომაგონდა...

სოფიო — მითხარი, შენი კირმებ...

თამრო — ერთხელ წისქვილიდან მოვ-
დიოდი, ლევანი ბუნარში დამხვდა. ვი-
ცოდი, იქ დამხვდებოდა... რომ მიყუახ-
ლოვდი, ჩემდა გასაკონად მღეროდა:
„ხომ გითხარი, დედაჩემო, ნუ გამიშვებ
წისქვილში!...“ აქ რას უცდი-მეტექი...
შენ უნდა მიგაცილო, ტურამ არ შეგვა-
მოსო... არ მინდა-მეტექი!... არ მომეტვა —
უნდა გაგაცილოთ. მე ვგაერობდი, მაგ-
რამ გულში კი მიხაროდა, რომ მომყვე-
ბოდა და მომაცილებდა...

სოფიო — უი, შენ რა გითხარი, შვი-
ლო... ფეხი ხომ არაფერზე წაგიკრავს,
ნენა?

თამრო — მიყარნახე, მიყარნახე...

სოფიო — „გიცადე, გიცადე, შვილო...
სიკვდილი არ მინდოდა... არ მინდოდა უს
კერა გაციებულიყო... ამ სახლში მერც-
ხლები ჩამომესახლნენ, მოფრინდებო-
დნენ, გაფრინდებოდნენ, ოცდასამჯერ
ბარტყები გამოზარდეს და გააფრინეს.
მეც კიდევ გიცადე, გიცადე, ბიძო... პატა-
რა ხანი კი არ გასულა, ნენა...“ (თამროს)
პო, კიდევ მოგაგონდა რამე?

თამრო — ო, რა გაზაფხული იყო!...
იმდენი ია ამოსულიყო ლელისპირზე, ნუ-
დარ იწყვიო...

სოფიო — შენ სახლისკენ მიდიოდი
თუ დელისკენ, შვილო?

თამრო — რომ არ მომცა საშველი, ყი-
თომ გაგბრაზდი და გზიდან დავბრუნდი.
— აღარ მივდივარ სახლში-მეტეთი... იქის
კრეფით ჩამოვიარეთ ლელისპირები,
უზომოდ მთვრალი ვიყავი... იმდენი ვი-
თამაშეთ, შინ კინაღამ უქმური მომყვა...“

სოფიო — მასეთი თამაშით უქმური კი
არა, ბავშვი რომ არ მოგყვა... ეს, ნეტა,
მოყყოლოდა...

თამრო — ეს, რა ბედნიერი დღეები
გაფრინდნენ!... მიყარნახე, სოფიო დეიდა.

სოფიო — „ჰო, ბევრი გიცადე, ბიჭო...
ოცდასამ წელიწადში რამდენი ღმეა, იმ-
დენჯერ უძინარა ვარ, ნენა... ერთი ნა-
წევე წერილი რად ღირდა ჩემთვის... შენ,
შენ შეგირცხა მაი შევშვი ულვაშები!
ერთ განაწერას რომ არ მომწერს, გაგ-
ზანენ ახლა ომში ამისთანა შვილი! რას
იკრისები, შე ვამაძალლო, შენ!“ (თამროს),
დაწერე?

თამრო — დავწერე.

სოფიო — რა ქნა, მერე, შინ მიგიყვა-
ნა თუ არა?

თამრო — ბუქნარში, ახალგაზრდა ცაც-
ხვის ხევე დანით ამოჭრა: თ+ლ... ება-
რებოდეს ამ ხეს თამროსა და ლევანის
ამბავით...

სოფიო — ვიცი დავკვირვებიყარ... იგი
მისი ამოჭრილია?

თამრო — იმ ხესთან ხშირად დავდიო-
დი, ბევრჯერ მიტირია კიდეც... ახლაც
დაედივარ ხანდახან, მაგრამ ხე ისე ვაი-
ზარდა, წარწერას ხელით ველარ ვწვდები
და მენანება...

სოფიო — არაფერია, ყველაფერი კარ-
გად იქნება, შვილო... კაცმა იმედი არ უნ-
და დაკარგოს...

თამრო — არა, სოფიო დეიდა, ჩემი
იმედი უკევ გამტრუნებულა. შე ამას
ვკრძნობ წინასწარ...

სოფიო — რაიზა, შვილო?... არ გეწყია-
ნოს, მარა ლელისპირში კიდევ ხომ არ ვა-
გეთამშა ვანმე?

თამრო — არა! რომ შემძლებოდა, თავი
სხვა კაცის გვერდით წარმომედგინა, აქა-
მდე კიდევ გავთხოვდებოდი...

სოფიო — გეხუმრე, შვილო...

თამრო — ნუ გეფიქრება, სოფიო დეი-
ლა, რაც უნდა მოხდეს, შენ მარტოდ
ჩიც არ მიგატოვებ... .

სოფიო — ვიცი, თამრო... შენი კაი ქა-
ლობა, აბა, არ ვიცი?

თამრო — აბა, მიკარნახე.

სოფიო — კიდევ რა მივწეროთ? მაი
ბიჭი აქამდე რომ არ ჩანდა, ტყვეობაში
ხომ არ იქნებოდა თუ იცა?

თამრო — ტყვეობაში? რა ვიცი, სო-
ფიო დეიდა!...

სოფიო — შეისლება იყო და, შესაძლე-
ბელია, ახლა მაგას ცოტა შინ წამოს-
ვლად ქვე ეშინოდეს...

თამრო — ვერაფერს გეტყვი... ყველა-
ფერი შესაძლებელია...

სოფიო — აბა, ეს ერთიც დამიწერე
და მერე, რაც გინდოდეს, ის ჩაწერე...

„შეილო, ლევანა... შენ იცი, ნენა, რა-
ვა მალე ჩამოხვალ... და გამახარებ... ეგი-
ბა ვინებ პირშეამა და არგასახარელმა
გითხრას, ტყვეობაში ნამყოფ ბიჭებს
იქინე ცუდათ ეყრყობიანო... არ დაიჭრო
მაი... ქანა არავის არ სჭინ და არც შე-
შინდე, იცოდე... თამრო, დაწერე?

თამრო — დაწერე, მაგრამ, მგონი, ეს
არცა საჭირო.

სოფიო — ყოველი შემთხვევისათვის
იყოს ასე... რა დაშავდება? (შემოღიან
მართა, ამბავო, ცაცა, თავმჯდომარე და
ექიმი).

რა ამბავია, გარეთ სხვა არავინა?

მართა — უიმე, ის ქე წამომდგარა ზედ!

თავმჯდომარე — ახლა აგერ ექიმი მო-
გოვანეთ...

სოფიო — რა გინდოდათ ამ კაცთან,
რას აწერებდით?

ექიმი — სოფიო ბიცოლა, გულითა და
სულით!...

სოფიო — გმადლობთ, თქვენი ჭირი-
ბე... კვდებათ, გითხრეს, ხომ?

ექიმი — ამ ამბავმა თქვენ კი არა, ჩე-
მო სოფიო, მეც კინალამ საექიმო გამხა-
და...

სოფიო — იცოცხლე, შვილო... (თამ-
რო გავიდა).

ექიმი — ეს კაი ამბავია... ახლა ქორწი-
ლისათვის თუ ხარ მზად?

სოფიო — ეზოში შემოსულს თუ მოვე-
სწრებოდე...

ექიმი — ხომ კი? აბა, მაჩვენე ერთი
მაჯა... (მაჯას უსინჯავს). ცოტა ჲა და ცო-
ტა ჲო, მარა არა უშავს!...

ამბავო — ჩემი ბიძიე, ერთი კარგად
გასინჯე, თვარა ჲა და ჲუ მაშინ იგითხე,
ამ დედაბერმა ფეხი რომ გაჭიმოს...

ექიმი — ქალბატონო სოფიო, მტიმე
ივადყყოფობა ხომ არ გამოგივლია რამე?

სოფიო — რომელი მაიც?

ექიმი — ცოფი ან ტიფი ხომ არ გვი-
რცებია?

სოფიო — ვაი, ცოფი ეტაკა ჩემს
მტერს!...

ექიმი — კვება როგორი გაქცს?

სოფიო — მასე აწყობილი სხვა რა
მაქცს!

ექიმი — ჲო, კვება მთავარია, — მჟავე
და მძალე ახლოს არ გაიკარო. ღვინოს და
არაც ერიდე, ხორცეული — ცხვრის,
ღრირის პირში არ ჩაიდო.

მართა — აბა, რა ჭამოს, შვილო?

ექიმი — ბოსტნეული, რძეული შეიძ-
ლება...

სოფიო — ხოხობი რომ მოვკლა, რას
მეტყვე, ხომ არ მაწყენს?

ექიმი — ვიცვ! სადაა, თვარა...

ამბავო — რავა ატყობ, ამ ზამთარს გა-
ატანას თუ იცი?

ექიმი — ნეტრა ასე ჭანმრთელი ჩვენ
ვცყოთ... ნუ გეშინია, სოფიო, მშვენიერად
იქნებით... აბა, კარგად ბრძანდებოდეთ...

სოფიო — დიდი მაღლობა, შვილო,
მარა ახლა მართლა ისე წახვალ, ოჯახს არ
დამილოცავ? აგერ, მაგიდზე სანთლის
არაყია...

ექიმი — აბა, პა! არაყი სხვებს აუცი-
რალე და მე თვითონ დავლევ?

სოფიო — სხვებს რომ აუკრძალე, შენ
უნდა დალიო, აბა, ხომ არ გადავისხამ
სანთლის არაყის?

ამბავო — ჩენენ არ ვსვამთ, მარა იქნებ
შენ მოგეწონოს, ბიძა... .

ექიმი — კარგი, თქვენი ხათრი იყოს...

მართლია, მანქანით ვარ მოსული, მარა
ცოტას მაინც დავლევ...
ამბაკო — არ გინდა, კაცო...

ამბაკო — მანქანით რა გიტირს, ბიძი-
კო... თუ გზიდან არ გადაუხვევე...

მართა — ნუ დაალევნებთ, კაცო, მან-
ქანითა, ნუ!

ექიმი — აბა, დავლიო თუ არა, უყარეთ
კინი...

სოფიო — დალიე, შვილო...

ექიმი — სოფიო ბიცოლა, ასეთი ბედ-
ნიერი დღე ბევრი გათენებულიყოს ჩვენს
სოფელში.

სოფიო — იცოცხლე, ნენა, კაი ხაჩ!

ექიმი — მეშინა, ვინმე გზაზე მოვრა-
ლი არ შემხვდეს, თორებმ თვითონ იმდენს
არ დავლევ, ვინმეს მანქანა დავპახო...
ოქვენც გაიძირაჯოთ, მეზობლებო!.. ახლა
რა დალევს ამას! (გადაპერა) ბიჭოს!..

მართა — რა იყო, ბატონო?

ექიმი — კაცო, თქვენ სინდისი აღარა
გაქვთ?

ამბაკო — რა იყო, ბიძია ექიმი!..

ექიმი — კაცი ივად თუ არ გახდა, ისე
არ შეიძლება ექიმს დაუძახოთ და ამის-
თანა არაყი დაალევინოთ?

მართა — ასე მოგეწონა?

ექიმი — სოფიო ბიცოლა, მართალია,
მანქანით ვარ, მარა თქვენი ნებართვით
ერთს კიდვა დავლევ.

სოფიო — დალიე, შვილო, დალიე... ამ
ხალხს მაინც კი ხოცავ და გინდა ჩეცებ-
ტით მოგილავს და გინდა მანქანით, სულ-
ერთი არაა!...

თავმჯდომარე — აი, ესეც შენი კაი სო-
ფიო!

ექიმი — სოფიო მაგას გულით არ აძ-
ბობს... ახლა ლევნის დაბრუნებას გაუ-
მარჯოს, შვილები, შვილიშვილები მოსწ-
რებოდეს...

ამბაკო — შვილიშვილების საღლეგრ-
ძელო ცალკე შიგელო, ბიძიკო...

ექიმი — კარგად იყავი, ჩემო სოფიო...
მერე კიდევ მოგინახულებ... ჭიჭიკო, შენ
ხომ არ მოღიხარ?

თავმჯდომარე — არა, დავრჩები, საქ-
მე მაქვს...

ექიმი — აბა, კარგად მენახეთ (წავიდა).

მართა — კაი ექიმია...

ამბაკო — კი, სათამაღი კაცი უკეთე-
სი არ იქნება...

თავმჯდომარე — არა ურიგო მეურ-
ნალი... ცოტა დალევა კი უყვარს...

სოფიო — ოჰ, რავა გამავიწყდა... თა-
მრო! (შემოდის თამრო)

თამრო — რა იყო, სოფიო დეიდა?

სოფიო — ამ წერილში ორი სიტყვა,
ექიმსაც ჩაწერა, ხომ კარგი იყო?

ცაცა — წავალ დავეწევი...

თავმჯდომარე — არა, ბიძიკო, როცა ის
მანქანაშია, გზაზე არ გახვიდე, საში-
შია...

ამბაკო — მიეწეროთ, ჩემო ბატონნ...

სოფიო — ჩვენი სათქმელი ჩაწერი-
ლია, თქვენი დაუმატეთ.

თავმჯდომარე — აბა, ჩაწერე, თმრო!

ლაპარაკობს თავმჯდომარე... ძმათ და
მეგობარო, ლევან! გვიხარია, გელოდე-
ბით. მალე ჩამოდი, საკადრისად შეგ-
ხდებით. ძმური სიყვარულით, ჭიჭიკო.

ამბაკო — კაცო, რავა დეპტაშავით
შეამოკლე, ორი სიტყვა დაუმატე, რა იქ-
ნება, ფულს არ გახდევინებთ...

თავმჯდომარე — მერე მე ცალკე მივ-
წერ კიდევ.

ცაცა — მეც არმ ცალკე დავწერო,
თუ შეიძლება?

თავმჯდომარე — ასე მალე შეგზარა,
ბიძიკო, კოლექტივში მუშაობა?

ცაცა — ცალკე ქაღალდზე დავწერ და
ოქენთან ერთად გავგზავნი.

სოფიო — არიქა, შვილო...

მართა — დაწერე, აბა, ჩემო ცაცუნია.

ცაცა — ამ წუთში მოვიფიქრებ (გავი-
დი).

მართა — რადგან კოლექტიურ წერილს
ვწერ, კოლექტივის ამბებიც მივწე-
როთ...

თავმჯდომარე — სწორია, წერილს მე-
ტი უდერადობა მიეცემა..

ამბაკო — რა ელერადობა, ახლა მათ
საფრანგეთში „ხასანბეგურას“ იმღერებს
თუ?

თავმჯდომარე — „ხასანბეგურა“ წამ-
ტითხველს უნდა ამძროს.

ამბაკო — დაწეროთ, აბა...

ბართა — რაცხა კოსმოსია, რომ ამ-
შობენ და ცაში ქალი გააფრინეს, მათ არ
შეიტეროთ?

ამბაკო — კაცო, ჭურში ხომ არ იჯდა.
მაგას კი გაიგებდა...

თავმჯდომარე — გაიგებდა, როგორ
არა... საფრანგეთი არც ისე ჩამორჩენი-
ლი მცეყანაა...

სოფიო — გაიგებდა, მარა შინიდან მი-
წერილი მაინც კაია და ჩაწერე, დედაშ-
ვილობას!!

ბართა — იმისი სურათი ხომ არ ვავუ-
კვიცნოთ... იმისი, პირველად რომ გაფრი-
ნდა... გავარინის?

თავმჯდომარე — მაგასაც კი ნახავდა,
ჩემო მართა.

სოფიო — მაგას კი ნახავდა, მარა აგერ,
ჩენენი სოფლის დაწყვრელები რომა და-
ფაზე, ჩაის მეტეფავები, ძროხის მწველა-
ვიბი, ამათი სურათები არ გავგზავნოთ?..

ამბაკო — კაი, ერთი, ჩემო სოფიო...
ძროხის წველა რა გმირობაა, შე ქალო?

თავმჯდომარე — შენ დაწყნარდი, სო-
ფიო ბიცოლა, ექიმმა ხომ გირჩია, ნუ
აღლელდებიო... დაწყნარდი, რაც საჭიროა,
ჩიდეც მივწერთ და კიდეც გავუგზავნით...

სოფიო — რამე არ გმირგვრჩეს, შვი-
ლო, აქაური კი ყველაფერი გაუხარდე-
ბა...

ამბაკო — ერთი ჩემი მოკითხვაც დაწე-
რე, თამრო.

თამრო — მიკარნახე, ამბაკო ბიძია...

ამბაკო — კაი გამარჯობა, ჩემო ლევან
ბიძია... ჩენენი სოფლის ხრონცა ბერიკა-
ცები, ჩემი მეთაურობით, სულ კარგად
არიან და შენს ლაბრუნებას ელიან... რავა
ხარ, ბიკო, რომ მოგვანატერე თავი, თუ
ცოცხალი იყავო, აქამდე ვერ გმოჩნდი?
მარა ახლაც რამხელა მაღლობელი ვართ,
რომ იცოდე, რომ ცოცხალი ყოფილება...
ლევან ბიძ...

ბართა — მოდცა, ახლა ზლაპარი კი არ
ცოდა, მოკლედ თქვით...

ამბაკო — მაცალე, ქალო, ორი სიტყ-
ვა არ ვუთხრა! კაცი იცდასამი წერი-
წალია არ მინახავს... დამალაპარი ვრ-
თი...

სოფიო — კონვერტში ცოტა ფული
რომ ჩავდო, ხომ არ დაიკრება?

თავმჯდომარე — არ უნდა, სოფიო, იქ
ჩენენი ფული მაინც არ გადის..

სოფიო — რას ჰქევია, არ გადის, მე
ფული თუკი ვიშვენე, იგინი ჩვენობით
წუნობენ?

ამბაკო — არ უნდა, სოფიო, შენ ნუ
ჩენარობ, ფულს კი იშოვიდა ის კაცი...

სოფიო — ცოტას მაინც ჩავდებ, ცო-
ტას...

ამბაკო — ჲო, ცოტა, ერთი ათასი მა-
ნათი შეიძლება. დაკარგვით რავა დაიკა-
რება, გზაში ვარდენა დუშბაძე ამო-
ლებს.

ბართა — ახლა ერთი ჩემი სიტყვაც
ჩაწერე, თამროს ვენაცვალე...

თამრო — თქვი, მართა ბიცოლა...

ბართა — გერ გამარჯობა, შვილო ლე-
ვანა! ბიცოლა, რაფერ გავიხარდა, ბიჭო,
რომ იცოდე, რომე ცოცხალი ყოფილ-
ხარ... აბა, შენ იცი, რა მალე ჩამოხვალ
და კას იზამ... გაახარე, ბიჭო, დედაშენის
გული... ახლა, ჩემო ლევანა, ერთ რამეს
შევეხვეწები, ბიჭო! იქნებ ჩემი ვანიჩქას
ამბავი იცი რამე, ამდენი ხანი დაკარგუ-
ლია და უბედური დედამისი რაფერ ვარ
ცოცხალი. არ დაგვიწყდეს, შვილო, ამ-
დენი ხანია ველოდები და არ გამოჩნდა...
იქნება იცი რამე ჩემი ვანიჩქას ამბავი...
ამას გევეხწება შენი ბიცოლა მართა (შე-
მოლის ცაცა):

ცაცა — დაწერე.

სოფიო — წავეკითხე, შვილო...

ცაცა — (კოთხულობს).

ამდენი ხნის მონატრულო,
დაუბრუნდი მშობელ კერას,
გაუმარჯოს ბრძოლის გმირებს,
ვინც სამშობლო ასახელა...
ბართა — ბიჭოს!

ცაცა —

ძა ლევან, შენს ჩამოსვლას
ველოდებით კაი გულით,

ჩევენი სოფლის ყვავილების
გესურს მოგიძლვნათ თაიგული...
თავმჯდომარე — მომქალი ეინცხამ, ეს
გოგოც პოეტი გამხდარა! აწე ჩაი-
გის ვაკერფიო, ბიძიო?

ცაცა —

ძია ლევან, ამ ჩემს ბარათს
სიხარულის ცრემლებს ვატან,
მას გიგზავნის ერთი ბავშვი,
ვინც შენს მერე დაიბადა...

სოფიო — შენ გენაცალე, ჩემო ჩიო-
რავ! თამრო, ჩადე ეს ლევსი მაგ კონვე-
რტში, ამისთანა არც ერთს არაფერი ჩაგ-
ვიწერია, ვგაჭობა!

თამრო — ყოჩაღ, ჩემო ცაცუნია, ვი-
წერ ხუთიაში... (შემოდის ფოსტალიონი).

ფოსტალიონი — სოფიო, ბოლოს ხომ
გაგახარე მაინც? ოცდასამი წელიწადია
ჩემს დანახაზე ციებ-ცხელება ვიღლიდა,
თვითონ ვიწოდი შენი ცოდვით, მარა რა
მექნა, წერილს მე ხომ ვერ დავწერდი?

თავმჯდომარე — ბოლოს ხომ მაინც
გაგიმართო?

ფოსტალიონი — რა კაი ვექნი, პენსია-
ზე რომ არ წავედი! მოგივდათ თქვენ
დამსახურებული ფოსტალიონი ვარდენა
დუმბაძე!

თავმჯდომარე — ეს საპატიო წილება
ვინ მოგაიძია?

ფოსტალიონი — დამსახურებული ექი-
მი და აგრონომი თუ შეიძლება იყოს,
ფოსტალიონმა რა დავაშვე, ოცდახუთი
წელიწადია ამ გზებზე რომ ვეხავუნე-
ბი?

თავმჯდომარე — გართალი ხარ და მა-
გასაც მოვაგვარებთ, შენც იქნები დამსა-
ხურებული!

ფოსტალიონი — თუ იქნება, კაია და
თუ არა, მაგისათვის თავი არ შევიწუხო,

არ მოგივდეთ თქვენი ვარდენა დუმბაძე.
თავმჯდომარე — ლევანს კოლექტიურ
წერილს უვგზავნით, მოდი, ჩაწერე რა-
მე...

ფოსტალიონი — თამრო, მიაწერე, ბი-
ძიკო... გამარჯობა, ძამია ლევან! ლევანა,
ნუ გეშინია, ბიჭო, ფოსტა კარგად მუ-
შაობს... რასაც გამოგზავნი, ყველაფერს
დედაშენს ჩაგაბარებ... მოგივდეს ფოს-
ტალიონი ვარდენა დუმბაძე... ისე რავა
ხარ? მომიკითხე კოცნით ფრანგის ქალე-
ბში, მოგივდათ ვარდენა დუმბაძე-ოქება!..

თამრო — აბა, წერილი მზადაა... ავერ-
კონვერტი და მისმართი...

თავმჯდომარე — შენი თავი ხომ არ
გამოგრჩა, სხვისი აზრების წერაში?

თამრო — ჩემი სტრიქონებს შორის
იგულისხმება, წაიკითხავს მონდომებული
კაცი...

ფოსტალიონი — ჰოლა, თუ მზადაა,
მოიტათ, ამაღამვე რაიონს ჩაგაბარებ...
ყველას გავაფრთხილებ, რომ პასუხისაც
იქ მოვიკითხავ. გლოხა სიტყვაა?

თავმჯდომარე — ვარდენა, ხანდახა-
ვარგებული კაცი ეგონები ვინმეს..

ფოსტალიონი — ამბაკო, ბატონოვ,
ცუდს ვამბობ?


ამბაკო — კაი ხარ, ვარდენა, კაი, მარა
ლვინონ ნაკლები სცი, მაი ქვეყნის ზიარა
ხურკინი არ დაგრჩეს საღმე...

ფოსტალიონი — წერილი ხომ ჩაგაბა-
რებ? დანარჩენი მე ვიცი! მოგივდათ
თქვენ თქვენი დამსახურებული ვარდენა
დუმბაძე!..

სოფიო — აბა, მოდით, ჩევენ პატარა
პურმარილი მოვამზადეთ.

ფოსტალიონი — პურმარილი? ჰოლ,
ერაა ურიგო საქმე!

ფარდა.



მლია ხომალია

ფერთა სიუხვე

ლადო გუდიაშვილს.

მე შენს სურათებს ჩავცეროდი
 და მიხაროდა —
 უშბის თეთრ მწვერვალს მზის სხივები
 აფერალებდა,
 ის სურათები გადმოვიდე
 მაღალ თაროდან,
 გამოძერწილი შენი ხელით
 ძალას მმატებდა.

რამდენი ღამე, ალბათ, თეთრად
 დაგთენებია,
 ჩანაფიქრისთვის რომ სიცოცხლის
 სული ჩაგედგა,
 ცას მიბჯენილი მშობლიური
 ეს ხომ მთებია,
 რომელმაც ღიღი სიყვარული
 მკერდში ჩანერგა.

ისეთი იყო ყალმის ძალა,
 რომ ჩამქრალ კერას
 აბრდლიალებდა, უნუგეშოს
 აღარ სტოვებდა,
 ფერთა სიუხვის საოცარი
 თითქოს სიმღერას

ସେବଦା ମିତ୍ରଙ୍କନ୍ଦା, ସିଦ୍ଧାର୍ଥଲୀତ
ଘ୍ୟାଖ୍ୟାତନେବ୍ରଦ୍ରା.

ତ୍ୟବିଲ୍ଲମ୍ବନ୍ଦାରି ଯେ ମହାତ୍ମାରି
ନେତ୍ର ମେନ୍ଦ୍ର ଅରୀ,
ଚେତାଗନ୍ଧେବା ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟ
ମର୍ଦ୍ଦ ଗଢାର ଉନ୍ନାତେବ୍ରଦ୍ରା,
ମତ୍ତେଲୀ ଅର୍ଦ୍ଧବ୍ରଦ୍ରା, ମତ୍ତେଲୀ ଗର୍ଭବନ୍ଦାରି
ବାଲ୍ମୀକି ଶ୍ରୀକରୀରି
ଘୁଲୀଶ୍ଵରିଲୀର ଶ୍ରୀଶମାରିତୀରି
ଦୀର୍ଘ ଶୁରୂତେବ୍ରଦ୍ରା.



გამია ასათიანი

გეგუთის ძელ ქვები

კიბეები რომ აათავა, ივანე მხარგრძელმა მაშინ გადმოიხედა ზემოდან და გაოცებისაგან კინალამ ძირს ჩამოვარდა კაცი. ადამიანთაგან თვალ-უნახავი რამე იხილა! რიონისპირისკენ ცვრიან კოინდარში დედოფალი თამარი ფეხშიშველი დაიარებოდა. ივანემ თვალები რომ მოიფშვნიტა, მხოლოდ მაშინ დაიჯერა. ნამდვილად მეფეთმეფე იყო. მის ბროლივით წვივებს სამყურას ფოთლები აქა-იქ მიწებებოდა. უბრალო კაბა ეცვა, უქამრო, წელში ფარფაშა. გლეხის გოგოს ჰგავდა. ეშხი და სილამაზე კი უფრო მომატებოდა. კოქებს ზევით გვირილას ყვავილის ორი ფურცელიც მიკეროდა. თეთრი ხალივით მოჩანდნენ შორიდან.

— ადამიანი მაინც ადამიანია, მეფეც ისაა, რაც გლეხია. მეფეთმე-ფესაც მონატრებია ცვრიან ბალაში ფეხშიშველა სირბილი! განსხვავება ისაა, რომ მეფე ნამალებად სჩადის ამას, გლეხი კი ამქვეყნად არც თავის სიხარულს მალაცს და არც დარდს.

ივანემ ერთი კიდევ მოკრძალებით გადახედა თამარს და თეატრონის დარბაზისაკენ გაუხვია. დღეს აქ სვანებს ელოდნენ. თამარმა ბრძანა, სვა-ნური სიმღერები მომატრებია, მომასმენინეოთ. სვანები ვიწრო აივანზე დარბაზის წინ შეჯგუფულიყვნენ და ისე ბუჭუნებდნენ, თითქოს საავდროდ გამზადებულ ღრუბლებში მეხის ბორბლები დაგრუხუნობდნენ.

— ივანე მხარგრძელი მობრძანდება! — მისი ჭყუით თითქოს წყნარად თქვა ვიღაცამ, ნამდვილად კი მისი ხმა რიონის ნაპირისაკენ გრგვინვასავით წავიდა. ივანეს ულვაშებში ჩაეღიმა. სვანები უყვარდა ნაცად სარდალს. იცოდა, მათი ვეება ბეჭები უქმად როდი დაენახვებოდნენ ბრძოლის დროს მტერს: სადაც ისინი იყვნენ, იქ გამარჯვებაც იყო. ივანეს თვითონაც ბრძოლის დროს გული მათკენ მიუწევდა. იცოდა, არც ერთი სვანი გვერდს არ შეუბრუნებდა მტრის საქვეყნოდ განთქმულ სარდლებსაც კი.

იგი დარბაისლურად მიესალმა მათ. ოჯახები მოიკითხა. ჭანი და მარილი უსურვა. სვანებმა პატივისცემის ნიშანად მოკრძალებით დაზარეს თავი, ხარისხელა თვალებს მაინც იქითა-აქეთ აფათურებდნენ.

— თქვენი ხმა მონატრებია ქვეყნის მნათობელს. ამიტომ გიხმეთ. — შეელაპარაკა ივანე სვანებს.

— ღმერობა მისი ხმა ნუ მოუშალოს საქართველოს. ჩვენ სიმღერას როგორ დაგამადლით?! სვანეთში ხომ თამარზე მღერის ყველა!

უცებ რაღაც მოხდა — იფარელი მურზაყანი წისქვილის ბორბალზე ღარმიშვებულ ღოლაბივით შემოტრიალდა. ანაზდად ყველას ურუანტელ-შე დაუარა ტანში და ცოტა ხნის შემდეგ ყველას სიცილი შესკდა. თვითონ მურზაყანსაც ლიმილი მოერია. მხარზე თვალებბრიალა კაპუეტი შემოჯდომოდა და კიპკიბებდა. სწორედ ამ მიმინომ შეარხია ასე ანაზდად ვეება სვანი.

— თამარის კაპუეტია, ალბათ, ბაზიერებს გამოპარვია. შენი ბეჭი მუხის ტოტი თუ ეგონა, მურზაყან! — შესცინა ივანემ იფარელს. მურზაყანი ბავშვივით გაწითლდა.

— მე კი შემაშინა, მეგონა ეშმაკი შემომახდა მხარზე-მეთქი, — გამოაჩინა ვეფხის კბილები მურზაყანმა. ახლა ენიშნათ მეზობლებს — მურზაყანს ხელი ხანჭლის ტარზე ჰქონდა შემოსალტული: იარაღზე წაევლო სარისოდენა დაბანჯგლული თითები.

„მართლაც შეშინებია ამ დევისხელა კაცს!“, გაიფიქრა ივანე მხარგრძელმა და თვალი აარიდა მურზაყანს. სწორედ ამ ხორხოცისას კიბეზე შოთამ შემოაბიჯა. ყველანი გაილურსნენ. ივანემ სვანების მოკრძალებული სუნთქვით იგრძნო მოსულის სიდარბაისლე. შოთას თავი არ მოჩანდა და ამიტომ მოსულის ვინაობას ვერ მიმხდარიყო. შეხედა თუ არა, თვითონ შეეგება წინ.

— თქვენი სიცოცხლე, სიტყვის ჯადოქარო! დღეს ჩვენ სმენას დიდი სიამოვნება ელის.

— სვანთა სიმღერა ღვთიური სიმღერაა. აბა, ვის არ გაეხარდება „ლილეს“ მოსმენა, მხედართმთავარო!

— როცა მას ვისმენ, ჩემს თავს არ ვეკუთვნი. მგონია, წმიდანები ამდგარან, იალბუზზე ხმიადი გაუტეხიათ და ზედაშის წინ ქვეყანას ფენენ ადამიანის სიცოცხლის სიძლიერის და ვაჟკაცობის საგალობელს.

— ჭეშმარიტად იქ, მაღალ მთებში არის დაბადებული ეს სიმღერა, — წყნარად თქვა შოთამ და სვანებისაკენ გაიწია:

— გამარჯობათ, მეგობრებო, სულს და გულს უხარის თქვენი მობრძანება!

— თქვენი დანახვა კი ჩვენი სახლის საძირკველს ამაგრებს და თავანს უფრო მაღლა სწევს, შოთა ბატონო! — თვითონაც წინ წამოდგა იფარელი,

შოთას თვალები გაუფართოვდა. უხერხულობა რომ დაეძლია, თეატრონის დარბაზის კარებისაკენ გადადგა ნაბიჯი და ხელისკვრით შეიღო იგი. ყველამ იქით გაიხედა. უჩვეულო სანახვი გამოჩნდა. ოდნავ ამაღლებულ ადგილზე ცით და აქეთ რკინის გალიებში დედალ-მამალი ჯიქები აბრიალებდნენ თვალებს. სკანები შეიშმუშნენ. შეეტყოთ, ჯიქი თვალით არ ენახათ. სკამები სწორედ ამ ამაღლებულ ადგილას შემოეჭარათ. მიხვდნენ ისინი, მაყურებლებს და მსმენელებს ჯიქები ზემოდან შეულრენდნენ და დაუბრიალებდნენ ნაკვერცხლებივით აკვესებულ თვალებს.

— ჩვენ, ალბათ, მათ გვერდით უნდა დავჭდეთ და ვიმღეროთ! — ვერ მოითმინა იფარელმა სათქმელი.

— ნუ შიშობ. რკინის გალიაში არიან. თუ გარეთ გამოვიდნენ, მაშინ გინდ გვერდით ყოფილხარ და გინდ დარბაზში, სულ ერთია, ვერსად გაეჩვევი უხანგლოდ.

— თამარის დაზრდილია. ბოკვერები მოჰკვარეს ინდოეთიდან, — წყნარად თქვა შოთამ. თქვა და ტკბილის კვერი თავისი ხელით გაუწოდა რკინის გალიაში ერთ მათგანს. ერთმა რომ მოლოკა, მეორემ ბრდლვინვა დაიწყო.

— მეორესაც უნდა ტკბილეული, — ისევ გაიღიმა შოთამ და ახლა მეორისკენ წავიდა ნელა. როცა მეორესაც მოზრდილი დათაფლული კვერი მოუხია, სკანებისაკენ შემობრუნდა:

— ორივე ბოკვერი ივანე მხარგრძელის საჩუქარია. თამარი მეტად გაახარა ამით დიდმა სარდაღმა, — შოთამ ივანეს პირდაპირ შეხედა.

— არ მეგონა, ასე თუ ესიამოვნებოდა, თორემ ანდოეთიდან ლომის ბოკვერებს წამოუყვანდით.

— თამარს ვეფხი და ჯიქი უყვარს. მათი სილამაზე ხიბლავს.

— დია რომ ლამაზია ვეფხი! უთვალავ ფერებს ითვლის მისი ბეწვი. თამარსაც გულით უყვარს ვეფხი და ჯიქი! — ასევე წყნარად თქვა შოთამ, მხოლოდ ახლა ხმაში ნაღველი დაეტყო. მხარგრძელმა ერთი კი შეავლო თვალი შოთას, მაგრამ სიტყვა არ უთქვას.

სკანები ბუბბუხით შელაგლნენ დარბაზში. ცოტა ხნის შემდეგ ხალხი მოაწყდა თეატრონს. სოფლიდან გლეხები არ იყვნენ მოპატიუებული, მაგრამ სამეგრელოს მთავარს შვიდი ძმა ბოლოკია მოჰკვა. თამარის თხოვნით ისინი გეგუთში უნდა დასახლებულიყვნენ. შვიდ ძმას ცალ-ცალკე გამოუყვეს სამოსახლო, სახლის მასალა და წყვილ ხართან და ძროხასთან ცხენიც უსაჩუქრეს საჯდომად. ხვალ დილითვე უნდა მიეღოთ ეზოები ბოლოკიებს.

„დღეს აქ იყავით, სკანების სიმღერას უყურეთ“, უბრძანა მათ დადიანმა.

ვარდიფინა დაფეთებული შვლის თვალებით უყურებდა ამდენ სანა-

ხავს. ამდენი თავადი და აზნაური ჯერ არ ენახა ბავშვს. იგი თორმეტ-ცემეტი წლის იყო, მაგრამ თხილის წნელივით მის ლამაზ ტანს ვერც ერთი ვაჟკაცი ვერ აუვლიდა შეუთვალიერებლად გვერდს. უმცროს ძმას დადიას ნაჩქარი დარაიის მოსირმული ბაშლაყი წაართვა და თავზე არ იშორებდა. ოვალწარმტაცად ლამაზი ჩანდა ამ ბაშლაყში. თამარი ჯერ არ ენახა გოგონას. მისი გული ვერ ითმენდა, ერთი სული ჰქონდა, სანამ დედოფალს დაინახავდა. თამარზე არანაკლებ შოთას ნახვის სურვილი ჰქოლავდა. წერა-კითხვა ვარდიფინას დადიანის ქალიშვილმა ასწავლა. მის საწოლ ოთახშივე წაიკითხეს ორივემ „ვეფხისტყაოსანი“. ხელით ნაწერი ტყავის წიგნი ხელიდან ხელში გადაღილდა. ვარდიფინას სულ სხვანაირად ჰყავდა წარ-მოდგენილი შოთას და თამარის სახე. მისთვის თამარი ნესტანი იყო, შოთა კი ტარეელი და ავთანდილი ერთად. დადიანის ქალწულმა ბერძნულიც იცოდა და ხუცური ასოების კითხვაც. ორივე ისე ისწავლა ვარდიფინამ, რომ მასწავლებელს ბევრად გაუსწრო. მხედრული მაინც ყველას ერჩია.

თანდათან შეივსნ დარბაზი. ამდენხანს ოდნავი ჩურჩული ისმოდა, ახლა უცებ ყველანი ერთბაშად გაჩუმდნენ.

„დედოფალი მობრძანდებაო“, გაისმა და ხალხი ერთი ხელის მოკვრით წამოდგა ფეხზე. აღმოსავლეთის კარებს მისჩერებოდა ყველა. ის კი ჩრდი-ლოეთიდან — აიგნიდან შემოვიდა. ვარდიფინამ თითზე თვითონვე იქმინა და შეწუხდა. ეგონა, თამარს ვატკინე თითოო.

მისი აზრი გამართლდა. თამარი სწორედ ისეთი იყო. ლამაზი კი არა, თვალთუნახავი, წყნარი, დარბაისელი. არა, ის ადამიანს არ ჰგავდა. ანე-ლოზი იყო გვირგვინმოსილი და ერის წინამძღოლი. გვერდით დავით სოს-ლანი მოკყვებოდა. უკან მთელი ამალა. დადიანი ხელმარჯვნივ ახლდა დე-დოფალს. ვარდიფინას თვალები დაეწყურა.

— ნეტავ შოთა თუ არის სადმე? — ეკითხებოდა თავის თავს. ყველა-თვალი შეავლო. ვერავინ მიამგვანა ოცნებაში ხორცესსმულ შოთას. „ალბათ, თბილისში დარჩაო“, გაიფიქრა და თითქოს დაწყნარდა კიდეც.

დაიწყო სვანთა სიმღერები. ვარდიფინას პირველად ესმოდა ასეთ-მაღალი, გუგუნით საგაე სიმღერები. პაი დედასა, მისი „სისატურა“ მარწკ სხვა იყო. ანაზღად სარქმელს გააყოლა თვალი და გაოგნდა. ორმოცდა-ათამდე არაბული შავი ცხენი შემოიყვანეს. ცხენები კი არა, ყელმოღერე-ბული ირმები იყვნენ. ახლა ფეხებს არ იკითხავ? ძაფებივით გაჭიმულივა-ვნენ ფეხზე უკანა ძარღვები. გეგონებოდათ, კოჭში გადატყდებაო. ვარდი-ფინამ ცუდად არ იცოდა ცხენის ფასი. მოპერა თვალი თუ არა, სულიც იქათ გაეჭა. გულმა რეჩხი უყო, როცა დადიანის მეჭინიბე შეიცნო ცხე-ნების ჩამოყვანთა მეთაურად. ახლა გაახსენდა ვარდიფინას ქალწულის ნათქვამი — თამარმა ჩვენი ნაქები მეჭინიბე შორეულ არაბეთში გაგზავნა.

ცხენების ჩამოსაყვანადო. ვარდიფინამ ერთი კი გადაატრიალა თვილების
და კარებში გაძვრა.

დასავლეთით სასახლეს მოზრდილი ლობე მიპყვებოდა. სწორედ იქ
მირეკეს ცხენები. ეტყობოდათ, საჯინიბოში შეყვანამდე უნდოდათ თამარს
ენახა სახელდახელოდ. ვარდიფინა ჩიქოვანს მიუახლოვდა.

— შემსვი, პატენი კიში, — შეეხვეწა იგი. — ასეთი ცხენები ჩემს,
თვალებს არ უნახავს მის დღეში.

ჩიქოვანს სიცილი შესკდა.

— შენ კი არა, ძლაბო, მე არ მინახავს! ვისი ხარ, გოგო?! მარგალი
ძლაბი ხარ, ხომ?!?

— კი, პატენი, ბოდოკია ვარ. დადიამ ჩამომიყვანა აქ. თქვენ გიცნობთ.
პატარა ქალბატონმა მითხრა თქვენი დასაკარგავში გამგზავრება.

— ბიჭოს! შენ რა იცი, ძლაბო, მართლაც დასაკარგავში ვიყავი. ამ ცხე-
ნებივით შავია იქაური ადამიანები. პირველი ვიშერე, პირველად რომ ვნახე.

— „ვეფხისტყაოსანი“ არ წაგიკითხავს, ალბათ. იქ წერია, ზანგები შა-
ვია, ქაჯებიც, ალბათ, იმ ფერისაა. ცხენზე შემსვამ?

— უყურე ამას?! შენ რა იცი, ძლაბო, ზანგებისა და ქაჯების?! იცოდე,
ცხენზე მაინც ვერ შეგსვამ. მალე დედოფალი გამოვა, უნდა ნახოს, მეში-
ნია არ დაიწუნოს.

— თვი, არ დაიწუნებს. ასეთი ცხენები დადიანსაც არ ჰყავს. მისანა ცხე-
ნოსანი კი აქ არავინ იქნება! — ვარდიფინამ ისე გაიხედ-გამოიხედა აქეთ-
იქით, რომ ჩიქოვანმა უნებლიერ თვალი გააყოლა.

— მისანა ცხენოსანი აქ კი არა, არაბეთშიც ნაკლებად იქნება. ცხენზე
ისე დაკვდება, ფოთოლივით დაეწებება ზედ. ათი დღედამე რომ იჯირი-
თოს, თუ არ უნდა, ნაბდის ყურე ბაყვებიდან არ გამოუცურდება.

— შემსვი, პატენი, ორ ნაბიჯს გაერონიებ და ისევ ჩამოვხტები.

— ჰა, არ თქვა, ძლაბო, მეორედ. ოდიში კი არაა, გოგო, აქ. თამარის.
სასახლეა. მეფეთმეფის, დედოფალთდედოფლის!!!

— მეც ვიქნები დედოფალი. საქართველოში არ ვიქნები, თორემ სხვა-
გან კი ვიქნები, — ასე მითხრა დადიას მოურავის ბიჭმა. შენისთანა ლამაზი
ქალიშვილი დედოფალი გახდებაო. მეც მინდა დედოფლობა. ყველას გავა-
ქრისტიანებ და გავამეგრელებ.

ჩიქოვანი ისე ახორხოცდა, რომ ფეხზე ვერ დადგა. უნებლიერ ჩაი-
მუხლა.

— ამდენი ქვეყანა მოვიარე და ასეთი გოგო არ მინახავს! — ამოღერლა,
როგორც იქნა, ბოლოს ძლივდლიობით. — მომყალი, გოგო, სიცილით და ეს-
არის!

— რას იცინი, ტყვილი გგონია ხომ?! ცოტა დამაცალე, შოთას წიგნს,
სულ ზეპირად ვისწავლი, ჭკუისთვის ის მეყოფა. ბერძნული ვიცი, ხუცუ-



რი ვიცი. მეგრული ხომ ვიცი და ქართულიც კარგად მეხერხება. დედოფლის ფალს მეტი რა უნდა?! შემხედე ერთი, ლამაზი არ ვარ თუ?!

ჩიქოვანმა უნებლივთ შეათვალიერა ახლა გოგონა. იგი თანდათან დინჯი გახდა. უფრო დაკვირვებით აყოლა ისევ თვალი და თავისთვის ჩა-ილაპარაკა:

— ნამდვილად არაერთ დედოფალს სჯობია ეს ძლაბი!

ჩიქოვანს კი დაეჭრებოდა. მიწისპირი ჰქონდა მოვლილი ფეხით.

— ცხენზე შემსვამ, ხომ?! — არ მოეშვა ვარდიფინა ჩიქოვანს და თვალი თვალში უტიფრად გაუყარა.

— მომშორდი, შვილო! ხომ გითხარი, დედოფალს ველოდები!

ვარდიფინამ ერთი ისევ გახედა ჩიქოვანს და სიტყვა აღარ უთხრა. ნება გაიწია ღობისაკენ. ორი ცხენი ერთმანეთს ყელგადაბმული ეთამაშებოდა. პირდაპირ ღობის ძირში იდგნენ. ვარდიფინამ არც აცია, არც აცხელა, უცებ მოავლო სარს ხელი, ნაღობზე შეფრინდა და, სანამ ცხენი და ჩიქოვანი რასმეს მოიფიქრებდა, ვარდიფინა უკვე არაბულის ზურგზე იყო მოქცეული. უხედნავი ცხენი ერთი აკანკალდა და ყალყზე შედგა. ვარდიფინამ ფაფარში დაწყევლილივით ჩავლო ხელი. ცხენი ახლა გვერდგვერდ თვალების ბრიალით წავიდა. ჯერ აქეთ ეცა, მერე იქით, ვარდიფინამ ფერდებში ისე ამოკრა ქუსლები, თითქოს დეზები ეკრა ზედ. ცხენი კიდევ უფრო ათრთოლდა. გაგიყდა. დაფეთდა. ერთი შეხტა და ჭიშკარს მიაშურა.

— მოქლავს ამ ოჯახდაქცეულს! — ხმამაღლა იყვირა ჩიქოვანმა. ამ ხმამ დაბრძანამდე მიაღწია და უკანვე დაბრუნდა. შვილივე ძმა გარეთ გამოვარდა.

— ვაიმე! — დაიძახა უმცროსმა და ცხენისკენ გადახტა.

მისკენ გამოქცეული ჩაბალახიანი კაცი რომ დაინახა, ცხენი კიდევ უფრო გადაირია, ისევ ყალყზე ადგა, ჰაერს შეეპოტინა, მერე ადგილიდან მოწყდა და ღობეს შეუვარივით გადაევლო. ამას კი ყველამ შეხედა. თამარ-შავ ჰქიდა თვალი და ოდნავ შეჰქივლა. ღობის გადაღმა მინდორი იწყებოდა, სწორედ იქით მიუშვა ვარდიფინამ, არაბული კვიცი. ყელიდან ბაშლაყი უთურდ შეიხსნა, რაღვან ტოტებმა გაშლით გაითრიალეს. მერე ყველამ შეხედა, თუ როგორ მოახვია ყელზე ერთი ბოლო, ცხვირის ნესტოებთან ალვირივით შემოასალტა ცხენზე მჯდომმა ვარდიფინამ იგი არაბულს.

— ძლაბი კი არა ქაჯია, — ბუტებუტებდა ხმამაღლა ჩიქოვანი. ექვსი ძმა აივნიდან არ განძრეულა. ისინი ღიმილით და ცნობისმოვარეობით გასცემერდნენ ვარდიფინას.

— ტყეში არ შეუხვიოს იმ ოხერმა, — ჩაილაპარაკა ერთმა და ღოინჯი შემოირტყა. უმცროსმა ჭიშკარს გადააბიჯა და მინდორზე გავიდა. ვარდიფინა კი ცხენს მიაგელვებდა. ყველანი აივანზე გამოვიდნენ და უჩევეულო ცხენსა და მხედარს დაუწყეს ცხერა როცა ნახეს, ვარდიფინა ქუსლებს

დეზებივით სცემდა ცხენს და ისე მიერეკებოდა, ყველას ღიმილო/მოქრიგი/ ვარდიფინამ თვალუწვდენი მინდორი უკვე გადაიჩინა და თანდათან ძელ-ქვის ტყეს დაუახლოვდა. ტყეში ახლად ნაები პატარა ეკლესია ილანდე-ბოდა. ვარდიფინამ გვერდზე ჩაუქროლა ამ ადგილს და ცხენი ისევ გრძელი მინდვრისაკენ შემოაბრუნა. მაცქერალი ახლა თავისი თვალით ხედავდნენ, თუ როგორ მოფერებით უტყაბუნებდა კისერზე გაფრენილ ცხენს ვარდიფინა ხელის მტევნებს. იგი მესამეჯერ უვლიდა ახლა ამ ვეება მინდორს წრეს და, ეტყობოდა, ცხენსაც მოეწონა მხედარი. მან ერთხელ ისე შესჭიხვინა მხედარს, თითქოს ეუბნებოდა, მაგრად იჯექი, არ გადმოვა-რდეო. მესამე შემოვლის დროს ვარდიფინამ კარგად შეამჩნია, ეკლესის-თან, ძელქვების ძირში მდგომი ჭაბუკი. იგი გაფართოებული თვალებით მისჩერებოდა ვარდიფინას. ქალიშვილს ასეთი ლამაზი ყმაწვილი ჯერ არ ენახა. მეტად ჭაბუკი ჩანდა, თორემ ვარდიფინას რომ ჰყავდა წარმოდგენი-ლი, სწორედ იმ შოთას ჰგავდა. ტანსაცმელი კი ცოტა უცნაური ეცვა. ხა-ლათზეც, ქვედა ტანზეც სირმები ჰქონდა შემოვლებული. ბაშლაყი მასაც მეგრულად ჰქონდა შელობილი თავზე. ასეთ ჭაბუკს სამი წყრთა ბეჭები უჩანდა. მის სახეს რომ შეხედა, ვარდიფინა სიმლერის ხასიათზე დადგა, გალობა მოუნდა, „სისატურას“ თქმა. არა, უნდა გაიგოს ვინ არის?! მან მო-ულოდნელად ჩამოკრა გაქანებულ ცხენს და უცებვე ნაბიჯზე გადაიყვანა. ყველა გააოცა ცხენის ასეთმა მორჩილებამ.

— არაბულ ცხენებს კეთილშობილი სისხლი აქვთ, კარგ ყმას და მხე-დარს იმ წუთს იგრძნობენ, — გაიფიქრა ჩიქვანმა. ვარდიფინამ ცხენი ძელქვებში წყნარი ნაბიჯით შეიყვანა.

— სადაური ხარ შენ? — შეეკითხა იგი ჭაბუკს. ეტყობა, ახალგაზრდას გაუკვირდა გოგონას ასეთი უტიფრობა. გაოცებით ახედა, სიტყვა კი არ უთხრა.

— მუნჯი ხარ თუ? რატომ არაფერს მეტყვი?!?

— მუნჯი როდი ვარ, მაგრამ ენა ჩემი ჩემს გონებას ემორჩილება ასე სჯობიან!

ვარდიფინას ფერმა გადაურბინა. ეს რომ სხვას ეთქვა, არაფრად ჩააგ-დებდა. ამ ჭაბუკისაგან კი მეტად ეწყინა.

— კარგი ბიჭი მევონე, შენ კი მლანძლავ, არ გრცხვენია!?

ახლა ჭაბუკი შექრთა. ასეთ რამეს არ ელოდა, თითქოს დაიბნა კიდეც.

— როგორ გეკადრებათ! რა ვთქვი სალანძლავი! მე მხოლოდ ისე, ვი-ხუმრე.

ვარდიფინამ უცებ ისკუპა ცხენიდან და ჭაბუკის წინ დაესო.

— იცოდე, შეგდომის დროს მიშველე, წელან ღობიდან შევახტი. თქმით კი მითხარი, ვინ ხარ, საიდან ხარ!?

— გონიოდან ვარ, ლაზი, გვარად გოდუაძე. ხომალდების წაყვინაც პარავლობ. სახელად ვაშლია მქვიან. ვაშლია გოდუაძე.

— გეგუთში ხომალდებს რა უნდა, ვაშლია!

— გეგუთში სტუმრად მოვედი, ბიძიშვილი მყავს, წმიდა გიორგის ხატს ხატავს ამ ეკლესიაში; დედოფალმა იხმო.

— ხატს ხატავს?! აბა უთხარი მეც დამხატოს!

— ის ხატებს ხატავს და წმიდანებს. დედოფლის დახატვა კი ძალიან სურს.

— ჰოდა, მეც მალე გავხდები დედოფალი. — ასე მითხრეს მთავრის სასახლეში.

— შენ ვინა ხარ? — წინ წამოიწია ჭაბუკი.

— მე ვინ ვარ და ვარდიფინა ვარ, გვარად ბოდოქია. თამარ დედოფალმა გეგუთში გვიბრძანა დასახლება. რაც შენ გნახე, აღარ მინდა გეგუთის ეზო-კარი, გონიოში წამოვალ შენს ახლოს, მეც ვისწავლი ხომალდების წაყვანას.

ვაშლიამ გაოცებით შეხედა გოგოს — „ეს ჭკუაზე არ უნდა იყოსო“, გაიფიქრა. ხმამალლა კი შეეპასუხა:

— ქალებს ხომალდზე ვინ აუშვებს, გოგო!

— ვითომდა რატომ! განა ვერ ვისწავლი ხომალდის წაყვანას? სწორედ ამ დროს ვარდიფინას უმცროსი ძმა გამოჩნდა.

— ჩემი ძმა მოდის, იცოდე არ წაეჩხუბო!

— მე ჩხუბი არ მიყვარს, — გაილიმა ვაშლიამ. — ან რას ვერჩი, რის-თვის უნდა ვეჩხუბოთ ერთმანეთს?

— საღ დაიკარგე, ძღაბო, მთელი სასახლე გააგიუე! ყოველთვის შენ უნდა შეგვარცხვინო. დედოფალი გამწყრალია შენზე!

— დედოფალს მე რა დავუშავე. ცხენი გავუხედნე; ამისათვის ჯილდო მეკუთვნის: მატყვილებ, გამწყრალი ჩიქოვანი იქნება. დედოფალს გული არასოდეს არ მოსდის თურმე.

— ასე ნუ გვინია შენ. შენს თავქარიანობას ვინ მოითმენს! ჩიქოვანი ვამათრახებას გპირდება.

— ენა გააჩუმე, ბიჭო! შენ ეს გაიცანი, ხომალდების წამყვანია, ვაშლია გოდუაძე. ხომ კარგი ბიჭია? გონიოში მივყვები. იქაურია. როგორც კი დედოფალი გავხდები, ვაშლიას ზღვებისა და ხომალდების სარდლად დავნიშნავ.

ვაშლიამ სიცილი ვერ შეიკავა. ვარდიფინას ძმა კი სირცხვილისაგან გაშრა.

— თუ ძმა ხარ, სულელი არ გეგონოს, ასეთი უკულმართი ენა აქვს. ისე კი, რასაც ჩაიტყირებს, უსათუოდ შეისრულებს.

— იღბლიანი ყოფილა, — ისევ გაილიმა ვაშლიამ.

- იღბლიანი რომ არ ვიყო, შემხვდებოდი?! — შეუტია ვარდიფინაშ, წამოდი, გოგო, მთელი სასახლე გელის. — მან ვარდიფინაშ ცელი ჩავლო და მინდვრისაკენ გაქაჩა.
- ვაშლია, იცოდე არ დამივიწყო. მე ყოველთვის მემახსოვრები, უჩე-მოდ არ წახვიდე.
- ჭაბუქმა არაფერი უბასუხა, მხოლოდ ვარდიფინას ძმას შეხედა და მხრები აიჩეჩა. ბოდოკის არ მოეწონა ვაშლიას მხრების აჩეჩვა და ერთი წუთით დას ხელი გაუშვა.
- შენ ხომ არ ვგონია მართლა უკან გამოგეკიდება ჩემი დაი! ასეთი გოგო დუნიაზე არ არის, იცოდე!
- არ იჩეუბოთ! — გაწყრა ვარდიფინა, — ვაშლიას კი, ჩემო ძმაო, ვე-რავის ვერ დაგანებებ. ეს იცოდეს ყველამ.
- გოგომ მეტი არაფერი თქვა. კუნძიან ძელქვას მიუახლოვა ცხენი და ოვალის დახამხამებაში ისევ ზურგზე მოექცა.
- აბა, გავსწიოთ სასახლისაკენ, ბიდოკის ბიჭო! — ისევ შეუტია ძმას ვარდიფინამ. ვაშლია გაშტერებული შესცეკროდა ცხენზე ამხედრე-ბულ ვარდიფინას.
- ასეთი გოგო მართლაც არ მინახავს ჩემს სიცოცხლეში, — თავის-თვის ჩაიჩურჩულა მან. — ასეთი ცოლი რომ შემხვდებოდეს, ყველა ზღვის ქარიშხალს დავგაბნი.
- ქაჯი ხარ თუ ძღაბი ხარ! — შემოხვდა ჩიქოვანი ჭიშკართან და თან ცხენს ცალი თვალით დაუწყო თვალიერება.
- მეგრელი კაცი ცხენს როგორ დაუკავებს ცხენის მოყვარულ მხე-დარს! — იქით შეედავა ვარდიფინა ჭარმაგ კაცს.
- ეს ცხენი სადედოფლოა, ძმაბო, ჩემი კი არა!
- ჰოდა, მეც დედოფალს გავუხედნე ცხენი. ქალია და ქალის მხედ-რობას მიეჩევა. თამარმა მაშინვე მოკრა ყური ამ სიტყვებს და გაიღიმა.
- კარგი ქალი ყოფილხარ, — შეაგება სიტყვა თამარმა. — ცხენის-ნობაც დიდებული გვაჩვენე. — ვარდიფინას სახეზე სინათლე მიემატა. რგი ძმას მიუბრუნდა:
- ხომ გითხარი, ბიჭო, თამარმა გაბრაზება არ იცის-თქო. განა მეფეს გული უნდა მოუვიდეს!
- გააჩუმე ეს ენა, — ჩაუჩურჩულა ძმამ უტიფარის.
- ივანე მხარგრძელი და შოთა ერთად ჩავიდნენ კიბეზე. ორივემ ცხენე-ბის რემას დაუწყეს გასინჯვა.
- ყველა უხედარია? — იკითხა ივანემ.
- არა, ბატონო, ერთი უკვე ბოდოკის ქალმა დაგვაგალა დღეს, --- გაეღიმა ჩიქოვანს.
- ჩინებული ცხენისანი ყოფილა, — ჩაფიქრებით თქვა შოთამ.

— შოთა ბატონი, ნამდვილი მეგრელის ძლაბია! უშიშარი და უტიკ ფარი!

ვარდიფინას სიყვითლემ გადაუარა სახეზე.

— ბიჭი, შოთა რუსთაველი ეს არის? — მივარდა იგი ძმას.

— მე რა ვიცი, ძლაბო! — თავი გააქნია ბიჭმა, მაგრამ შოთას თვალი ვერ მოაშორა. ვარდიფინა ჩიქვანს მივარდა:

— შენი ჭირიმე, პატენი, ნამდვილად მითხარი, ეს კაცი შოთა რუსთაველია?

— შოთაა, გოგო, აბა, ვინ გეგონა!

— ღმერთო, მიშველე! — ბალახებში ჩაჯდა აკანკალებული გოგო.

— რა იყო, ძლაბო, ფერი რამ დაგიყარგა?

— მართალი მითხარი, პატენი, ამან დაწერა „ვეფხისტყაოსანი“?

— აბა ვინ დაწერა, ძლაბო, რას გავხარ, რამ შეგიშალა ეს სახე?

— მე კი სხვენაირი კაცი მეგონა. მე რომ მეგონა, ისეთი არ ყოფილა. თამარს ვარდიფინას ერთი სიტყვაც არ გამოპარვია.

— შენ კი როგორი კაცი გეგონა, ქალწულო?! — შეეკითხა იგი ვარდიფინას.

— მე, დედოფალო, წმიდა გიორგივით კაცი მეგონა. ეს კი ჩვეულებრივი ყოფილა!

უცებ ვარდიფინას თვალებიდან კურცხლები ჩამოცვივდა. შოთას და ივანესაც არ გამოპარვიათ დედოფალისა და ბოდოკიას გოგონას საუბარი. შოთა ჭერ ილიმებოდა, გაოცდა, მოიღუშა. ცრემლი რომ შენიშნა, თვითონაც აკანკალდა.

— რატომ ტირი, ჩემო დაიკო? იცოდე, ადამიანი ყოველივეზე უფრო დიდია ამქვეყნად.

— რა ვქნა, სხვად მეჩვენებოდი მე უბედურს!

— უბედური რად ხარ, ქალწულო? მოდი გემთხვიო, ჩემო დაიკო! ჭერ შენ პატარა ხარ. როცა ხანში შეხვალ, მაშინ უფრო მიხვდები სოფლის ბევრ იდუმალებას.

ვარდიფინამ თვალები მოიწმინდა, თამარს მოკრძალებით შეხედა და თითქოს თავისითვის წყნარად ჩაილაპარაკა: — დედოფალი და შოთა სულ სხვანაირი მეჩვენებოდნენ. დედოფალი ისეთივე ვნახე, როგორიც სიზმარში მინახავს, შოთა კი სხვაა, სულ არ გავს წარმოსახულს.

— მართალია, დედოფალი სულ სხვაა, გოგონაგ! — მტკიცედ თქვა შოთამ. — რა კარგი ხარ, შენი ენით რომ თქვი ქვეყნის სათქმელი! ნეტავი შენ ძმებს, ასეთი იდუმალმხედველი დაი რომ პყოლიხარ.

— რაღა ვქნა ახლა მე?! — ამოიკვნესა ისევ ვარდიფინამ.

თამარს გაელიმა. იგი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა მას:

— დღეიდან, იცოდე, სასახლეში იცხოვრებ! — ღიმილით უჭირავდე
გოგონას.

— ღმერთო, მომკალი! — წამოიყივლა ვარდიფინამ, — დედოფლის
გვერდით მე რა მინდა?! ჩემი შემხედვარე დიდ დედოფალს გულს შემოე-
ყრება. ჩემი უმცროსი ძმის გარდა, კაციშვილი ვერ მიიტანს.

— შენ ჭკვიანი გოგონა ჩანხარ. შეეჩევევი და გაგიხარდება. სწავლით
კი ბევრი უნდა ისწავლო.

— მე ყველაფერი ვიცი. დედოფალო! ბერძნული ვიცი, ხუცურიც ვა-
ცი; ჩვენმა მდვდელმა მასწავლა. მეგრული ხომ ვიცი და ვიცი! მხედ-
რული კი ყველას მირჩევნია. სწავლა ჩემს ძმებს უნდათ, მეგრულის გარ-
და, არაფერი იციან.

— მებიც ისწავლიან, — ისევ გაეღიმა დედოფალს. ამ დროს აივანზე
სახლთუხუცესი შემოვიდა. იგი თამარისაკენ წამოვიდა. მოკრძალებით მი-
უახლოვდა და ყურში წყნარად რაღაც მოახსენა. თამარი ოდნავ შეწითლ-
და. ცოტა ხანს ჩაფიქრებული იყო, მერე დავითს და ივანეს მიუბრუნდა:

— დარბაზის ერნი შეყარეთ, მტერს პასუხი უნდა გავცეთ.

— უი, ჩემს დღეს, კიდევ ჩხუბი იქნება?! — ცრემლნარევი ხმით ჩა-
ლაპარაკა ვარდიფინამ.

სხვას ხმა არ გაუღია. ყველანი თავდახრილნი გაყვნენ დედოფალს.

* * *

გეგუთის წმიდა გიორგის ეკლესია ცამდე აწვდილ ძელქვების ტყეში
იყო ჩადგმული. ეკლესია პატარა იყო, მაგრამ მეტად ლამაზად მოხატული. ჭაბუკი მხატვარი წმიდა გიორგის ხატავდა ახლა. ვეშაპი შავი უნდა ყო-
ფილიყო და მის მოქნეულ კუდს ყალმით ჭარბად უსვამდა შავ საღებავს.

— ვეშაპი გინახავს? — მესამედ ეკითხებოდა ვაშლია ბიძაშვილს.

— დახატული მინახავს. ისე არა.

— მე კი მინახავს. დიდ ზღვაში ვნახე. ზურგიდან წყალი ისე ამოქუჩს, გეგონება, ცას დაასველებსო.

— არ შემოგიტიათ? ადამიანებს ერჩისო?

— ჩვენი გემის შეეშინა. გაიქცა. ზღვა ააღელვა, ისე გულმოსული გა-
იქცა.

— შენ, ვაშლია, გული მაგარი გაქვს. მე ზღვის მეშინია.

— ზღვა არაა საშიში. ამ ვეშაპის დახატვა კი საშიშია. რომ ვუყურებ,
ტანში მბურდგლავს.

— კარგია გეგუთი, მაგრამ სახლში წასვლამდე ერთი სული მაქვს.

— მე კი სამიღლემჩიოდ მინდა აქ დავრჩე.

— ვითომდა რა უნდა გააკეთო, ვაშლია, აქ?

— იმ გოგონამ მომქლა. მისი ნახვის შემდეგ ძილი არ მეკარება.

— ეტყობა დამთხვეულია.



- ჰელიო დამთხვეულია, მაგრამ სახე რომ ნახო, ანგელოზე გაგონებჲავა!
- ასეთი ანგელოზები ჯოჯოხეთში უფრო სახლობენ, ბიძაშვილო!
- ერთი შენ გენახა ის გოგო, მასე არ იტყოდი.
- შეგვარებია და ეს არის!
- კი, ალბათ, შემიყვარდა. სულ მელანდება — ძილშიც და ცხადშიც.
- ძილში რა ეშმაკად გინდა, ვაშლია, ჰა, ის გოგო!
- ნუ ხუმრობ. წასვლამდე თუ არ ვნახე, გული გამისკდება.
- მე კი არავინ არ მომივიდა თვალში. ანგელოზებს როცა ვხედავ, ისინი მიღიმიან მაშინ.
- ანგელოზი შეგვარებია. ეს არის, სვანები მომიყვნენ, ნადირობის ქალმერთი ყოლიათ, ჭაბუქს შეიყვარებს და არ გამოუშვებს თურმე ყინულეთიდან.
- ჰოდა, მეც ამიტომ ვარ ამ ეკლესიებს მიბმული. სულ მინდა ანგელოზები ვხატო.
- ახლა წმიდა გიორგის რომ ხატავ?!
- წმიდა გიორგიც ანგელოზია, მხოლოდ მამაკაცი. ვაჟკაცი იყო, ვეშაპი დაამარცხა, მთელი სოფლის ლამაზი ქალები დაიხსნა დაღუპვისაგან. ამიტომ ვხატავ.
- მეც მინდა ვარდიფინა გადავარჩინო. მას უჩემოდ სიცოცხლე არ შეუძლია. მე უნდა წავიყვანო.
- შენ სულ გემებზე დაცურავ და ქალი სად გინდა წაიყვანო, ბიჭი?!
- ხომალდზე წავიყვან. ჯერ გონიოში მივიყვან. როცა გემის უფროსი ვაგხდები, მაშინ იქ წავიყვან. იცი როგორი გულადია? არავის არ ეშინია.
- ზღვისა შეეშინება.
- არ შეეშინება.
- გახედე, ვიღაც ცხენს მოაჭენებს აქეთ.
- მისი ძმაა. იცოდე, არაფერი წამოგცდეს.
- მე ენა პირში მაქვს, გარეთ კი არ გამომიტანია.
- კარგი ვაჟკაცი ჩანს, ძელქვებში გადმოუხვია.
- რატომ მოდის, ნუთუ ავადაა ვარდიფინა?
- ცხენოსანმა უკვე ეკლესიის ეზოში შეაგელვა ცხენი. მართლაც, ვარდიფინის უმცროსი ძმა, ძუკუ ბოდოკია იყო.
- გამარჯობათ ოქვენი! — შორიდან შემოსახა მოსულმა.
- გაგიმარჯოს, — მიესალმნენ ბიძაშვილები.
- ვაშლია გოდუაძე რომელია? — იკითხა ძუკუმ.
- მე ვარ, რამ შეგაწუხათ?
- ძუკუმ ელვასავით მიანათა თვალები. კარგახანს ჩუმად ათვალიერა, მერე კი თითქოს თავისითვის ჩაილაპარაკა:

— ცუდი ჭაბუკი არ ჩანხარ. მე და შენ ან მოსისხლე მტრები უნდა გამოიყენოთ, ან უღალატო ძმები. შენ რომელი გირჩევნია?

ვაშლიამ ფეხი შეინაცვლა.

— ერთსაც და მეორესაც მიზეზი უნდა. შენ ჯერ არცერთის მიზეზი არ მოგიცია.

— აკი ვარდიფინამ მითხრა, ვაშლიას უქმეო? ის ისეთი მაკვარანცხი გოგოა, შენში სიყეთე რომ არ შეენიშნა, ამას არ მეტყოდა.

ვაშლიამ მხრები აიჩეჩა. ძუქუს ფერმა გადაკრა.

— ვარდიფინა ჯერ ბავშვია, მაგრამ ის რომ იტყვის, მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდება. ტყუილი თავის დღეში არ წამოცდენია.

— მერე რა გითხრა ვარდიფინამ?

— ვაშლია გოდუაძე, ბოდოკიებთან თამაში წმიდა გიორგის არ გაუპედია, იცოდე!

— სათამაშო რა მაქვს! ვარდიფინა მიყვარს, თუმცა ჯერ ბავშვი კია.

— ე მასე თქვი, შე კაი კაცო! ორ, სამ წელიწადს კი არა, ტრფიალი კაცი ას წელს მოიცდის.

— მე კი მოვიცდი, ის თუ მომიცდის.

— ახლა კი ძმა ხარ ჩემი. მისი თავდები მე ვიქნები. არც მე ვიზამ მის ვარდუვალს და არც ის იზამს ჩემს უკითხავად რამეს.

— ჩემი ბიძაშვილის ბედი შენს ხელში ყოფილა! — წამოიძახა მხატვარმა ანაზდად.

— ჩვენ შვიდი ძმა ვართ. შვიდივეს ბედი ვაშლიას უნდა ჩავაბაროთ. ვარდიფინა ჩვენი მზეც არის და მთვარეც არის. უიმისოდ ღმერთმა ნუ გვაცოცხლოს.

— მანახეთ ერთი! — შეეხვეწა მხატვარი ძუკუს.

— ორი დღეა ავად არის. დღეს დაგვიძახა და ვაშლიას ამბავი გვითხრა. მეც ამიტომ გამოვიდეცი აქეთ.

— ვაიმე უბედურს, — წამოიყვირა ვაშლიამ, — რაღა მეშველება აწი?

— წამოდი, შენი თვალით ნახე. გაუხარდება.

— დედოფლის მესირუხვილება.

— დედოფლალს ვინ გააგებინებს. ვიჩუმათოთ.

— შენ ხომ არ წამოხვალ! — შეეკითხა ბიძაშვილს ვაშლია.

— მე მინდა ვნახო, თორებ შენ ნახე და ის არის.

* * *

ჯვრის მონასტერში არავინ ელოდა მის ჩამოსვლას. როცა გაიგეს ვინ რყო იგი, მონასტრის ყველა მცხოვრები გაოცდა.

ლრმად მოხუცი შოთა რუსთაველი იერუსალიმში *ჩამოსულიყო.

— პიიტიკოს კაცს, ნეტავი, რა ცოდვა დაედო ამსიმძიმე, ამდენი გზა რომ გამოუვლია? — კითხულობდნენ ბერები.

- მასზე ცოდვილი ქვეყნად ადამიანი არ დაიბადება. „ვეფხუნისტები“ სინის“ ყოველი ბრწყარი ცოდვით არ არის სავსე?
- ვითომდა რატომ არის ასე ცოდვიანი?
- მკრეხელობაა, ღვთის უარყოფაა თავიდან ბოლომდე.
- სიბრძნით და მუსიკობით არის სავსე. ღვთის უარყოფა მე იქ ვერ ვნახე!
- თვითონ ნახა, ალბათ, და მიტომაც მოაშურა წმიდა ჯვარს. თუ აპატია უფალმა ჩვენმა, ბედნიერი ყოფილა.
- ტაძრის გამშვენიერება განუზრებავს. მოხატვა და გამდიდრება შესამყობელით.
- კათალიკოსის ნებაცაა უთუოლ!
- დიდი თამარის სიცოცხლეში ძლიერი ვიყავით. ახლა ურჯულოებიც მოგვეძალნენ და ბერძნებიც გვეტიშპებიან.
- შოთას მოსულა განაახლებს ქართველთა ამ კაცთა და ხატთა საყუდელს.
- ჭეშმარიტად დიდია მისი განზრახვა. იერუსალიმი ქრისტიანთა სასულისთქმო ადგილია. ქართველთათვის მიწისპირის დიდი კარია.
- განგებამ უშველოს. ერის კაცი იყო, უკვდავება დაიმქვიდრა ერსა შინა. აქ კი, ჯვრის წმიდა ტაძარში, იმქვეყნიურ შვებას მოიპოვებს, ალბათ.
- საეჭვოა, იგი ამისთვის იყოს ჩამოსული. იქნება, ქართლის გამაგრება და განმტკიცება ჩვენი საყუდელიდან ისურვა დიდმა შოთამ?!
- ვინ იცის, რას ფიქრობს ღვთის ტოლი ბრძენი კაცი!
- ცას ვარსკვლავი არ დააკლდება, ასეთ ადამიანს — ფიქრი და ზრახვა კეთილი.
- ჩვენ მისი კეთილისმსურველი ვართ. მის ახლოს ყოფნა ძალასა და ღონეს გვმატებს უბრალო მოკვდავთ.
- ვითომ მარტო მობრძანდა ქართლიდან საუნჯე კაცი?
- არა, ორ მხლებელს მოუცილებია. თვითონ წასულან.
- ვინ იყენენ, ნეტავ?
- ერთი ამირბარი ყოფილა. მეორე ამირბარისვე ცოლისქმა. ამბობენ, ტაძრის მომხატავი უნდა ჩამოუყვანონ საქართველოდან.
- ძალიან იჩქარის რუსთაველი. ეტყობა, მოახლოებული განგების-ეშინია.
- ამბობენ, შიში არ იცის. სინამდვილეს ეკრძალვის, ალბათ.

ჯვრის მონასტრის ბერძები ასეთ საუბარში იყვნენ, როცა შოთა თაერს სენაკში ხმელ ხის ლოგიზე წამოწოლილიყო და ფიქრს მისცემდა. მხოლოდ ჭილოფი ეფინა ბლაგვად ნათალ თხმელის ფიცარს. რა არ იხილა თავისი ცხოვრების მანძილზე მან, რა არ ნახა, სად არ იარა?! ბოლოს, მაინც

ბერობის გზას მიენდო ამქვეყნიდან უშფოთველად განსაშორებლდნდ კარგი არ ერჩია ვარძიის ქვაბებში დაუყდებულიყო — მამა-პაპის კარგი მიღამოსა და საფლავთა ახლოს?! არა, არ სჯობდა. იქ ისევ აუშფოთებდა სულ მა-მულის ბედი. ახლა აღარ იყო თამარი, ყველაფერი მოიღებნადა და მოეშვა. ქართლის ხმალი მოიღალა, დაჩილუნგდა, პატრონი დაუსუსტდა. ისე ვეღარ ელავს და ჭრის. ქვეყანას კი მხოლოდ და მხოლოდ პატრონი აღამაღლებს და განამდიდრებს. სუსტი და ცუდი წინამდიდრო ერის დოვლათს დას-ცემს, დააკნინებს, ძალ-ლონებს წაართმევს, დააჩანაკვებს. რას იზამ, ასე ყოფილა და ასე იქნება. მე უბედურს რა შემეძლო?! მარტო გონიერება, რომც მქონოდა იგი, რას აკეთებს ამქვეყნად? არაფერს! ხალხთა მართვის ბე-დი თუ არ მოგანიჭა განგებამ, ერთი კაცი ისე რას იზამ, რას გააკეთებ, რას შეძლებ?! მე ვიყავ მონა და მონა დავ მივდივარ ამა ქვეყნიდან. მწამდა თა-მარი, მისი სიტურფე და უჩვეულო მაღალი გონიერება. მწამდა და მონა ვიყავი მისი. ის წავიდა ამქვეყნიდან სურვილდაურწყურვებელი. ვერც მა-მული აღამაღლა ისე, რომ მისი კედლები არ შერყეულიყო. ვერც შვილი აღზარდა თავისი გონიერების სიმაღლისანი. ცოცხალი იყო, ძლიერი იყო და ვიყავით ჩვენც. წავიდა ის სულნათელი და ღრმო დაგვაძაბუნა. სხვა ჰაერმა დაბერა. ცხოვრების სხვა ტალღები შემოეხეთქა ჩვენს ხომალდს. თამარმა ბევრი რამ შეძლო და მაინც გულნაკლული გაშორდა ქვეყანას. ხომ არ სჯობდა, დღმნა ყოფილიყო ქვეყნის მმართველი? ვინ იცის! მრავა-ლი ნიჭის პატრონი იყო, მაგრამ ფიცხი და უდეგარი. მეფეთა შორის დიდ დავითთან ერთად თამარ უდარებელი პატრონი ჰყავდა ჩემს მამულს. ისე-თები ასში ერთი თუ გმოერევა ქვეყნის მპყრობელთა შორის. მან ჩაუდგა უძლეველობის ლონე ჩემს მამულს, მან გასტყორცნა მისი სახელი და დი-დება ამ მიწის კიდით-კიდემდე.

მისი სახელი აკანკალებდა ჩვენი სამშობლოს მტრებს, ათრთოლებდა ბო-როტმზრახველთ, იმედს აძლევდა მეგობრებსა და მოყვარეს. ახლა ყველა-ფერი დასრულდა. წავიდა თამარ, წავიდა ქართლის სიძლიერეც. მის მზეს ღრუბლები მიეფარა. ვაი, თუ საბედისწერო წლები ესწრაფის წინ? აღზე-ვებული აღმოსავლეთი წალეკას უქადის მიწისპირს. ვინ შეძლებს მის შე-კავებას და მოთრგუნვას? მხოლოდ დავითს და თამარს თუ შეეძლოთ ეს. ახლა კი ვინ აღუდგება წინ მათ? ძე ხორციელი ვერ შეაკავებს. მათ გრიგა-ლისფერ ლტოლვას. მათი სახით ბნელეთი უახლოვდება ჩემს მამულს, ჩემს ქვეყანას, ჩემს მიწა-წყალს. სწორედ ახლა უნდა ძლიერი ხელმწიფე ჩემს ხალხს. გონიერი, შორსგამჭვრეტი და სამხედრო საქმეში დიღად გაწვრ-თნილი.

ამ ფიქრებში იყო შოთა, როცა სენაკის კარი მოკრძალებით შეაღ-ჭაბუქმა მსახურმა.

— წინამდლვარმა შემოგითვალათ მალე გეახლებითო.

- მობრძანდი, შეილო და ძმაო, კრძალვით დაველოდები მის მიმდევრული ნებას. შენ ვინა ხარ, შვილო ჩემო, საიდან ხარ? ჭაბუკი ჩანხარ!
- მე, ღიღო ბრძენო, გონიოდან ვარ, ათაბაგის ყმა გახლავართ. ხელ-წერა ვისწავლე და წიგნებს ვქარგავ ეტრატებზე.
- განგება შეგეწიოს, ღიღო საქმისთვის მოგიკიდნია ხელი. ჯერ თუ რამე გიშერია ყრმა კაცს?
- სახარებანი დამიწერია წინამძღვრის ბრძანებით. თქვენი ოხზულებაც მინდოდა, მაგრამ... — ენა დაება ჭაბუკს. გაჩერდა და ფერიც დაკარგა.
- შეგეშინა, თუ ნება არ მოგცეს? — თითქოს გაელიმა შოთას, თვალებში კი ალმური ჩაუდგა.
- არ შემშინებია, მაგრამ ტყავი არ მეყო. წინამძღვარს კი ვერ გავუბედე.
- შენ თვითონ თუ წაგიკითხავს?
- ზეპირად ვიცი. გონიოში. ყველამ ისწავლა, თუმცა წერა-კითხვა: ჯველამ როდი იცოდა!
- ჩემი მოსვლის ყამს თქვენ აქ იყავით?
- აქ ვიყავი. ორი მხლებელი თან მოგყვათ.
- ისინი მხლებელი კი არა, გამოჩენილი ადამიანებია. ერთი ამირბარია, მეორე — უებრო მეომარი. ამირბარი გონიოდანაა, თქვენებურია.
- ჩემებურია? ნუთუ ვაშლია გოდუად გახლდათ, შოთავ, ის კაცი?
- სწორედ ის იყო, შვილო. დღედღეზე ისევ ველი. ტაძრის მომხატვი თან უნდა მომიყვანონ. ჯვარი შელანძღულა, უნდა ხელახლა გავამ-შვენიროთ.
- თამარის შემდეგ ხარჯი არ მოგვსვლია საქართველოდან. აბა, თვითონ რა უნდა იღონოს წინამძღვარმა?
- თუ არ დაიგვიანეს, სხვაც ბევრი რამ უნდა ჩამოიტანონ ჩამოსულებმა.
- რახან შეგპირდნენ, სიტყვას არ გატეხენ. ვაშლიას მეუღლეს უქებენ, ბრძენი და ლამაზი ქალიაო.
- ხანში შევიდა. თოთხმეტი შვილის დედაა. ლამაზი კი იყრ, ძალზე ლამაზი. თამარსაც კი მოსწონდა.
- მამაჩემისაგან გამიგონია, თვითონაც მართავდა თურმე ხომალდს.
- კი, ნამდვილად მართავდა. ფიცხელ ომებშიც ყოფილა. ვაჟქაცზე ნაკლებ არ უბრძოლია. ვაშლია კაცს რომ თან მოიყვანს, ისიც გონიოდანაა. შენებურია.
- მომხატველია?
- ღიღო მხატვარია. თამარს უყვარდა მისი ნიჭიერებით.
- აბა, თქვენს სურათს დახატავს. „ვეფხისტყაოსანს“ მე გადავწერ. მან კი თქვენი სახე დაახატოს.

- წიგნი თან არ მაქვს. ისე ძნელია.
- სულ ზეპირად ვიცი. თუ შემეშალა, გამისწორე, შოთა ბატონიშვილი!
- გაიხედე, ვიღაც მოდის, შეილო!
- წინამძღვარია, თქვენთან მობრძანდება.

* * *

- მე მხოლოდ ასოებს ვხატავ, შენ კი ადამიანის სახეებს ასახიერებ.
- მეტად ზუსტია შენი ხაზი. შეგრძნობის დიდი ნიჭი გაქვს.
- საღებავის არაფერი ვიცი, მხოლოდ ოთხ ფერს გარჩევ! შავს, თეთრს, წითელსა და ლურჯს. მწვანე რომ მწვანეა, ისიც მერევა ლურჯერში.
- მე კი ფერები მიყვარს. უმათოდ ცხოვრება არ შემიძლია. უფეროდ სიცოცხლე არ ღირს. გახსოვს, გონიოში ზღვისპირზე დილით თუ დაღამების ფასს, მზის სხივები როგორ თამაშობენ? რამდენი ფერი ღვივის იმ დალოცვილში?! ფერებისაგან სიმღერა მოგინდება, გალობა მოგვწყურება!
- ნუ გამახსენებ, თუ ძმა ხარ! რამდენი ხანია მენატრება მისი ზღვისპირი, მისი ველ-მინდორი, მისი ციხის გოდოლებზე პოტინი.
- არა, ჯერ ვერ წავალთ. როცა მოვათვებ მოხატვას, წინამძღვარს ვთხოვთ, დროებით გამოგიშვებს.

- ვაშლია არ ჩამოვა აწი?
- არ ვიცი. ვინ იცის, რა ამბავია საქართველოში. ახლა შოთაც ძალზე მოხუცდა, გუშინ სენაკიდან გარეთ ვერ გამოვიდა. ძალზე მოტყუდა, თითქოს ტაძრის გამშვენიერებას ელოდა. უცებ მოითენთა. ეტყობა, ამ წელს ვერ გადაიტანს.
- შემეხვეწია, თქვენ დამიხუჭეთ თვალები, ჩემები ხართო! ქართლში წასვლა არ სურს. ვარდიფინა გაიხსენა, „ვეფხისტყაოსანი“ შორეული ზღვაოსნობის ფასს თავისი ხელით გადაუწერია. თამარს უყვარდაო ძალიან.
- ვარდიფინა სხვა ქალი ყოფილა. თამარის აღზრდილი სხვანაირა არ შეიძლება ყოფილყო!

- განა რუსუდან დედოფალი თამარის აღზრდილი არ არის?! ვარდიფინა წმიდანია. ცხრა ვაჟი და ხუთი ქალი ჰყავს, კარგი საქმეა. ისეთი ქალვაჟებია, მტერსაც შეენატრება.

- ამიტომ ეყვარება შოთას, ასეთი ქართველი ქალი ვის შეძულდება?!
- მეეპვება, ვაშლიამ არ უთხრას შოთას დარდი ვარდიფინას. მაშინ მას ვინ დააკავებს. უდაბნოებს ფეხშიშველი გადაივლის და იერუსალიმს მოევლინება. კაცთა შორის დიდ მამად მხოლოდ შოთა მიაჩნია.

- ბრძენი ქალი ყოფილა.
- მას უყვლაზე მეტად ის უხარია, შოთამ რომ თქვა: „ლევა ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხგადია“. მეც ვაჟკაცების სწორი ვარო. ასეთი რამ სხვას ჯერ არავის უთქვამს მიწის პირზე.

— ქმარი ძლიერ ჰყვარებია.

— ბევრხელ თავი გაუწირავს მისთვის. ერთხელ ფიცხელ ომში მძინად დაჭრეს ვაშლია. თერთმეტი ისარი გაუყარეს გულ-მერაღში. უთვალავ დაჭრილთა და მოკლულთა შორის თვალმოუხუჭად სამი დღე-ღამე ებია, იპოვა, უკურნალა, ფეხზე დააყენა. როცა ჰეიონის, რომ მომკვდარიყო რას იზამდიო? — უბასუხა: არაფერს არ ვიზამდი, გვერდზე მივუწვებოდი, მასთან ერთად დავიმარხებოდი!

— ვაშლიასაც ძალზე უყვარს თურმე.

— რა დღესაც მას ვერ ნახავს, იმ დღეს მზე ქვეყანას ალარ ანათებს. მიწის პირზე ბეჭლია მისთვის.

— აი, ბედნიერები ისინი ყოფილან. მესმის ასეთი ცოლ-ქმრობა!

— კი, ბედნიერები არიან. ვაშლია, ალბათ, უთუოდ ჩამოვა. შოთას ასე მარტოდ არ მიატოვებს; ახლა ბოდოკიები?

— ესენი ვინ არიან?

— ვარდიფინას ძმებია. გლეხკაცებია. ოდესლაც გეგუთში დაასახლეს თამარის ბრძანებით. თითო მათგანი თითო ლომია. მუჭს რომ ვაშლიან, მათ ხელის გულზე ლელობურთს ითამაშებს ერთი სოფელი. მიწა უყვართ, შრომის ხალხია. შოთაზე მზე ამოდიო. უზომოდ უყვართ.

— ერთი ჰყოლიათ და ისიც ქვეყნის დარია! ეყვარებათ, აბა რა იქნება!

— ხედავ, შოთას სენაკის კარი გაიღო! ერთი წავიდეთ, ვნახოთ მეფე-თა სწორი!

— წავიდეთ, მგონი სტუმრები მოსულან კიდეც.

— აქედან არავინ ჩანს.

— ნაბადი ჩანს კარების გვერდით. ეტყობა, ჩვენებია. ნაბადს აქ სხვას ვის უპოვნის კაცი!

ორივენი მონასტრის ზემო სენაკისაკენ გაეშურნენ. მზე ჩადიოდა. მისი სხივები ჯერ კიდევ მონასტრის ყოველ ნაგებობას ისე შემოხვევლა, თითქოს უნდოდა დასაცლეთში არ ჩასულიყო და ხომალდივით აქ დაემაგრებინა თავი. აქედან კარგად მოჩანდა გეთისმანის ბალიც. მისი ზეთისხილის რტოები მზის სხივებში ისე ირხეოდნენ, გეგონებოდათ, სხივთა შულებს იხვევდნენ ტანზე. სენაკის წინ მართლაც ნაბადი იყო მიყუდებული. კარი ისევ ღია იყო. ორივეს ლანდი კარის ზღურბლზე დაეცა.

— მობრძანდოთ, მოგვეშველეთ, — მოესმათ შიგნიდან უცწნობის ხშა. ორივენი შიგ შევიდნენ. შევიდნენ, მაგრამ ორივეს თითქოს მეჩმა დაჭრა, გაშემდნენ. შოთა სკამ-ლოგოზზე იწვა და თვალდახუჭული გარდაცვლილს ჰევდა. თავთან არქიმანდრიტი უჯდა, ფეხებთან უცნობი ვაჟკაცი იდგა.

— ნუთუ ავად არის? — წამოცდა ერთს.

არქიმანდრიტმა თვალით ანიშნა, გაჩუმდითო.

შოთამ ამ ხმაზე თვალი გაახილა. ორივეს შეხედა და გაიღიმა.

— აკი ვაშლია მოდისო? — შეეკითხა ვიღაცას მოხუცი კაცის მიმქ-
რალი ხმით.

— სულ მალე აქ გაჩნდებიან. როგორც მოგეხსენებათ, მე წინ გამო-
მიშვეს. — ეს უცნობმა ჭაბუქმა უბასუხა.

— ვითომ მომისწრებენ? — იყითხა იმავე ხმით შოთამ.

— უსათუოდ მალე მოვლენ! — მტკიცედ თქვა უცნობმა. მერე, თით-
ქოს შემოწმება უნდაა, მონასტრის მძიმე ხის კარებს გახედა. მართლაც,
ვიღაცამ ჭიშკრის ზარს ჩამოჰკრა. ნელა, წყნარად ალულუნდა პატარა ზა-
რი. შემდეგ დიდი ხის კარების ჭრიალი მოისმა და მას მოჰყვა ცხე-
ნების თქარა-თქური.

— ნუთუ მოვიდნენ? — ისევ მიხრწნილი ხმით იყითხა შოთამ.

— უთუოდ ისინი არიან. — მტკიცედვე უბასუხა ჭაბუქმა.

მართლაც, მონასტრის ღიდი ეკლესიის წინ სამი ცხენოსანი გამოჩნდა.
ისინი ძალზე დალლილები ჩანდნენ. ტანასაცმელი სულ დამტვერდათ. მო-
ადწიეს თუ არა კარიბჭეს, დაიქვეითეს და სენაკისაკენ ფეხით წამოვიდნენ.
ჭაბუქი წინ შეეგება მოსულებს:

— დაიგვიანეთ, — უჩურჩულა მათ. ამ სიტყვებმა სამივეს მუხლი მო-
ეკვეთა. ისინი ერთ ადგილს გაიყინენ.

— კიდევ კარგი, ცოცხალს რომ მოუსწარით. საღამომდე შეიძლება
ვერც კი გააწიოს. — ისევ განაგრძო ჭაბუქმა, — სულ თქვენ სახელს ახსე-
ნებდა, ამირბარო! წუხს, ეტყობა, გრძნობს სიკვდილის მოახლოებას და
შენს მისვლას ელოდება.

ვაშლიმ ხმა არ ამოიღო, ორივე თანამგზავრს ენიშნათ და სენაკისა-
კენ წავიდნენ.

ფეხის ხმა გაიგონა თუ არა, შოთა ისევ გამოფხიზლდა, შემოსულებს
მიაშტერდა და გაიღიმა. მისი ეს ღიმილი საამო იყო, ნათელი და ბედნიერი.

— ვარდიფინა ხომ კარგადაა, ჩემი ნათლულები რას შვებიან? — იყი-
თხა მან.

ახლა ხმაში თითქოს ფოლადი ჩაუდგა. მოსულთაგან ყველაზე აზალ-
გაზრდა შოთას ფეხებთან ჩაემხო.

— აქ ვარ, ნათლია ბატონო! დედამ კოცნით მოგიკითხა. — ჩაილულ-
ლულა მან ცრემლნარევმა.

შოთა თითქოს შეკრთა. ოდნავ წამოიწია. დააჩერდა, ეტყობოდა, იც-
ნო და გაოგნდა.

— ამ სიშორეს, შვილო, არ უნდა წამოსულიყავ, თუმცა... — იგი ისევ
მიეყრდნო სასთუმალს. — თუმცა... მეტად მასიამოვნე. ბედნიერი იყავ

შენს ხალხთან ერთად. — მან ისევ მილულა თვალები. ეტყობოდა, დაიღულა, მოითენთა. სუნთქვას მოუხშირა. მერე ანაზღად სავსებით გამოფაზიზღდა. ისევ წამოიწია და ნახევრად წამოდგა კიდეც.

— არ დამიმალოთ, რა იქს მამული ჩვენი? დავითის და თამარის ძეალი ხომ არ გალხობილა, ხომ არ შეცტუნებულა! ვაი, თუ მტერთა სანავარდო გახდა ქართლის მიწა-წყალი!

ამირბარისა და მის მხლებლებს თვალები აენთო. ვაშლიამ ერთი ნაბიჯი წინ წადგა.

— მამულს რა უჭირს! ვაი, რომ თქვენ სუსტად ბრძანდებით. წაყვანა გვინდოდა თქვენი. ვარდიფინამ გვიბრძანა, ვარძია ელისო თავის შვილსა და მამას.

— გვინდღაა. მე თვითონ განვაგე ბედი ჩემი ასეთი ბოლოწუთისათვის. ამ ტაძარში ქართული ზედაშე და მირონია სურნელოვანი.

ამირბარისა და ვარდიფინას ვაჟი — შოთას ნათლული დემნა ჭაბუკი წინ წამოდგა:

— ჩვენო ნათლია, დედამ ეს ყუთი მოგართვათ, შიგ თქვენთვის სასიამოვნო ნივთი ძეესო!


მოხუცი წამოიწია, წელში გაიმართა, ორივე ხელი ნდომით გაუწოდა: ნათლულს. ყუთს ხელის კანკალით ახადა თავი. მასში მცირე ზომის წიგნალ შეკრული „ვეფხისტყაოსანი“ იღო.

— თამარისეული ჩემი წიგნია, — გამოსცრა მოხუცმა. პირველი ფურცელი გადახსნა და მომჭირარ ღაწვებზე ალმური მოედო, თითქოს სინათლე მიემატა კიდეც სახეზე. ფურცელზე თამარის ხელწერა იცნო. იგი ამ წიგნს ვარდიფინას უტოვებდა, როგორც მის ძვირფას განძს ძვირფასთა შორის.

შოთამ აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, თითქოს შველას სთხოვდა ყველას, მერე ისევ მილულა თვალი, ეტყობოდა, ღონე გამოელია. თვალი არ გაუღია, ისე ჩაილაპარაკა:

— იცოდე, შვილო, როცა ორ წმიდა მამის სახეებს დაასრულებ, მე, მათი მონა-მოწაფე, მუხლმოძრეკით მიმახატე მათ ფერხთა ახლოს. თვალები თქვენ დამიხუჭეთ! გონიოდან ხართ, ჩემი მეზობლები ხართ. ბეღნიერ კუცს ყოველთვის ახლობელი დაუხუჭავს თვალებს. თქვენზე ახლობელი ვინ მყავს ახლა მე?! იბედნიერეთ. როცა იქ ჩახვალთ, ჩემს მიწას ემთხვიეთ. დამილოცნია მართალი გულით მისი ველ-მინდორი, მისი ბაღ-ვენახი, მისი მიწა-წყალი.

ყველამ დაინახა, თუ როგორ გადმოუვარდა დიდ მოხუცს ორი კურცხალი დამჭირარი ღაწვებიდან და სასთუმალს დაეცა.



შოთა ზოიძე

აჭარის მთებიდან

ზევით თეთრი ჩანს ჩქერები,
ქვევით ჩანან ხევები...
და კლდეები, ჩანჩქერების
ჩაჭრილ-ჩანახევები.
ქარი კივის, ქარი კვნესის,
ქარმა ნისლი ალაგმა.
აი, თურმე ვაჟას ლექსი
რატომ მოქუხს არაგვად!
შზესთან ახლოს, ცასთან ახლოს
ოცნებები გვანან მთებს.
ამ მთებიდან უნდა ნახო,
მზე რომ კოცონს დაანთებს.
სხვაა ბარი, სხვაა ახო,
ვით ვერცხლი და გოროხი.
ამ მთებიდან უნდა ნახო
ზღვას სად ერთვის ჭოროხი.
სხვაა ბარის ბაღნარები,
ვით ბზა და მაგნოლია.

კალოთა და ნაღვარევი
სხვა სამყარო მგონია.
იქ პერანგა, აქ ბეშუმი...
იგრძნობ თუ დაგივლია,
მოლი როგორც აბრეშუმი —
ბამბასავით რბილია.
რა მთები და რა სერები
და რა ხავერდებია?!

აი, თურმე მთამსვლელები
რატომ არ ბერდებიან!
ზევით თეთრი ჩანს ჩქერები,
ქვევით ჩანან ხევები...
და კლდეები, ჩანჩქერების
ჩაჭრილ-ჩანახევები.
ქარი კივის, ქარი კვნესის,
ქარმა ნისლი ალაგმა.
აი, თურმე ვაჟას ლექსი
რატომ მოქუხს არაგვად



გი ღვ მოვასანი

ტუთისო ფელი

უულიენმა ლიმილით გადასწია თავი, პირი მიუშეირა, მკლავები გაშალა და უცბად დაეწაფა ამ ცოცხალი წყაროს წყალს, რომელმაც გრძნობები აუშალა და მწველი სურვილით აღანთო იგი.

უანა უჩვეულო სინაზით ეკროდა უულიენს. ქალს გული უთროთდა, გულმეტრით აუდჩამოუდიოდა, თვალები დაებინდა და დაუნამდა. მან ძლიერ გასაკრიალ წაჩირებულა: „უულიენ... მიყვარხარ!“ თავისკენ მიიზიდა იგი, ზურგზე დაეცა და სირცხვილისაგან გაწითლებული სახე ხელებში ჩამალო.

უულიენი ზედ დაემხო და გაშამგებით ჩაეკრია. უანა ვნებიან მოლოდინში ქშინავდა და რაღაც ელვისებური შეგრძნებისაგან განცვალებულს უეცარი ცვირილი აღმოჩდა. აი, ამ უცნაურ სიამოვნებას ელოდა იგი.

იძლენად აღელვებული და ძალაგამოცლილი იყო უანა, რომ დიდხანს ვერ მიაღწიეს აღმართის მშვერეალს და მხოლოდ სალამოს ჩავიდნენ ევიზაში თავისი გიდის ნათესავ პალი პალაბრეტისთან.

ეს იყო მაღალი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი, კლექანინვით პირქუში კაცი. მან ისინი განკუთვნილ ოთახამდე მიაცილა, ტატევ ქვის კადლებიან უბაძრუკ, მა-

გრამ მაინც მშვენიერ ოთახამდე ამ ქვეყნის კვალობაზე, სადაც სილამაზე პატივში არ არის. მსაპინძელმა ვერც კი მოასწრო თავისი კორსიკული დიალექტით, იტალიურთან შეერეული ფრანგულით ეთა ქვა, თუ რაოდენ დიდად ესიამოვნა მათი სტუმრობა, რომ წერიალა ხმამ შეაჩერა იგი და ოთახში პატარა ქალმა შეირბინა. იგი იყო შავგვრემანი და ჰერნდა დიდი შავი თვალები, ზზისგან დამწვარი კანი და ნატიფი ტანი. უცვლელი ლიმილით, რომელიც კიბილებს უჩინდა, იგი გადაეხვია უანას, მაგრად ჩამოართვა ხელ უულიენს და თან განუწყვეტლივ იმეორებდა:

— სალამი ქალბატონო, სალამი ბატონი, კარგად ბრძანდებით?

მან ჩამოართვა მგზავრებს შლაპები, შალები და ცველალერი ცალი ხელით მიალაგა, რაღაც მეორე შეხევული ჰერნდა. შემდევ ცველანი გარეთ გამოაცილა და ქმარს უთხრა:

— წადი, გაასეირნე სტუმრები სადილობამდე.

ბატონი პალაბრეტი მაშინვე დაემორჩილა, ჩადგა ორ ახალგაზრდას შორის და წილების სოფლის დასაოცალერებლად. იგი ძლიერ მიათრევდა ფეხებს, ნელა ლაბარაკობადა, განუწყვეტლივ ახველებდა და ხელის ყოველი ატყდომისას ამბობდა:

* გაგრძელება. იხ. „ლიტ. აჭარა“, № 4, 5.

— ეს ველის გრილი ჰაერია, გულშე რომ მცდელი.

მან ისინი მიგდებულ ბილიზე გაიყვანა. უცბად იგი უზარმაზია წაბლის ქვეშ წექერდა და გაჭიანურებდა თქვა:

— სწორედ აქ მოკლა ჩემი ბიძაშვილი უან რინალდი მატიე ლორიმ. აი, მე იქ ვიდექი უანთან სულ ახლოს, როცა მატიე უცბად გამოძრა ათ ნაბიჯზე ჩევენგან. „უან, დაიყვირა მან, ნუ დალისარ ალბერტაში, ნუ დადისარ, უან, თორემ გვერდეს ჩემი, მოგლავ“.

მე ხელი ვსტაცე უანს: „ნუ წახვალ, უან, იგი მართლა მოგლავს შენ.“

ეს მოხდა ერთი ქალიშვილის, პოლინა სინაკუპის, გულისათვის, რომელ საცორვე დასდევდა.

მაგრამ უანმაც ყვირილი დაიწყო: „წავალ, მატიე, და შენ ვერ დამიშლი ამას“.

მე ვერც კი მოვასწირა იარალისათვის ხელი მეტაცნა, რომ მატიემ დაუმიზნა და ესროლა.

უანი ერთი კი შესტა ორივე ფეხით, დღიმიჯერეთ, ბატონი, სწორედ ისე, როგორც ბავშვი ახტება თოქს, და მთელი ძალით დამეცა ისე, რომ თოფი ჩამომი-ვარდა და აი, იმ დიდ წაბლთან დაეცა.

უანს პირი ღია ჰერონდა, მაგრამ ერთი სიტყვაც არ უზევამს, ისე გათავდა.

ახალგაზრდა ცოლ-ქამარი განცვალებული უყურებდა ასეთი დანაშაულის აუღლელებელ მოწმეს. უანმ ჰერთა:

— მევლელს რაღა მოუვიდა?

პაოლი პალაბრეტიმ დიდხანს ახველა, შემდეგ უთხა:

— მთაში გაიცა. ჩემმა ძამ მოკლა იგი მომდევნო წელს. იცნობთ ჩემს ძამს ფილიპე პალბრეტს, ბანდიტს?

უანს გაურეოლა.

— თქვენი ძმა ბანდიტია?

უდარდელ კორსიკელს თვალები სიამაყით აუელვარდა.

— ღიას, ქალბატონ, და მერე რა სახელგანთქმული! მან ექვს უან-დარმს გააფრთხობინა სული. იგი ნიკოლა მორალისთან ერთად დაილუპა, როდესაც ალყა შემოარტყეს ნიოლოში.

ექვს დღეს იძრძოდნენ, ვიდრე შემოლება არ დაიღუპნენ.

შემდეგ იმავე ტონით, როგორითაც თქვა: „ეს ველის გრილი ჰაერია“, თავ-მდაბლად დასინა:

— ჩევენს ქვეყანაში ასე იციან.

მის შემდეგ სადილად დაბრუნდნენ. პატარა კორსიკელი ქალი ისე ეპურობოდა მათ, თოქოს ოცი წლის ნაცნობები იყვნენ.

მაგრამ მოუსვენრობა თან სდევდა უანას: ისევ იგრძობოდა თუ არა ივი უულიენის მელავეში ენჯის იმ წინათ უცნობ მგზნებარე აფეთქებას, რომელიც წყაროსთან გამოსცადა ხავსზე?

როდესაც ისინ შარტო დარჩნენ ოთახში, უანა კანკალებდა, ვაი თუ კვლავ ვერ გამიტაცია მისმა ალერსმა. მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ტყუილად შიშობდა. ეს იყო მისი სიყვარულის პირველი დღე.

მეორე დღეს, გამგზავრების დროს, მას არ უნდოდა დაეტოვებინა ეს უბად-რუკი სახლი, სადაც მისი აზრით, ახალი, ბერძნერი ხანა დაეწყო.

უანმ თავის ოთახში შეიხმო შასპინძლის პატარა ცოლი და გატაცებით უმტკიცებდა, ნება დამრთე პარიზიდან მცირე საჩუქარი გამოგიზავნო, არა ქირის-სახით, არამედ სამახსოვროდო, და მა საჩუქარს რალც ცრურწმენის მნიშვნელობას აძლევდა.

ახალგაზრდა კორსიკელი ქალი დიდ-ხანს ეწინაღმდევებოდა. ბოლოს, დაეთანხმა:

— მაშ, კარგი, — უთხრა მან, — გამომიგზავნეთ პატარა დამბაჩა, სულ პატარა.

უანს გაოცებისგან თვალები გაუფართვდა. დიასახლისში კი სულ ჩუმად, ჩურჩულით განმარტა ისე, როგორც რამე ტკბილ და სანუკარ საიდუმლოებას ანდობენ ხოლმე:

— ჩემი მაზლის მოსაკლავად მინდა.

მან ლიმილით სწრაფად მოიხსნა სახვევი უმოძრაო მელავზე და მის თეთრ ამობურცულ ხორცზე აჩვენა თითქმის შე-



ჩორცებული ბებუთის გამჭოლი ჭრილობა.

— ჩემზე ღონიერი რომ ყოფილიყო, — სქვა მან, — მომკლავდა. ჩემი ქმარი ეპვიანი არ არის. მიცნობს მე. მერე კიდევ იგი ხომ ავადაა და ეს უყინავს სისხლს. მე, ქალბატონო, მართლაც პატიონსანი ქალი გარ, მაგრამ ჩემს მაზლს ყველაფერი სჭერა, რასაც ამბობენ. იგი ჩემი ქმრის ნაცვლად ეჭვიანობს და, ალბათ, კვლავ მეცემა. პატარა დამბახა რომ მექნება, მშვიდად ვიწერი და დარწმუნებულიც, რომ შემეტლება თავი დავიცვა. უანა დაპირდა, იარაღს გამოგზავნიონ, ნაზად აკოცა თვის ახალ მეგობარს და გზა განაგრძო.

მისი მოგზაურობის ბოლო დღეები დაუსრულებელი ხევენა-კოცნითა და მათობელა ალერსით საესე რაღაც სიშმარი იყო. უანა არაფერს არ ხედავდა — არც კეიჩას, არც ხალხს, არც ქალაქებს, სადაც ჩერტვებოდნენ. იგი მხოლოდ უშლეონს მისჩერებოდა.

მაშინ დაიწყო მომხიბლავი ბავშვეური სახლო, აღსაცეს სიყარულის გულუბრყილო სისულელებით, ბრიყვული და მშვენიერი სიტყვებით; მათ მოფერებითი სახელებით მიხანთლეს სხეულის ყველა ის ნაკეც, კლაკნ და ნაკვი, რომელსაც კი ტუჩებით შეხებიან. ზოგჯერ ერთი ცდილობდა თავი დაელწია მეორისაგან, ზოგჯერ კიდევ ორივეს აღძრებოდა ამზორის ძლიერი სურვილი და შაშინ მათი სხეულის თვითეული ნაწილი დამათობელი კოცნით იფარებოდა.

რაჯი უანა მარჯვენა გვერდზე იძინებდა ხლომე, გაღინებისას მარცხენა ძუძუ ხშირად უშიშვლდებოდა. უშლიერა ეს შეამნია და იგი „მოხეტალედ“ მონათლა, ხოლო მეორეს „პირწუჟია“ შეარქვა, რადგან მისი კერტის ვარდისფერი კოკორი როგორლაც მეტ მგრძნობიარობას იჩენდა კოცნისადმი.

ტუძებს შუა ღრმა ხევი „დედიკოს ხევენად“ გადაიქცა, რადგანაც უშლიერი გამუდებით დასეირნობდა იქ, ხოლო მორეს, უფრო დაფარულს, „დამასკოს

გზა“ უწოდეს ოტას ველის მოსკოვისადან ბესტიაში ჩასვლისას გიდი უნდა გაესტუმრებინათ. უშლიერა გიბერები მოჩიხ-რიკა, მაგრამ რაც საჭირო იყო, ვერ იპოვა და უანას უთხრა:

— რაჯი არ სარგებლობ დედაშენის ორი ათასი ფრანკით, მომეცი, მე ვატარებ მათ. ჩემს ქმარში ისინი უფრო საიმედოდ შეინახება, თანაც ფულის დახურდავებასაც ავცდები.

უანა გაუწოდა თავისი ქისა.

ისინი გადავიდნენ ლივორნოში, ინახულეს ფლორენცია, გენუა, მოიარეს მთელი ის სანაპირო.

ერთ ცივ ქარის დილით ისინი კვლავ მარსელში აღმოჩნდნენ.

ორმა თვემ განცვლო მათი ჩინარიდან გამომგზავრების შემდეგ. თხუთმეტი ოქტომბერი იყო.

შეუტხებული ძლიერი ცივი ქარით, რომელიც იქიდან, შორეული ნორმანდიანან ქროდა, უანა თავს მოწყენილად გრძნობდა. ბოლო დროს უშლიერი შეცვლილი, გადალოილი და გულგრილი ჩანდა, და უანას ეშინოდა, თვითონაც არ იცოდა რისი.

უანამ ოთხი დღით კიდევ გადადო დაბრუნება, რადგან გაუჭირდა აშ კურტხეული მზიური მხარეს მიტოვება. მას ეგონა, რომ ეს-ეს არის დასრულა თვისი ბედნიერების წრე.

ბოლოს გაემგზავრნენ.

პარიზში უნდა ეყიდათ უველავერი, რაც საჭირო იყო ჩინარში საბოლოო მოწყობისათვის, და უანა წინასწარ ტკბებოდა, თუ რამდენ საკირველო, დიდებულ რამეს წაიღება დედიკოს ნაჩუქარი უშლით; მაგრამ პირველი, რაზეც გაიფიქრა, დამბახა იყო, ახალგაზრდა კორსიკელ ქალს რომ დაბირდა ევიზაში.

პარიზში ჩასვლის მეორე დღეს უშლიერს უთხრა:

— დამიბრუნე დედაჩემის ფული, ჩემ ძვირფასო, მინდა რამე ვიყიდო.

უშლიერი უქმაყოფილო სახით მიუბრუნდა:

— რამდენი გჭირდება?

ქალს გაუკვირდა და წაიღუდლუდა:
— ... რამდენსაც მოისურვებ.
ულიენმა მოუჭრა:
— აი, ასი ფრანკი, მაგრამ ტყუილ-უბ-
რალიდ ნუ მიუანტ-მოფანტუა.

გაცემუნებულმა და დღრცენილმა უა-
ნამ აღარ იცოდა რა ეთქვა.

ბოლოს ყოყმანით შენიშვა:

— კი... მაგრამ... ეს ფული... მიმისათვის
ჩაგაბარე, რომ...

ულიენმა არ დაამთავრებინა:

— კი, რასავირველია. რაკი ჩეენ სა-
ერთო ქისა გვაქვს, სულერთი არ არის
შენს ჯიბეში იქნება თუ ჩემსაში? მე ხომ
უარს არ გეუბნები, თუკი გაძლევ ას
ფრანკს. ასე არ არის?

უანამ უსიტყვოდ აიღო ხუთი ოქრო,
მაგრამ ვეღარ გამედა მეორე ხუთის მო-
თხოვნა და დამბაჩის მეტი ვერაფერი
იყიდა.

რვა დღის შემდეგ ისინი გზას გაუდგ-
ნენ ჩინარისაკენ.

VI

ავერტის ბოძებიან თეთრ შოაგირთან
თავი მოეყარათ ნათესავებსა და მსახუ-
რებს. საფოსტო კარეტა გაქერდა და
ხევენა-კოცნას ბოლო არ უჩინდა. დედიკო
ტიროდა. გულაჩილებული უანა ცრემ-
ლებს იშვენდდა. აღელვებული მამა ბო-
ლოთას ცცემდა.

სანამ ბარგი გადმოქვნდათ, სასტუ-
რო თოახში, ბეჭრის წინ, საუბარი გაჩა-
ლდა მოგზაურობაზე. უანა სწრაფად ლა-
პარაკობდა და რაღაც ნაცხვარ სათმი
ყველაფერი თქვა, ყველაფერი, გარდა
ზოგიერთი წვრილმანისა, რომლებიც გა-
მორჩა აჩქარებული თხრიბისა.

შემდეგ იგი ბარგის გასასხელად წა-
ვიდა. როზალია, ისიც მთლად აღელვე-
ბული, ეხმარებოდა მას. როცა საქმეს
მოჩინენ და თეთრეულს, კაბებს, ტუ-
ლეტის მოწყობილობას თავთავისი ადგი-
ლი მიუჩინეს, მოახლე გაეცალა თავის
ქალბატონს და ცოტათი დაღლილი უანა
ჩამოვდა.

უანამ არ იცოდა რა გაეკეთებინა, რა
საქმე გაეჩინა გონებისა ან ხელებისათ-

ვის. მას არ უნდოდა დაბრუნებულებულის გა-
სტუმრო თოახში, სადაც დედამისი თვლე-
ბდა, და გავისირინებო, გაიფიქრა, მაგ-
რამ პეიზაჟი ისე მოსაწყენი ჩანდა, რომ
ფინჯრიდან გახელვაც კი მძიმედ ულონებ-
და გულს.

მაშინ მიხედა, რომ არავითარი საქმე
არა აქვს და არც არასოდეს ეწნება. მო-
ნასტერში გატარებული მთელი მისი სი-
ყმაწვილე მომავლით იყო მოცული და
მოუსვენარი ოცნებებით სავსე. ამაღლ-
ვებელი იმედები მაშინ ისე უვსებდა
დღეებს, რომ ისინი შეუმჩნევლად გარ-
ბოდნენ. შემდეგ, იმ ღვთისმოსავ კედ-
ლებიდან გამოსვლისთანავე, სადაც ვარ-
დივით იფურჩენებოდა მისი ილუზიები,
დიდხანს არ აღოდინა სიყვარულმა, ისიც
იმწუთშივე ეწვია. კაცი, რომელსაც ენ-
დობოდა, შეხვდა, შეუყვარდა იგი და
ჯვარიც დაიწერა. ყველაფერი ეს რამდე-
ნიმე კვირაში მოხდა, უეცრად. ამ კაცმა
ისე გახვია იგი ალერსში, რომ გონჩე მო-
სვლაც კი არ დაცალა.

მაგრამ ის პირველი დღეების ტკბილი
სინამდვილე უკვე ხდება ყველდღუ-
რი სინამდვილე, რომელიც კარებს უხ-
შავს ბუნდოვან მისწრაფებებს, წარმტაც
მოელვარებას გამოუცნობის წინაშე. ღი-
ან, ეს იყო ლოდინის აღსასრული.

და, მაშასადამე, გასაკეთებელიც არა-
ფერი დარჩა, არც დღეს, არც ხვალ, არც
არასოდეს. ყველაფერი ეს მან იგრძნო
რაღაც ბუნდოვანი იმედგაცრუებით, მთე-
ლი თავისი ოცნებების დამსხრევით.

უანა აღგა და შუბლით მიეკრა ფანჯრის
ცივ მინას. ერთხანს ათვალიერი ცა, სა-
დაც მუქი ღრუბლები ხეტიალობდნენ,
და გადაწყვიტა სახლიდან გასულიყო.

ხუთუ ეს იგივე სოფელი, იგივე ბალა-
ხი, იგივე ხეება, როგორიც მაისში იყო?
მაშ, სად გაქრა მზით გამთბარი ფოთლე-
ბის სიხარული, ველობის ზურმუხტოვანი
პოეზია ბაბუაზვერების ნაპერწყლებით,
ყაყაჩოთა სისხლიანი ლაქებით, ზიზილების
სხივებით, ფანტასტიკური ყვითელი პეპ-
ლებით, რომლებიც თითქოს უჩინარ ძაფ-
ზე ფარფარებდნენ? და აღარ იყო არც სი-
ცოცხლითა და სურნელებით, გამანაყო-

ფიერებელი მტვერით სავსე მათრობელა
ჰყარი.

გათოშილი, თითქმის გატიტვლებული
ჩინარების ქვეშ გადაჭიმულიყო შემოღ-
გომის გარუწყვეტელი კოისპირული წვი-
მებიძისაგან გადარეცხილი და დაცენილი
ფოთლების სქელი ხალიჩით მოფენილი
ხევნებით. მყიფა ტოტები ქაჩში ანგლე-
ვდა უკანასკნელ ფოთლებს, რომლებიც
მზად იყენენ ჩამოსაცვენად და სივრცე-
ში გასაფრენად. და მთელი დღის განმავ-
ლობაში, თითქოს შეუნელებელი, საშინ-
ლად ნაღლიანი წევია მოდისო, ეს შემო-
რჩენილი, უკვე მთლად გაყვითლებული
და მსხვილი ოქროს ფულის მსგავსი
ფოთლები განუწყვეტილი წყდებოდნენ,
ტრიალებდნენ, დაფრიალებდნენ და მი-
წახე ცვიოდნენ.

უანა მივიდა წარაფამდე. იქ ისეთივე
ნაღლელს დაუსადგურებინა, როგორც
მომაკვდავის ოთახში. მწვანე ბარდი, მყუ-
დრო, ლამაზად დაკლარილ ბილიკებს
რომ ყოფილა, ჩამოცვენილიყო. ერთმანეთ-
ში გადახსართული ბუქები, თითქოს
ხის თხელი მაქმანებით, ჩამოშმხარი ტო-
ტებით ერთი მეორეს ეხუტებოდნენ; ჩა-
მოცვენილი და ხმელი ფოთლები, რომე-
ლთაც ქარი ატრიალებდა, ერეებოდა და
ალაგ-ალაგ აგროვებდა, ისე შრიალებდ-
ნენ, თითქოს მომაკვდავი ოხრავსო.

პაწაწა ჩიტუნები ხან იქ, ხან აქ მცივანა
წრიპინთ დახტოდნენ და თვაშესაფარს
ეძებდნენ.

მაგრამ ცაცხესა და ჭადარს, რომელ-
თაც ზოვის ქარისაგან იცავდა თელების
სქელი ფარდა, ჯერ კადევ შეენარჩუნე-
ბინათ ზაფხულის კაზმულობა და ერთს
თითქოს წითელი ხავერდი ეცვა, შეორეს
კი თურინგისფერი აბრეშუმი, შეფერადე-
ბული პირველი სუსტით, თვითეული მათ-
განის მცენარეული წვენის თვისება-
თა შესაბამისად.

უანა ნელი ნაბიჭით დადიოდა დედიკოს
ხევნებიში კუარების ფერმის ახლოს. რა-
დაც გულს უმძმიერდა მას, თითქოს წი-
ნათგრძნობა მომავალი ერთფეროვნი

ცხოვრების დაუსრულებელი სულიერი
დღებისა.

შემდეგ იგი ფერტობზე ჩამოგდა, იქ,
საღაც ეულიერმა პირველად ჩამოუგდო
სიტკვა სიყვარულზე; იგი თავდავიწყებას
მიეცა, თითქმის არაფერზე ფიქრობდა
და საშინელ სისუსტეს გრძნობდა. მას
უნდოდა დაწოლილიყო, დაეძინა, რათა
გასცლოდა ამ დღის მოწყენილობას.

უბად მან შეამჩნია თოლია, რომელ-
საც ქარი მიერებებოდა ცახე. და მას მო-
ავინდა არწივი, იქ, კორსიკში რომ
ფრინავდა, ოტაც პირქუშ ველზე. უანას
გზლი აუგერა მშვენიერი და უკვე
წარსული სანახაობის მოგონებამ. მას მა-
შინვე თვალწირ წარმოუდგა შესანიშნავი
კუნძულ თავისი ველური სურნელებით,
მისი მზე, რომელიც ფორთოხლებსა და
ცელრას ამწიფებს, მისი მთები ვარდის-
ფერი მწვერვალებით, მისი ლურჯი ყუ-
რებები და ხევები, საღაც ლელები ბობო-
ქრობენ.

ნეტიანმა და მკაცრმა პეიზაჟმა, რო-
მელიც გარს ერტყა, ნაღლიანმა ფო-
თოლცვენმა და ნაცრისფერმა ლრუბლებ-
მა, ქარი რომ მიერებებოდა, ისეთი
ლრმა სევდა აღუძრა, რომ უანას შეეში-
ნა, არ ავჭითნდეო და სასწრაფოდ სახ-
ლში დაბრუნდა.

დედიკ მოთხოვთილი იჯდა ბუხრის წინ
და თვლებდა. იგი შეჩერება დღეთა ერთ-
ფეროვნებას და აღარ გრძნობდა მათს
მოსაწყენობას. მამა და უულიერი სასეირ-
ნოდ და საქმებზე სასუბროდ წავინდნენ.
მერე ლომეც ჩამოწვა და კუშტ ბინდში
გახვა დიდი ოთახი, რომელსაც მხოლოდ
ალის წამიერი ანარეკლი ანათებდა.

ფანჯრებს იქით, ბინდში კიდევ გაირჩე-
ონა ზამთრისპირის კუჭყიანი ბუნება და
მონაცრისფრო, თითქოს ტალახით შეთ-
ხუნდული ცა.

მაღე ბარონი და უულიერი დაბრუნდ-
ნენ. ჩაბნელებულ სასტუმროში შესვლის-
თანავე ბარონმა ზარი დარეკა და დაიკ-
ვირა:

— ჩქარა, ჩქარა, სინათლე! მოწყენი-
ლობაა აქ.

იგი ბუხრის წინ დაჯდა. სანამ მისი სველი ჩექმები ცეცხლთან ბოლავდა და ლანჩებილან გამხმარი ტალახი ცვიოდა, იგი მხარულად ისრესდა ხელებს.

— მე მონი, — თქვა მან, — მალე ყინვები დაიწყება; ჩრდილოეთით ცა მოიწმიდა, ხოლო ამ საღამოს ახალი მთვარეა. მაგარი ყინვა იქნება ამაღამ.

შემდეგ იგი ქალიშვილს მიუბრუნდა:

— მითხარი, ჩემო გოგონი, კმაყოფილი ხარ შენს ქვეყანაში დაბრუნებით, შენს სახლში, შენს ბებრებთან?

ამ უბრალო შეკითხვამ აფირიაქა ქანა. იგი კისერზე ჩამოეკიდა მამას, თვალები ცრემლით აევსო და ნერვულად აკოცა მას, თითქოს ბორიშს უხდიდა, რადგან, თუმცა ბერს ეცადა მხარული ყოფილიყო, მანც საშინელ მოწყენილობას გრძნობდა. მან გაისხენა, რა სიხარულს განიცდიდა მშობლებთან შეხვედრისას და აოცებდა ხაუთარი გულციობა, რომელიც ჰყინვადა ყოველგვარ სინაზეს. როდესაც განშორებული ბერს ფიქრობ საყვარელ აღამიანებზე, მაგრამ აღარ ხდები მთ ყოველ სათში, ხელაბლა ხილისას ერთგვარ უცხონბას გრძნობ მანამ, სანამ ერთად ცხოვრება ისევ არ განამტკიცებს ურთიერთ კავშირს.

სადილი ძლიერ გავიანურდა. თითქმის არ ლაპარაკობდნენ, უშლიერნა თითქოს სულ დავიწყა თავისი ცოლი.

იგი ორჯერ იდგა და ცეცხლს შეშის ლერი შეუკეთა, მოქეანა კაბები, ქვედაწელები, ძველი ტანსაცმელი და ყველაფერი ეს დაიყარა, მაგრამ მაინც ვერ გათბა. ფეხები სულ გაეთოშა, ხოლო კანპებიდან თეძობაშიდე კანკალი უვლიდა და წამდაუწუმ წრალებდა ლოგინში, ნერვულობდა და ქანცის გამოცლიმდე ლელვდა.

მალე კბილების კაწეაწი დააწყებინა; ხელები უცხახებდა; მეკრძალე უჭირდა; გული ყრუდ და ნელა უცემდა, ზოგჯერ კი თითქოს სულ უჩერდებოდა. იგი სულს ვერ ითქვავდა, ჰაერი არ ყოფილდა.

მისი სული საშინელმა შიშმა მოიცვა, აუტანელი სიცივე ძვლებამდე ატანდა. არაფერი მძიმე მსგავსი წინათ არ განუცდია, არასოდეს არ უგრძნია თავი ცხოვრებისაგან ასე გარიყულად და ეჩერებოდა, რომ კვდებოდა, რომ ახლავე განუტევებდა სულს.

უანამ გაიფიქრა:

— აი, ახლა მოვკვდები... ვკვდები...

შეშინებული ლოგინიდან წამოხტა და როზალიას დაურეკა; დაუცადა, ისევ დარეკა, ისევ დაუცადა, იგი თრთოდა და ითოშებოდა.

მოახლე არ გამოჩნდა. ალბათ, თავი მისცა იმ პირებს ღრმა ძილს, რასაც ვერაფერი ვერ დაარღვევს, და გონგბადა-კარგულმა უანამ ფეხშიშველა მიაშურა კიბეებს.

იგი უხმაუროდ ავიდა ზევით, ხელების ფათურით მოძებნა კარი, გააღო და დაიძახა:

— როზალი!

მერე წინ წავიდა, საწოლს დაეტაკა, ხელი მოუფათურა და მიხვდა, რომ იგი ცარიელი იყო. ცარიელი იყო და ცივი, თითქოს არც არავინ წილილა მასში.

გავირვებულმა გაიფიქრა:

— როგორ! ისევ გაიქცა? ისიც ასეთ მინდში!

მაგრამ იმწუთშივე გული უეცრად გაშმაგებით აუგერდა, სული შეეხუთა, მუხლები ეყცებოდა, მაგრამ მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა და უკაცვე გაიქცა, უულიენი რომ გაეღვიძებინა.

ლონემიძლილი უანა ელვის სისწავეით შეიჭრა მასთან დარწმუნებული, რომ საცა მოვკვდებით და სურდა მანამდე შეეხედა უულიენისათვის, ვიღრე გონებას დაკარგვდა.

მიმჭრილ ცეცხლის შექმზე მან ბალიშზე ქმრის თავის გვერდით როზალიას თავი შეამჩნია.

უანას ყვირილზე ორივე წამოხტა. ერთ წუთს იგი უძრავად იდგა ამ აღმოჩენით შეძრწუნებული. შემდევ თავის თახაში გაიქცა, მაგრამ შეშინებულმა უულიენმა დაუძახა, მას:

— უანა!

და იგი შეიძყრო საშინელმა შიშმა, რომ დაინახვდა უულიენს, კიდევ გაიგნებდა მის ხმას, მოისმენდა ახსნა-განმარტებას, ტყუილებს, შეედავდა თვალებში. უანა ისევ ეცა კიბეებს და ძირს ჩაირბინა.

უანა ახლა სიბნელეში გარბოდა, ანგარიშს არ უწევდა, რომ შეიძლებოდა საფეხურებზე დაგორებულიყო და დამტვ-

რეულიყო. იგი ვერაფერს ხედავდა წინ
და რაღაც დაუსკებელი ძალა უკარნა-
ხებდა, გაქცეულიყო, არაფერი აღარ
სცოდნოდა, არაფერი აღარ დაენახა.

ქვევით რომ ჩაირბინა, საფეხურზე
ფეხშიშეველა და პერანგისამარა ჩამოგ-
და და ასე იჯდა გონდაკარგული.

ულიენი ლოგინიდან წამოხტა და
სწრაფად იცვამდა ტანხე. უანს ემო-
და მისი მოძრაობა, სიარული. იგი ადგა,
რათა გაქცეოდა ქმარს. ის ულიენი უქ-
ვე ჩამოლილა კიბებზე და ყვიროდა:

— მომისმინე, უან!

არა, უანს არ უნდოდა მოესმინა მის-
თვის, არ უნდოდა ულიენს თითოც რომ
წაეკარებინა და იგი სასალილო თახაში
შევარდა, თითქოს მკვლელს გაურბოდა.
უანა ეძებდა გამოსავალს, თავშესაფარს,
ბნელ კუთხეს, როგორმე რომ დამალვო-
და ქმარს. იგი მაგიდის ქვეშ მოიუნტა,
მაგრამ ულიენი უკვე გამოჩნდა ზღუ-
ბლზე, ხელში სანთელი ეკავა და ისევ
იძახდა:

— უან!

და უანამ კურდღელივით მოკურცხლა,
სამზარეულოში შეიკრა და ორჯერ შე-
მოირბინა იგი დეენილი ცხოველივით.
რადგან ულიენმა ქაც მაგნო მის
კვალს, უცბად გამოალო ბალში გასასვ-
ლელი კარი და გარეთ გაიჭრა.

დრო და დრო უანა ტიტველი იქცებით
მუხლოდე ეფლობოდა თოვლში და ეს
გამყინავი შეხება მას შეუბოვარ ძალას
მატებდა. უანს არ ციოდა, თუმცა პე-
რანგისამარა იყო; იგი საერთოდ არა-
ფერს არ გრძნობდა, რადგან სულიერმა
ტკივილმა გაუყრუა სხეული და იგი გარ-
ბოდა მთლად გათეთრებული, როგორც
თოვლით დაფარული მიწა.

უანა გაპყევა დიდ ხევანს, გადატა წა-
რაფი, გადაახტა თხრილს და პირდაპირ
ლანდებისაკენ გაემართა.

მთვარე არ ჩანდა. ვარსკვლავებზე
ცეცხლის მარცვლებივით ელავდნენ ჩა-
შვებულ ცაჟე; მკედრივით გაშეშებუ-
ლი, უსაზღვროდ მდუმარე ველი კა
მერთალი სითეთრით ანათებდა.

ენა სწრაფად, სულმოუთემელად მი-
დიოდა, არაფერი ესმოდა და არაფერზე
ფიქრობდა. უცრად იგი უსუსკრუ-
ლის პირად აღმოჩნდა, ინსტინქტურად
ერთაშორის შეჩერდა და განადგურებუ-
ლი, უაზრო და უნებისყოფო, თოვლში
ჩაცუცქდა.

მის წინ, ბნელ ორმოში გაუჩინარებუ-
ლი და მდუმარე ზღვა მოქცევის ძროს
წყალმცენარეთა მარილიან სუნს უშვებ-
და.

იგი დიდხანს იჯდა იქ ასე, სულითა
და სხეულით უგრძნობელი, მაგრამ შემ-
დეგ უცრად საშინლად აცახცახდა, რო-
გორც აღქანი ქარში. ფეხები, ხელები,
თითები შეუცავებლად უთროთდა, ხში-
რი ძაგლით ერთხეოდა და თვალის ზახამ-
ხაბებაში უანს უცბად დაუბრუნდა ნა-
თელი, ულმობელი ცნობიერება.

შემდეგ წარსულის ზანებებმა გაიღ-
ვეს მის თვალწინ: ულიენთან სეირნობა
ზიძია ლასტიკის ნავით, მათი საუბარი,
სიყვარული, რომელიც ის იყო ფეხს
იქცებდა უანს გულში; ნავის ნათლობა;
მერე მისი ფიქრები უფრო შორს წავი-
და. მოაგონდა იმედიანი ოცნებით სავსე
ის ძაბე, როცა იგი ჩინარში ჩამოვიდა.
ახლა კი, ახლა! ოპ! მისი ცხოვრება და-
იძსხვრა, ბედნიერებას ბოლო მოელო,
იძედები გაქრნენ, და მან წარმოიდგინა
ტანგვით, ღალატით, და მწუხარებით ალ-
სავსე საშინელი მომავალი. სჭობს მოკვ-
დეს და ყველაფერი ამით დამთავრდება.

შორიდან ყვირილი მოისმა:

— აქეთ, აქეთ! აი, მისი კვალი; ჩქა-
რა, ჩქარა, აქეთ!

ეს ულიენი დაექებდა მას.

(გაგრძელება იქნება)





გ ე ლ ლ ი რ ი ნ ი კ ა

ჩაიკოვსკი და საქართველო

აქ გასაკვირი არაფერია, როცა ვამბობთ „ჩაიკოვსკი და საქართველო“. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დიდი რუსი კომპოზიტორები: მწერლები, პოეტები, კომპოზიტორები საქართველოს მოტივიალენი იყვნენ. საქართველოს განუმეორებელი ბუნება — მთები, ველები, ქართველი ხალხის მაღალი სული მათი შემოქმედების წყარო იყო. აქ ეძიებდნენ სწორედ იმ ძვირფას მარგალიტებს, რომლებიც შემდგომ ნამდვილი შემოქმედის ხელში კაცობრიობის საგანძურად იქცნენ. მათ რიცხვს მიეკუთხნება დიდი რუსი კომპოზიტორი ილია პეტრეს-ძე ჩაიკოვსკიც.

აქვე უნდა ითქვას, რომ ჩაიკოვსკი საქართველოში სულ ექვსჯერაა ნაყოფი.

1885 წელს ჩაიკოვსკი აირჩიეს „რუსული მუსიკალური საზოგადოების“ დირექტორიად. მომდევნო წლებში იგი მიემგზავრება

ევროპის ქვეყნებში. უკელვან, პარიზსა თუ პრალაში, ნორვეგიასა თუ შვეიცარიაში დიდ რუს კომპოზიტორს გულთბილად ხვდებოდნენ. როგორც მაშინდელი პარიზელი რეცენზენტი აღნიშნავს, „ფესტვეშ ეგებოდნენ“... მაგრამ, მიუხედავად ამისა, დიდი კომპოზიტორი საოცრად გულთბილ სტრიქონებს სწერს თავის ძმას საქართველოზე: „საქართველოში სამ კვირას ვისვენებდი. ბორჯომი — ეს არის მსოფლიოს ულამაზესი კუთხე“. როგორც მის მემუარებში ვკითხულობთ, ჩაიკოვსკი მოხიბლა საქართველოს სილამაზემ, მისმა შესანიშნავმა მთებმა, მარადმწვანე ნაძნარია, მზის ოქროსთერმა სხივებმა, მუდამ მოუსვენარმა მდინარეებმა.

როცა საქართველოს ცამდე აწვდილ მთებს შეჰურებდა, მისი შეუვალი მწვერვალები ჩაიკოვსკის აგონებდა შოთა რუსთაველის

გმირებს, მათ ვაუკაცურ შემართებას, ჰუმნურობას, წმინდა სიყვარულს. სწორედ ამ წარმტაც მთებში წერდა იგი თავის რომანსებს. აქ მუშაობდა ოპერა „ევგენი ონეგინზე“. აქვე სწავლობდა რუსული მუსიკის მამამთავრის გლინკას ოპერის „ივანე სუსანინის“ პარტიტურას.

ცნობილი კრიტიკოსი ნ. დ. კაშკინი წერდა: „ჩაიკოვსკის თვითეული ნაწარმოები უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იღებს მუსიკალურ ხელოვნებაში. მან მთელი თავისი ტალანტი მოახმარა რუსულ მუსიკას და გამოიჩინა უდიდესი გმირობა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა გენიალურ-მა გლინკია“. შეიძლება ვიკიობოთ, რატომ არ უმდერა ჩაიკოვსკიმ თავის ოპერებში საქართველოს, როცა სხვა კომპოზიტორებმა, მაგალითად, ა. გ. რუბინშტეინმა დაწერა ოპერა „დემონი“? ამ კითხვას შეიძლება ასეთი პასუხი გავცეთ: გლინკას შემოქმედების თავისისიმცემელ ჩაიკოვსკის არ უცდია თავისი ძალა ისეთ ეპიკურ სურათებში, როგორიც გლინკამ შექმნა („ივანე სუსანინის“ ეპილოგი და „რუსლანისა და ლუდმილას“ ინტროდუქცია). რამდენადც ჩაიკოვსკის ოპერების მთავარი ელემენტებია ლირიზმი და სულიერი განცდა, მას აღაფრთოვანებდა ადამიანის არა გარეგანი მხარე, არამედ მისი სულიერი სამყარო, პირადი განცდები კეთილისა და ბოროტის ურთიერთო-

ბაში. იგი ეძებდა მართალ, ვნებიან ცხოვრებას, განიცდიდა გულგატებილობასა და ნეტარების სითბოს, მაგრამ არ ივიწყებდა ბელნიერ დასასრულს, სიყვარულს, სილამაზეს ადამიანთა დამოკიდებულებაში.

საქართველოს ტრფიალი ჩაიკოვსკი გრძნობდა, რომ თავისი შემოქმედებითი ძალა არ ეყოფოდა ყველა ამ სიღიადის გადმოსაცემად. მას მხოლოდ გულწრფელი სიყვარულით უყვარდა იგი. სწორედ ამიტომ უწოდა ბორჯომს „მსოფლიოს ულამაზესი კუთხე“. რადგან აქ ყოფნისას იგი თავს თვლილა უბრალო ადამიანად, სილამაზის მონად მისი ბრწყინვალების შეუცნობლად. საქართველომ შთავავონა მას დიდი გრძნობა და მიწის სიყვარული, რომელიც შემდეგ ასე ნათლად გამოვლინდა მის მუსიკალურ ნაწარმოებებში.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის კომპოზიტორებს შორის ჩაიკოვსკი იყო პარმონიის უდიდესი ოსტატი, მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს უცდია ნოვატარიზა და ორკესტროვნების ეფექტურობა. ჩაიკოვსკის რომანსები — ეს ლირიკული პოემებია ადამიანის სულიერ სამყაროზე თავისი განცდებით, სიხარულითა და იშელის წყურებილით მარადიული ბელნიერებისა და ცხოვრების უფლებებისათვის ბრძოლაში. მისი რომანსები არის მთის ანჯარი წყარო მრავალფეროვანი სიმღერებით,

რომელიც ასულდგმულები, მის შემოქმედებას. ჩაიკვესკის შემოქმედების თემა ხომ ქირილადაღრამატულ-ტრაგიკულია.

ოპერებში გლინკას შემჩერება ჩაიკვესკის მეორე ადგილი უჭირავს. მან დავიტოვა ათი ოპერა და ექვსი სიმფონია. შეექვეს, „პათეტიკური“ სიმფონია წარმოადგენს გაბედულ, ტრაგიზმით აღსავს ნაწარმოებს. თუთ კომპოზიტორმა ამ ნაწარმოებს „ჰუსიკალური აღსარება“ უწოდა, ჩაიქოვა რა მასში თავისი გრძელობები და განცდები. ამ საერთობრიო მნიშვნელობის სიმფონიური შან განავრძო ბეთჰოვენის მუსიკალური ტრადიციები.

შეექვს სიმფონია საკონცერტო შესრულებით წარმოდგენილ იქნა 1893 წელს უდროოდ გარდაცვლილი კომპოზიტორის პატივსაცემად. დირიჟორობდა ე. ნავრავენინი. ამ ნაწარმოებში ჩაიკვესკიმ გამოხატა არა მარტო პი-

რადი, არამედ იმდროინდებული რუსული ინტელიგენციის განწყობილება, რომელიც საკუთარ რწმენას ჰკარგავდა და ვერ ნახულობდა გამოსავალს საზოგადოებრივი კრიზისიდან.

ჩაიკვესკის მუსიკალური მეტკვიდრეობით ჩვენი კომპოზიტორები მეტად დავალებული არიან. მან მოგვცა ხალხისა და მშობლიური მუსიკისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითი. მართალი იყო კრიტიკოსი კაშკინი, როცა წერდა, ჩაიკვესკი ეკუთვნის იმ რუსი ადამიანების რიცხვს, რომელთა სახელს დააფასებს მხოლოდ შთამომავლობა. მით უფრო სასიამოვნოა, რომ დიდი კომპოზიტორი საქართველოს, ქართველი ხალხის სიყვარულით იყო შთავონებული, ხოლო ქართველმა ხალხმა ასე ფართოდ აღნიშნა წელს მისი დაბადების 125 წლისთვის.

სს. კომისაროვა,
რსფსრ დამსახურებული არტისტი.

ლვაზლმოსილი ლოტბარი

ნესტორ მასიკოს-ძე ჯიბლაძე ჭალხურ მომღერალთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც სამოღვაწეო ასაქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გამოვიდა. მისი ცხოვრება ჩვეულებრივი უბრალო ადამინის შრომისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის ნათელი ბიოგრაფიაა.

6. ჯიბლაძის ბავშვობის წლები

ორიოდე სტრიქონით აღინუს-ხება: მას არაფერი არ განასხვავებდა სოფლის სხვა ბავშვებისაგან, გარდა იმისა, რომ უსახლვროდ უყვარდა სიმღერა.

მამა ლარიბი გლეხი იყო. ამის გამო ნესტორს განათლება არ მიუღია.

ნესტორ მასიკოს-ძე ჯიბლაძე დაიბადა 1895 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ განახლებაში. რვა



წლის იყო, როცა მშობლებმა სოფლის სკოლაში შეიყვანეს, მაგრამ უსახსრობისა და 1905 წლის ამბების გამო მშობლებმა იგი გამოიყვანეს სკოლიდან.

გადის დრო. ნესტორი ისევ სოფელშია. მას სიმღერა უყვარს, მაგრამ რა ქნას, როგორ მიაღწიოს მიზანს? ნიჭი ეძებს გზას და, აი 1910 წელს ნესტორის ინიციატივით, სოფლის ჭაბუკებისაგან შეიქმნა მომღერალთა ჯგუფი. ჯგუფი დროგმოშვებით თავს იყრიდა ხან ერთ, ხან მეორე მეზობელთან და ასრულებდა ნაცნობ სიმღერებს — ვინც რა იცოდა, იმას მღეროდა, სხვები კი მისგან სწავლობდნენ. ნ. ჭიბლაძე რწმუნდება, რომ მას აქვს სიმღერის ათვისებისა და გადაცემის უნარი. თანაც აქეზებდნენ — „ნუ დააგდებ არჩეულ გზას და სიცოცხლის ბოლო გაგიტკბილდებაო“.

1911 წელს ნ. ჭიბლაძე გადმოდის ბათუმში და მუშაობას იწყებს რკინის მაღაზიის მეპატრონებითან. შემდეგ გადადის ბაქოში. 1914 წლიდან იგი კვლავ ბათუმშია, მსახურობს სასტუმრო „თბილისში“. სასტუმროს სამეურნეო საქმეებითაა გადატვირთული, მაგრამ თავისუფალ დროს მიღის ნაცადგურის მუშებთან, სადაც ხვდება ხალხური სიმღერების მოყვარულთ. კამათობენ, მღერიან კიდეც. იგი უსაზღვროდა გატაცებული ხალხური სიმღერით, სწყურია, რომ თვითონ შექმნას

მომღერალთა გუნდი და პირველი ვიწყებით ჩაებას მუშაობაში. მაგრამ მაღლე გაისმა პირველი მსოფლიო ომის ჰექა-ქუხილი და ნ. ჭიბლაძე გერმანიის ფრონტზე გაიწვიეს.

1917 წელს ნ. ჭიბლაძე მძიმედ დატრილი ბრუნდება სამშობლოში. გამოჯამმრთელების შემღებებას კვლავ იწვევენ გარში და გზავნიან ბათუმის სამხედრო გარნიზონში, სადაც 1921 წლამდე დაკყო. 1921 წელს ნ. ჭიბლაძე გაათავისუფლეს სამხედრო საგალდებულო სამსახურიდან და მან საცხოვრებლად აირჩია ბათუმი მუშაობს მუშათა სანაპირო არტელში — მტვირთავად. უახლოვდება მუსიკითა და სიმღერითა დაინტერესებულ ახალგაზრდობას. მონაცემებით სწავლობს ხალხურ სიმღერებს. ამ დროს ბათუმში საცავა აკტორიტეტით სარგებლობდა ქართული ხალხური სიმღერების გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი ლორბარი მელქისედექ ნაკაშიძე. ნესტორი დაუახლოვდა ამ ხელოვანს. რომელმაც იგი თავის გუნდში ჩარიცხა.

მ. ნაკაშიძესთან ნესტორმა ათიწელი დაცყო. ამ ხნის განმავლობაში მან შეისწავლა ათობით ძეველი ხალხური სიმღერა და საგალობელი; საგრძნობლად დაიხვეწა მომღერლის ხმაც. მას უკვე თამაბად შეეძლო გუნდის ხელმძღვანელობა.

და აი 1935 წლიდან ნესტორი

იწყებს დამოუკიდებელ მოღვა-
წეობას. მან პირველმა ჩამოაყა-
ლიბა აჭარის ასრ მილიციის
კლუბთან მომღერალ-მოცეკვავე-
თა გუნდი. ნესტორი ხელმძღვა-
ნელობდა აგრეთვე ელექტროსად-
გურთან არსებულ გუნდს, რომე-
ლიც შეიქმნა 1937 წელს. ახალ-
გაზრდა ლოტბარი ენერგიულ მუ-
შაობას ეწევა მომღერალთა შო-
რის და ყოველი ახალი წარმატება
აღაფრთოვანებს. გუნდის გამს-
ხვილება-განმტკიცების მიზნით
მოიწვია სიმღერის მოყვარული
დიასახლისებიც. ნ. ჯიბლაძემ სა-
ქმიანად ააწყო გუნდის მეცადი-
ნეობა და დაბეჭითებით შეუდგა
შზადებას მორიგ ოლიმპიადებში
მონაწილეობის მისაღებად.

1937 წლის დეკემბერში მილი-
ციისა და ელსაღვურის კლუბებ-
თან არსებული მომღერალ-მო-
ცეკვავეთა გუნდები, რომელთაც
ნ. ჯიბლაძე ხელმძღვანელობდა,
ოლიმპიადაზე გამოვიდნენ საკუ-
თარი, ორიგინალური რეპერტუა-
რით და მაყურებელთა ერთსუ-
ლოვანი მოწონება დაიმსახურეს.
მილიციის კლუბთან არსებული
მომღერალ-მოცეკვავეთა გუნდის
კონცერტის შესახებ გაზეთი „აჭა-
რისტანი“ წერდა:

„...აღსანიშნავია ის, რომ აქამ-
დე ჭერ არც ერთი გურული გუნ-
დი არ მისულა: უმეტეს შემთხვე-
ვაში სიმღერები ყვირილს უფრო
წააგავდა და დაცული არ იყო
კონტრაპუნქტული წყობის წესე-
ბი, რომელიც აუცილებელია გე-

რული სიმღერების ტექსტის ხა-
თელსაყოფად და მკაფიოდ გად-
მოსაცემად.“

მილიციის კლუბთან არსებულ
გუნდს ნ. ჯიბლაძე სამი წლის გან-
მავლობაში ლოტბარობდა.

დროის ამ მონაცემებში გუნდმა
კონცერტები გამართა ქალაქის
საწარმოებში, აჭარის მაღალმთა-
ნი რაიონების სოფლებში, კოლ-
მეურნეობებში. ამიერიდან ნ. ჯიბ-
ლაძე ცნობილია როგორც ნიჭიე-
რი მომღერალი და ლოტბარი.

1938 წლის სექტემბერია. მატა-
რებელი მოსკოვისაკენ მიაქრო-
ლებს რესპუბლიკურ ოლიმპიადა-
ში გამარჯვებულ კოლექტივს. აქ
არის ახალგაზრდა ლოტბარი ნეს-
ტორ ჯიბლაძე, რომელიც ხელმ-
დლენელობდა ბათუმის ნაეთობგა-
დასამუშავებელი ქარხნის მომღე-
რალთა გუნდს. ამ კოლექტივმა
მოწონება დაიმსახურა ოლიმპია-
დაზე ბაქოში და წარმატებით გა-
მოვიდა მოსკოველ მაყურებელთა
წინაშეც.

ამ დიდ ოლიმპიადაში გამარ-
ჯვების მოპოვებისათვის ნ. ჯიბ-
ლაძე დააჯილდოდეს ფირანი ხა-
ქარით. მოსკოვის ცენტრალურმა
და საქართველოს ყველა გაზეთმა
აღნიშნა მისი გუნდის წარმატება-
ნი.

1937 წელს აჭარის ასრ მინის-
ტორთა საბჭოსთან არსებული ხე-
ლოვნების საქმეთა სამართველო
ნ. ჯიბლაძეს გზავნის ქედის რაიო-
ნის კულტურის სახლში მომღე-
რალ-მოცეკვავეთა და მეჩონგუ-

რეთა წრეების ჩამოსაყალიბებლად.

ნ. ჯიბლაძემ დავალება პირნათლად შეასრულა, ჩამოსაყალიბა მომღერალ-მეჩონგურეთა ანსამბლი და ოვითონვე ჩაუდგა სათავეში. აღსანიშნავია, რომ ნ. ჯიბლაძემ, აჭარაში პირველად, კერძოდ სოფელ ვაიოში (ქედის რაიონი) შექმნა მეჩონგურე ქალთა გუნდი. ამ გუნდმა 1938 წელს საოლქო ოლიმპიადაზე საყოველთაო მოწონება დაიმსახურა: გუნდის ოვითეული წევრი დააჯილდოვეს ფასიანი საჩუქრებით.

ქედის კულტურის სახლის მომღერალ-მოცეკვავეთა გუნდი ნ. ჯიბლაძის ლოტბარობით გაიგზავნა თბილისში რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად. იგი გამარჯვებული დაბრუნდა. მერე გუნდი აწყობს გამსვლელ კონცერტებს ქედის რაიონის ყველა სოფელში, ხულოს რაიონის ცენტრსა და დიდ სოფლებში.

გუნდი კონცერტებს მართავდა კალენდარულ დღესასწაულებთან დაკავშირებით საძოვრებზე, ცალკეულ კოლმეურნეობებში, ჯარის ნაწილებში და ა. შ. ნაყოფიერი იყო ნ. ჯიბლაძის მოღვაწეობა ქედის რაიონში. გარდა რაიონული მომღერალ-მოცეკვავეთა გუნდისა, იგი აყალიბებს ოვითმოქმედ გუნდებს ცხმორისში, პირველ მაისში, მერისში, ზვარეში და ა. შ. გადის ხანი და ნესტორი ხულოშიც ქმნის არა

მარტო მამაკაცთა, არამედ ჟალთა გუნდისაც.

ნ. ჯიბლაძის მოღვაწეობის ძირითადი უბანი ქედის რაიონი იყო, სადაც მან თითქმის საუკუნის მეოთხედი დაჰყო. განსაკუთრებული წარმატება მოიპოვა ნ. ჯიბლაძემ 1949-1950 წლებში ოვითმოქმედი კოლექტივების დათვალიერების დროს. ქედის რაიონის მაიაკოვსკის სახელობის კულტურის სახლთან არსებულმა მომღერალ-მოცეკვავეთა გუნდებმა პირველი აღგილი დაიკავეს სარაიონო და საოლქო დათვალიერებაზე და დამსახურებულად წარსდგნენ რესპუბლიკურ დათვალიერებაზე.

ქედის რაიონის მომღერალ-მოცეკვავეთა გუნდის შემოქმედებითი მუშაობის შესახებ გაზეთი „საბჭოთა კარა“ წერდა:

„1949 წელს მხატვრული ოვითმოქმედების დათვალიერებაში წარმატებითი მონაწილეობის და მომსახლეობის მხატვრული მომსახურებისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის ხელოვნების საქმეთა სამართველოს აჭარის ხალხური შემოქმედების საოლქო სახლის საპატიო სიგელებით დაჯილდოვებული არიან ქედის რაიონის კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, მისი ხელმძღვანელი ნ. ჯიბლაძე“.

იმ პერიოდში ნ. ჯიბლაძის შრომა მარტო მომღერალთა გუნდების წრთობით არ ამოიწურება. მან ნაყოფიერი შრომა გასწია ახალგაზრდა კადრების მოსამზადებლადაც.



მისი ყოფილი მოწაფეები რ. თუ-
რმანიძე, ს. თურმანიძე (ქედის რა-
იონი), ა. ღიასამიძე, თ. ქათამაძე
(შუახევი) ამჟამად ხელმძღვანე-
ლობენ მომღერალ-მოცეკვავეთა
თვითმოქმედ კოლექტივებს.

ნ. ჯიბლაძის რეპერტური შედ-
გება ათობით ხალხური სიმღერი-
საგან, რომელთა უმრავლესობა
მის მიერ არის დამუშავებული.
მან შექმნა ორიგინალური სიმღე-
რებიც. განსაკუთრებით უნდა აღი-
ნიშნოს სიმღერები ლენინზე, პარ-
ტიაზე, სამშობლოზე, მშვიდობაზე,
სამამულო ომის გმირებზე, შრო-
მის გმირებსა და უხვი მოსავლის
ოსტატებზე.

ნიკიერი და ენერგიული ლოტ-
ბარის მოღვაწეობას მაღალი შეფა-
სება მისცეს მთავრობამ და პარ-
ტიამ. იგი დაჯილდოებულია მე-
დილით „1941-1945 წლების დიდ
სამამულო ომში შრომითი მმა-
ცობისათვის“, ხალხური თვითმო-
ქმედების აჭარის საოლქო სახლის
სამკერდე ნიშნით, საქართველოს
სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსე-
ბული კულტურულ-საგანმანათ-
ლებლო საქმეთა კომიტეტის საპა-
ტიო სიგელით. 1957 წელს მას მიე-
ნიჭა აჭარის ასრ ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწის საპა-
ტიო წოდება.

ხელოვნების დარგში ხანგრძლი-


ვი და ნაყოფიერი მუშაობის აღსა-
ნიშნავად 1950 წლის 1 ივლისს
ქედის რაიონის მშრომელებმა
ნ. ჯიბლაძეს გაუმართეს საღამო,
რომელსაც დიდალი მაყურებელი
დაესწრო მეზობელი რაიონებიდან
და ბათუმიდან. ორატორები სი-
ყვარულით აღნიშნავდნენ ლოტ-
ბარ ნ. ჯიბლაძის ღვაწლს ხალ-
ხური სიმღერების შეგროვე-
ბის, დამუშავებისა და პობულარი-
ზაციის საქმეში, აღნიშნავდნენ მის
კაცურ კაცობას და დიდ ამაგეს.

შემოქმედებითს საღამოზე ლოტ-
ბარს ლექსი მიუძღვნა პოეტმა ნ.
მალაზონიამ.

„შენ ჩონგურს მოგრძო ტარი აქვს
და თხი სიმი წერიალა.
დაუკრავ — მთელ ტანს დააბარს,
მარტო თვალს და გულს კი არა.
მოყვითლო თუთის ხისა,
დათონ და ხელით გათლილი,
ფორთხობლის ხეთა მხრისაა,
მაგრამ დინგია ქართლივთ.
შეხედავ — სახე სადა აქვს
და ზედ საღაფი დართული,
ლარიდან ლარზე გადააქვს
პანგი სამო ქართული.
მოელი ხმით დაჲკარ, ჩონგური!
ძილი ნუ მოგვეიდება,
უმღერე შენ ჩევნს სამშობლოს
ჩევნი პარტიის დიდება“.

ამჟამად ნ. ჯიბლაძე პენსიონე-
რია, მაგრამ არ კი შეუწყვეტია
შემოქმედებითი მუშაობა: კვლავ
ქმნის ახალ სიმღერებს, რომ ასა-
ღერებლად ახალი სიმი გადასცეს
ამღერებულ ხალხს.

ი. გალაზონია.



ଶ୍ରୀକଳିତ ବାହୁଦୟପାତ୍ର

ԵԱՀԱՅԵ ՍԵՎՈՒԹԱԳՈՅՆ

თვითმავრებობის ნინაღვები გაიხსდი ბეჭოების ისტორიაზე

1905 წლის რევოლუციის 60 წლითავის გამო

XIX საუკუნის დამლევსა და XX
საუკუნის დამდევს რევოლუციური მო-
ძრაობის ცენტრმა დასავლეთიდან აღ-
მოსავლეთში — რუსეთში გამოინაცი-
ლა. რუსეთის პროლეტარიატი საერთა-
შორისო მუშათა მოძრაობის ივანგარდ-
ში მოქმედა და მის წინაშე დაღა უდი-
დესი მნიშვნელობის რევოლუციური
ამიცანა — მოკლე ისტორიულ ვადაში
დამტკიცარიაზე.

ცარიშმის წინააღმდეგ ბრძოლაში
ერთ-ერთი ყველაზე ძნიშვნელოვანი მო-
ვლენა იყო რუსეთის პირველი სახალხო
ტევოლუცია, რომელმაც შეატყია
თვითმკურნალობის პოზიციები. იგი
დაიწყო 1905 წლის 9 იანვრის ტრაგე-
დიით პეტერბურგში.

რუსეთში გაჩალებულ რევოლუციურ
მოძრაობას მაშინც გამოქვაბურნენ ამა-
ტრავაცასის მურომელები. 1905 წლის
იანვრის მეორე ნახერიდან მურომელ-
თა საპროცესო გამოსვლებამ მოელი-
საჭართველო მოიცავ. განსაკუთრებით
მწვავედ იგრძნობოდა ეს ბათუმში, სადაც
25 იანვრიდან 31 იანვრამდე არ შეფი-

ବେଳିଲା ଶାୟକୁର୍ରତାମ ତାଳିପରିଯୁକ୍ତର
ଗାୟିପର୍ବତୀରେ ଖରମଦ ଦାତୁମଧୀରେ କମିତୀରେ
କ୍ଷେତ୍ରଫଳବାନ୍ଧବିତ ଧାର୍ଯ୍ୟମ ମୁଖ୍ୟମାତ୍ର ହେ
ଦୂରମୂଳୀ ରାଶିମ୍ଭେଦି ଶୈଖରୀ, ହରମଲ୍ଲେଶ୍ୱର
ତାଙ୍କୁ ଶ୍ଵେତମନ୍ଦିର ସାମନ୍ଦିରପାଇଁ ଉଦ୍ଦେଶ,
ଶାନ୍ତିମର୍ମେଦିଶା ଓ ମେଘଦିଶ କ୍ଷେତ୍ରିଶୁଭଲୋକିଦିଶ
ନେବା ମନ୍ଦିରଲୋକିଦିଶ ଶୈଖମନ୍ଦିର ଦେଖି ଚାତାର୍ଜ
ଦା, ହରମ ଦାତୁମଧିର ଶାନ୍ତିମର୍ମେଦିଶାରିନ୍ଦରିର
ଶାନ୍ତିମର୍ମେଦିଶାରିନ୍ଦରିର ମୁଶ୍କେଦି ପୁରୁଷାଦର୍ଜ
ଦାତୁମଧିର ଏକପରିବର୍ତ୍ତନେ, ମାତିନ ହରମା, „ଦା
ରିତ୍ତାନିନିଶ ଶୁଭେନ୍ଦାରିନାରିହିଲି“ (୨. ୧. ଖରମଦ
ଦାତୁମଧିର କମିତୀରେତିବି) ଯଶେଲା ଶାନ୍ତିମର୍ମେଦିଶା
ଶାନ୍ତିମର୍ମେଦିଶାରିନ୍ଦରିର ସର୍ବଲଭ୍ୟଦିନରୁ।

თებერვალში რევოლუციურმა მთხრა-
ობამ კიდევ უფრო ფართო ხსიათი მი-
იღო. 21 თებერვალს ბათუმში გაიმართა
მუშათა პლატფორმი დემონსტრაცია,
რომელიც მოწყო პროტესტის ნიშაუ
პოლიციის ხელმძღვანელობით 6-9 თე-
ბერვალს ბაქოში პროვინციული
სომებ-თათართა სისხლანი შეტაკება
გამო. ხალხმრავალი დემონსტრაცია, რო-
მელიც საპროტესტო მიტინგის შემდეგ
დაიწყო, ბათუმის გარნიზონის ჯარისკა-
ცებთან ხელჩართული ბრძოლით დამ-
თავრდა.

პათარემის მუშათა გმირულ ბრძოლას შეარი დაუჭირა ოჭარის გლეხობამაც. ამ შერივ განსაკუთრებით გამოიჩინა, ქინტრისის უბანი. მალე გლეხთა მოძრაობა მეტანალებად მთელ აჭარას მოეწოდ. მაგალითად, ქვედასა და ცხმორისში ოთხი-ხუთი ათასამდე გლეხი აჯანყდა. აჯანყებულებმა დაკეტეს სოფლის კანცელირია და გააძვევს ადგილობრივი ხელისუფლება.

1905 წლის გაზიფხულზე და ზაფხულში მეფის თვითმშერიცხვებულობის წინამდებარები ჩაიხსნა მშრომელთა ყველა ფეხი: მუშები, გლეხები, ხელოსნები, ნოქტები, დაბალი ჩინის მოხელეები, ზინამოსამსახურეები და სხვ. მაისა და ინისში ბათუმში თათქმის არ უჟიყვარებილა მიიჩნები და დემონსტრაციები. აღსანიშვნება, რომ ბათუმისა და ქობულეთის მშრომელთა ინისის საყოველთაო გაფიცვები დამტხვე ჭავშნისან „პოტიომენის“ აჯანყებას.

დაბასტურებულია, რომ ბათუმის ბოლშევიკურ ორგანიზაციის მშენების ურთიერთობა ჰქონდა შევი ზღვისპირი ქალაქების სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან, რომელიც ენერგიულად ემზადებოდნენ აჯანყებისათვეს. ვ. ი. ლენინს მიზანშეწონილად მიიჩნდა, რომ აჯანყებული „პოტიომენის“ ბათუმში წაეყვანათ, რადგან რევოლუციის ბელადში კარგად იცდა, თუ რა მრისხნე პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა ბათუმის პროლეტარიატი. მეორე მხრივ, ბათუმის გარნიზონის საგრძნობი ნაწილი (განსაკუთრებით არტილერისტები) მზად იყო აჯანყებულთა მხარე დაევავათ. ვ. ი. ლენინის თანამებრძოლის ვასილიევ-იუზანის თქმით, „...ბათუმი, როგორც რევოლუციური ბაზა, მთელი შევი ზღვის სანაბიროზე ყველაზე უფრო საიმედო რიანონი იყო“ (ცურნალი „პროლეტარსკაია რევოლუცია“, № 4, 1926 წ.).

აქტიური მონაწილეობა მიიღო ბათუმის პროლეტარიატმა სრულიად რსუსთავის აქტომბრის საყოველთაო პოლიტიკურ

გაფიცვაში, რომელმაც დამბლა დასცავდა მეფის თეთრმშებობლობას.

15 ოქტომბრიდან პოლიტიკური გაფიცები ბათუმში ხელჩართული ბრძოლებით ხასიათდებოდა. თვის ბოლომდე ქუჩებში არ შეწყვეტილა მიტინგები, დემონსტრაციები და მასობრივი კრებები. მეფის ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხულიანებისა და შტრაქებრებისაგან შექმნა შავი რაზმი, რომელსაც ევალებოდა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ მუშათა მებრძოლი რაზმები შიშის ზარს სცემდნენ ადგილობრივი ხელისუფალთ. მრაალრიცხვან შეტყებაში მუშა-რაზმელებმა ბევრი შავრაზმელი გამოისალმეს სიცოცხლეს, მათ შორის შავრაზმელთა მეთაური ნ. შმიკინი.

მუშათა ორგანიზაციებმა თანდათანობით ხელში ჩაიგდეს ქალაქის მართვა. განსაკუთრებული გავლენით სარგებლობდა. საგაფიცვო კომიტეტი, რომელიც მუშათა დეპუტატების საბჭოს როლს ასრულებდა და ფაქტიურ ხელისუფლებას წარმოადგენდა, რაღაც რეინიგზაზე მოძრაობა, ღმმაშვერთა გასამართლება და ბევრი სხვა ლონისძება მხოლოდ მისი მითითებით ან ნებართვით ტარდებოდა. ბათუმის მუშათა მოძრაობის ისტორიაში 1905 წლის ოქტომბერი და ნოემბერი მეტად საინტერესო პერიოდი იყო. იგი ძალიან ჰგავდა ორხელისუფლებიანობას, რადგან მეფის ადგილობრივი ხელისუფლების გვერდით გაბედულად მოქმედებულნენ მუშათა ორგანიზაციებიც.

• სრულიად რუსეთის ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკურმა გაფიცვამ ნაადავი მოუმზადა შეიარაღებულ აჯანყებას. ასდგვ III ყრილობამ ყოველმხრივ განიხილა შეიარაღებული აჯანყების საკითხი და დასახა მისი მომზადების კონკრეტული გზები. საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიოს მესამე ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვეს.

1905 წლის გვაზაფხულზე რსლვპ ბა-

თუმის კომიტეტმა შექმნა ორი სამხედრო კომისა, რომლებსაც ევალებოდათ ბათუმის გარნიზონის ჯარისკაცებთან კავშირის დამყარება, მუშათა მებრძოლი რაზების ჩამოყალიბება, მთი შეიარაღება და სხვ. მ. ფედოროვის, ს. ივანიძის, ს. თავართვილაძის, ალ. ჩხერიალის, ა. ავალიანის, ი. ლუზინის, ი. ქიქავასა და სხვათა ხელმძღვანელობით ირეუ კომისამ საქმიან მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და ჩატარებისათვის.


როგორც ცნობილია, რუსთას პირველი რევოლუციის კულმინაციურ წერტილს წარმოადგენდა დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება. ვ. ი. ლენინმა 1905 წლის სამი უკანასკნელი თვის ამპერი შეაფისა, როგორც უდიდესი მნიშვნელობის მოგლენა. მისი თქმით, „...ამ გამოცდილებას მსოფლიო მნიშვნელობა აქვს ყველა პროლეტარული რევოლუციისთვის“ (თხ. ტ. 31, გვ. 412).

ბათუმში შეიარაღებული აჯანყება რამდენიმე დღით ადრე დაწყო, ვიდრე მოსკოვსა და სხვა ქალაქებში. მისი მიზური თვითონ მეფის აღილობრივი ხელისუფლება იყო, რომელმაც პროვოკაციული გამოიწვიო შეიარაღებული შეტაკება მუშება და კაზაკებს შორის. ადგილობრივი ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ ნააღვევდ დაწყებულ აჯანყებას ალვილად ჩაახშობდნენ და მოძრაობის მთავარი ძალა — ბათუმის პროლეტარიატი და მისი ხელმძღვანელი პოლიტიკური შტაბი — ბოლშევკიური ორგანიზაცია საბოლოოდ დამარცხდებოდა. 1905 წლის 28 ნოემბერს კაზაკთა მხეცობით გამოწვეული მუშათა საყოველთათ გაფიცვა 29 ნოემბერს შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა. 30 ნოემბერს ბათუმის ქუჩებში ასხე მეტი ბარიკადა აღიმართა. თვითმშერბობელობის წინააღმდეგ

ბრძოლა უმაღლეს ფაზაში შევიტა გვიაზული თუმს პროლეტარიატის კვალ და კვალ აჯანყდა კინტრიშის უბნის გლეხობაც. გლეხებმა დარბისე სასოფლო კანცელარიები, გაძევებს მეფის მოხელეები და შეუდგნენ რევოლუციური ხელისუფლების ორგანიზაციის, ეს ისეთი გამედული ოონისძიება იყო, რომ ბათუმის ოლქის დემორალიზაციულა პოლიციაზ მუშაობა შეწყვიტა, მაგრამ სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებმა ისარგებლებს აჯანყების სუსტი ორგანიზაციით, მენშევეებისა და სხვათა ღალატით და სხვა ქალაქებიდან გაძმოყვანილი ჯარის დახმარებით აჯანყება ჩააქრეს მიუხედავად მისა, 1 დეკემბრის წინააღმით ბათუმის მუშები, რომელთაც წინ მიუძლოდა ქალებისაგან შემდგარი რაზმი, თავს დაესხენ ბურუნ-ტაბიეს სიმაგრეს. მაგრამ ეს უკანასკნელი შეიარაღებული გამოსვლაც მარცხით დამთვარდა.

შეიარაღებული აჯანყების ჩახშობის შემდეგ დაწყო მკაცრი რეპრესიები. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრებისა და აჯანყების მონაწილე მუშებისა და გლეხების დაპატიმრებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. მიუხედავად ამისა, ბრძოლა მეფის თვითმშერბობელობის წინააღმდეგ კალვ გრძელდებოდა. 1905 წლის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას ბათუმში წარმოადგენდა გარნიზონის ნეწილების აჯანყება იყნისში. მაგრამ ეს აჯანყებაც ჩაქრობილ იქნა.

მართლა, 1905-1907 წლების რუსეთის სახალხო რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ვ. ი. ლენინის თქმით, იგი წარმოადგენდა 1917 წლის რევოლუციის „გენერალურ რეპეტიციას“. საამავარა, რომ ბათუმის პროლეტარიატი ამ „გენერალური რეპეტიციის“ ერთ-ერთი ღირსეული მონაწილე იყო.



გეგელი გამისრნია

აჭარის მუსიკარები საზოგადოება

1921 წელს აჭარაში შეიქმნა მუსიკალური საზოგადოება, რომელიც მაშინვე საკონცერტო ცენტრად გადაიქცა. ამ ორგანიზაციის საფუძველზე ბათუმში აღმოცენდა ახლანდელი ფილარმონია.

ამ საზოგადოების ორგანიზატორები მთავარ ამოცანად ისახავდნენ ქანცეცხლების გამართვას რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში, კლუბებსა და სკოლებში, რათა აემაღლებინათ მშრომელთა ფართო ფენების მუსიკალური დონე, ამასთან თვით მუსიკა გაემდიღებინათ ახალი შინაარსით, რომელიც გამოხატავდა მშრომელი ხალხის გმირულ ცხოვრებას. ოპერის თეატრი, საკონცერტო ორგანიზაციები და მუსიკალური თვითმოქმედი კოლექტივები ეწეოდნენ კლასიკური და ხალხური მუსიკის ფართო პროპაგანდას.

ამ პერიოდში ბათუმში ჩამოვიდა და და ენერგიულ შემოქმედებითს მუშაობას ეწეოდა ვ. კორშონი-იგი ხელს უწყობდა კლასიკური

მუსიკალური კულტურის დამკვიდრებას და ამასთან მუსიკალური თვითმოქმედების განვითარებას. მრავალუანრიანი საბჭოთა მუსიკის ჩამოყალიბებას კლასიკური მუსიკის მემკვიდრეობის გათვალისწინებით.

ამ გარემოებამ გამოიწვია აჭარაში საოპერო დასის, გუნდების, ანსამბლების, ორკესტრების, ფილარმონიის შექმნის აუცილებლობა.

მასობრივი მუსიკალურ-თეატრალური წარმოდგენები, საზეიმო დღეებში წითელი არმისა და ფლოტის მებრძოლთა საშეფო-მხატვრული მომსახურება, მუსიკალური თვითმოქმედების გაფართოება — ყოველივე ეს მოასწავებდა მუსიკალური ხელოვნების იდეურ გამდიდრებას.

ხალხური შემოქმედება საბჭოთა კულტურის მშენებლობის ერთერთ მნიშვნელოვან ელემენტად გადაიქცა. რესპუბლიკურ გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა წერი-

ლები, რომლებშიც გამოსჭვიოდა ის აზრი, რომ ხალხური და კლასიკური მუსიკა დიდ როლს ასრულებდნ ფართო მასების მუსიკალურ განათლებაში.

მუსიკალური საზოგადოება აგრეთვე მიზნად ისახავდა ხალხური მუსიკის ნიმუშების შეგროვებას და შესწავლას. ხალხური და კლასიკური მუსიკის ფართო პროპაგანდას ეწეოდნენ მომლერალთა გუნდები, საოპერო დასი და ორკესტრი. აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე შეიქმნა სახელმწიფო აკადემიური გუნდი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. ს. კუხიანიძე, რუსული საოპერო დასი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ვ. კოჩშონის დირიჟორობით, სასულე ორკესტრი აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის თ. ხავთასის ხელმძღვანელობით. შეიქმნა აგრეთვე მრავალი თვითმოქმედი მომლერალთა გუნდი (ფაბრიკებსა და ქარხნებში, დაწესებულებებში, კლუბებსა და სამხედრო ნაწილებში). ისინი ეწეოდნენ კლასიკური და ხალხური მუსიკის პროპაგანდას. პირველად მათ შეასრულეს ლიტერატურულ-მუსიკალური მონტაჟები აქტუალურ თემებზე.

მუსიკალური საზოგადოება, განსაკუთრებით აჭარის სახელმწიფო აკადემიური გუნდი აქტიურად მონაწილეობდა საგუნდო მუსიკის პროპაგანდაში. კონცერტებზე მსმენელები ეცნობოდნენ ქარ-

თულ, რუსულ, უცხოურ ხალხური და კლასიკურ საგუნდო ნაწარმზე ბეჭებს.

მუსიკალური საზოგადოება ახორციელებდა მნიშვნელოვან ღონისძიებებს, რათა აემაღლებინა მუსიკოსების პროფესიული დონე. მათგან აღსანიშნავია არტისტ-მუსიკოსებს შორის გამართული შიღაკონკურსი. ამის შედეგად თვითმოქმედმა მუსიკოსმა აიმაღლა კვალიფიციაცია და მიიღო მუსიკალური ნიჭის შემდგომი განვითარების შესაძლებლობა.

მუსიკალური საზოგადოების აქტივისტთა ძალებით ქალაქსა და შორეული რაიონების სოფლებში ხშირად იმართებოდა კონცერტები, მუსიკალური წარმოდგენები, ლექციები და საუბრები მუსიკაზე. მხატვრული თვითმოქმედების კოლექტავებს სოფლად ეხმარებოდნენ მუსიკალური ანგანის შესწავლაში, მუსიკალური კულტურის ამაღლებაში.

საზოგადოებას შემოკრებილი ჰყავდა ბევრი ნიჭიერი მუსიკოსი, საგუნდო-საოპერო ხელოვნების სპეციალისტები: ვ. კოჩშონი, მ. კუხიანიძე, ე. ვრონსკი, ვ. გოგიტიძე, ა. ფარცხალაძე, მ. ჩხიფვილი, ა. შლიფერი, თ. ხავთასი, პ. ვარძიელი, ლ. ველიუსი, დ. ყუბანევილი, ს. ვაკარეცი, ე. ნეიშტადტი, კ. ჯინჭარაძე, ა. ტატიშვილი, ვ. მარგველაშვილი, ს. ბაკრი. ნ. გორგაძე და სხვები. ისინი ნიჭია და უნარს არ იშურებდნენ შემოქმედებითი. მეთოდოლოგიური და ორგანიზატორული საკითხების

გადასაწყვეტად, ცდილობდნენ მა-
თალმხატვრული პროფესიული
მუსიკალური კოლექტივების შექ-
მნას.

ამრიგად, მათ ხელი შეუწყვეს
აჭარაში მუსიკალური ხელოვნების
განვითარებას.

ხშირად იმართებოდა ნაყოფიე-
რი შემოქმედებითი შეხვედრები
ნიჭიერ მომღერალ-არტისტებთან,
მუსიკოსებთან, დირიჟორებთან. ეს
შეხვედრები ამდიდრებდა ადგი-
ლობრივი მუსიკალური კოლექტი-
ვების კულტურას, უმუშავდებო-
დათ პროფესიულობა, იმაღლებდნენ საშემსრულებლო კულტურის
დონეს.

საბჭოთა მუსიკის ჩამოყალიბე-
ბასთან ერთად სწრაფად ვითარ-
დებოდა ქართველი ხალხის მუსი-
კალური შემოქმედება. მის სიმ-
ღერებსა და ცეკვებში მკაფიოდ
იყო გამოხატული დიდი მუსიკა-
ლური ნიჭიერება: ფაქტზე მხატვა-
რული გემოვნება, წარმოსახვის
პოეტურობა, აღსანიშნავია, რომ
აჭარაში ქართული მუსიკალური
კადრების მომზადებაში მნიშვნე-
ლოვანი ღვაწლი მიუძღვის პირ-
ველ ბათუმელ კომპოზიტორს, სა-
ქართველოს სსრ და აჭარის ასსრ
ხელოვნების დამსახურებულ მოღ-
ვაწეს ა. ა. ფარცხალაძეს.

მუსიკალური საზოგადოების

ინიციატივით, 1929 წელს დათვა-
ში გაიხსნა პირველი სამუსიკო სა-
სწავლებელი. მუსიკალურ და თეა-
ტრალურ კოლექტივებთან მშედ-
ლო შემოქმედებითი კავშირის შე-
დევნად კომპოზიტორმა შექმნა ბე-
ვრი საინტერესო ნაწარმოები.


ა. ფარცხალაძემ შეაგროვა და
შეისწავლა ხალხური (აჭარული)
მუსიკის ბევრი ნიმუში, დასწერა
სოლო და საგუნდო სიმღერები,
ინსტრუმენტული, საოპერო და
თეატრალური ნაწარმოებები.

კომპოზიტორი ა. ფარცხალაძე
შთავონებულად უმღეროდა საბ-
ჭოთა ხალხის გმირულ შრომას,
ჩვენი ადმიანების სულიერ სილ-
მაზეს. მის სიმღერებს დღესაც ას-
რულებს ჩვენი რესპუბლიკის ბე-
ვრი მუსიკალური და თვითმოქმე-
დი კოლექტივი.

აჭარაში საკონცერტო-საშემს-
რულებლო პრაქტიკის კერა 20-ვი-
წინ წლებში იყო მუსიკალური სა-
ზოგადოების და სახელმწიფო ეს-
ტრადის დარბაზები.

მუსიკალური საზოგადოება ხში-
რად აქვეყნებდა სტატიებს მუსი-
კისა და მუსიკალური მემკვიდრე-
ობის საკითხებზე.

ასეთია მოკლედ აჭარის მუსი-
კალური საზოგადოების ისტორია
და მისი ღვაწლი ჩვენი რესპუბ-
ლიკის კულტურულ ცხოვრებაში.



**შურიდალ „ლიტერატურული აზარის“ 1965 წლის
 ნომრების გინაბრივი**

დიალი გამარჯვება, № 3.

3. 0. ლენინის დაგადაზის

95 წლისთავისათვის

მახარაძე ფ. — ილიჩი კრემლში, № 2.

ლექსები

ანთაძე ც. — სურათი, № 4.

ბერძოძე ი. — ორი გზა გვექონდა..., დისკონანები, № 1.

ვარშანიძე გ. — წერელ, ნალჩიქს როცა გაიხსენებ..., მაგონდება ჩემი ჭრა, ბალები, გახსოვარ?, დამლოცე, ანა!, № 3; ზარების გუგუნი, № 4.

ზოძე შ. — აქარის მთებიდან, № 6.

ლეონიძე გ. — სამშობლოს გული, წინაპართა შემოხელვანი, ბოლნისის ქა მეზურე საუკუნისა, მატენდარანში, კარმენ, № 5.

მალაზონია ნ. — ფერად-ფერადი, № 2; უიღბლო ბარათი, № 3.

მეგარა ქ. — იქნებ შეგხედეს, * (მე მიყვარს ხეთა ჩუმი შრიალი), № 2; დედის სარეცელოან, № 6.**

როვა შ. — კარგი კაცი, № 1.

სალუქვაძე გ. — გამარჯობა, დედულეთო!, № 4.

სალუქვაძე გული — ეს მე ვკითხულო..., * (მიწამ, ტყემ, ლელემ ასწიეს ჰეშვი), № 4.**

სეიდიშვილი ლ. — სამშობლოს, თეთრი კუვაილები, არქეოლოგიური გამოფენა, № 1.

ტაბიძე გ. — ვინ იყო ის? № 3.

უშვერიძე ი. — ქრის, * (ლურჯ ღამებში, ჩამქრალი სიზმრის), სალამი, *****

(მე ჩავიძირე ლამაზ ღამებში), № 2.

ქათაძე ჭ. — ჩემს ძმას, № 3; სამშო-

ბლოს, მხოლოდ გული, ასე იტყვიანი, № 6.

შუბლაძე შ. — თეთრი გედი, № 4.

ხალვაში ფრ. — ვიეტნამის ლერწმინ, სამხრეთისაუკენ მიმაგალი გზა, სამხრეთვიეტნამელ გლეხს, ტბა ჰანიოში, ჰალონი, № 1; სახე, ნელი, იები, № 5.

ხოშტარია ი. — ფერთა სიუხვე, № 6.

ჭაველი ჭ. — ჰანიბალური ფიცის რაინდებს, № 3; ნახვამდის, მოსკოვი!, კავკასიაში, № 5.

თარგმნილი ლექსები

იურენკო ო. — * (მოდი, ეგ თავი დამალე მკერდზე), ბილიკი (თარგმნა ნ. მალაზონიამ), № 1.**

ესენინი ს. — შავი კაცი (თარგმნა გ. სალუქვაძემ), № 3; ყვავილები (თარგმნა გ. სალუქვაძემ), № 5.

პოლეზაევი ალ. — სარქმელი, მზეთუნახეს (თარგმნა მ. ომერიძემ), № 4.

შირაზი ო. — * (ძველ სამყაროს მეარ ვიცნობ), ყრმობა (თარგმნა ნ. მალაზონიამ), № 1.**

პიქმეთი ნ. — ღამეა და ოოვლი მოდის (თარგმნა გ. ვარშანიძემ), № 2.

**მოთხოვნები, ნოველები,
 გინიაზრები, პიესები**

ასათიანი გ. — გეგუთის ძელქვები, № 6.

ბენიძე ი. — გზები და გზაჯვარედინები, № 5, 6.

გორგოლაძე გ. — მთაში, № 1; ბზის ჯოხი, № 4.

გოგოლია ა. — შავი ღამეები, № 3.

ღოლძე ე. — უკვე გვიან იყო... № 1.

კაშია ჭ. — მოლოდინი, ლევან, № 2.
ლორია პ. — თავმჯდომარე, № 2.
მოდგეაძე ნ. — გაორებული გული,
№ 4.

თამაზაური კ. — მოულოდნელი შეხვე-
დრა, № 3.

როვაძე შ. — ღედა, № 6.

რურუა ი. — ცის გასსნა, № 4.

შერვაშიძე ა. — ყიზლარიდან ყიზლა-
რიდა, № 3.

ჩხაძე თ. — ინფანტი, № 1.

ჩხაძე ნ. — ღედის გული, № 2; მეცუ-
რერე, № 5.

ხალაში გრ. — ლამაზი გუნდი, თანა-
წორობა, რატომ იცინიან?, კაცის ცრემ-
ლი, № 3.

თარგანილი მოთხოვები, რომანები

ანტონოვა ს. — წერილი (თარგმნა ტ.
ხინობიძემ), № 1; მუჟეუმში (თარგმნა
ტ. ხინობიძემ), № 2.

არაბული პოეზიიდან — ალერსის ბალი
(თარგმნა ჭ. ხუნდაძემ), № 2.

იაკოვლევი ი. — ასეა საჭირო (თარგმ-
ნა ირ. ქებაძემ), № 3.

მოპასანი გი ღვ — წუთისოფელი (თა-
რგმნა ლ. მხეიძემ), № 4, № 5, № 6.

ნესინი ა. — მიბოძეთ, რასაც ინებებთ
თართარგმნა 6. გვარიშვილმა), № 5.

დღეები და ადამიანები

ჩხაძე ალ. — ოცი თვე კოსმონავტები-
თან, № 1; ჩრდილოეთის ცხარე ღღები,
№ 3.

ზამილაძე ჭ. — იასამნები ისევ პყვა-
ვიან, № 3.

ხინიკაძე მ. — ომის დღეებში, № 3.

კულტურისაცია

აძრამიშვილი გ. — ნიკოლოზ ღოლობე-
რიძის წერილები, № 4.

რურუა პ. — ნობათად ჩემს ილიას,
ციხისძირის ნანგრევებთან, *** (გაზაფ-
ხულს კველა ფრთოსანი ხედება), ხვალინ-
დედ მზიან დღეს, *** (ცუმშერ მთას და
ველებს), ორი გრძნობა, № 2.

რურუა ი. — ცოტა რამ მამაჩემზე,
№ 2.

პრიტიკა და კუგლიცისტიკა

არველაძე ს. — განახლებული ზღვის-
პირების პოეტი, № 1.

ბარამიძე ნ., სურგულაძე ა. — გამო-
ჩენილი ქართველი მეცნიერი, № 2.

ვადაჭიკორია ს. — ლირიკული ქანრის
სპეციფიკის ზოგიერთი საკითხი, № 2.

ლილუაზვილი კ. — გულწრფელი პატ-
რიოტი, № 1.

ნაცვალაძე დ. — სიც იღწვოდა გა-
მულისათვის, № 1.

ქურიძე შ. — განვლილი გზა, № 2; ლი-
ტერატურის ახალგაზრდა გმირის შესა-
ხებ, № 4; დრამატურგის გზა, № 5.

ჩავლეოშვილი ალ. — მხატვრული ოს-
ტურის თეორიული საკითხები, № 5.

ხმალაძე პ. — თეოფილე ხუსკივაძე,
№ 4.

ლიტერატურული კალენდარი

გობრინიძე ალ. — იაყობ გოგებაშვილი
და ქართული ლიტერატურა, № 5.

სალქევაძე გ. — სერგე ესენინი, № 5.

შავგულიძე ჭ. — ღიდი სახალხო მგო-
სანი, № 3.

ჩავლეოშვილი ალ. — ნიკო ლომოური,
№ 2.

წიგნის თარო

ბარამიძე ნ. — აყარის პარტიული ორ-
განიზაცია კულტურული რევოლუციის
ლენინური იდეის განხორციელებისათვის
ბრძოლაში, № 1.

კალანდარიშვილი ლ., სურგულაძე ა. —
ქართული სოფლის ეთნოგრაფიული შეს-
წავლისათვის, № 4.

გევაძე ვლ. — მონოგრაფია ლაზეთის
შესახებ, № 1.

შებუე გ. — საინტერესო პატარა მო-
თხოვებები, № 4.

რუსთაველის დაბადებას

800 წლისთავისათვის

შანიძე გრ. — რუსთველი თუ რუსთა-
ველი?, № 3.

ვოლებლორი

აზლელიანი ა. — ხალხური ლექსი
„სოლალა“, № 1.

მსხალაძე ალ. — ქართველის ლექს-სიმღერები, № 5.

ნოღაიდელი ჭ. — შრომის სიმღერები, № 4.

სელოვნება

კომისაროვა ქ. — ჩაიკოვსკი და საქართველო, № 6.

სალაპონია ი. — ღვაწლმოსილი ლოტბარი, № 6.

აჭარის ზარსულიდან

ახვლედიანი ხ. — სახელოვანი პატრიოტი, № 3.

გაბისონია გ. — აჭარის მუსიკალური საზოგადოება, № 6.

სურმანიძე რ. — კლარა ცეტკინი აჭარაში, № 1.

ზარაშიძე ლ. — გუშნებარე ტელევიზიონის № 5.

ცევიტარია პ. — ოვითმყრობელობის წინააღმდეგ გმირული ბრძოლის ისტორიიდან, № 6.

საზღვარგარეთ

დოლიძე კ. — მოძმე ჩეხეთსლოვაკიის რესპუბლიკიში, № 4;

კულტურული ცხოვრების ქრონიკა, № 3.

სატირა და იუვორი

ბაზაძე ბ. — მანასე, № 1.

ლომინაძე ალ. — ობობა, № 3.

გეორგეველი ბ. — დედოფლის ცრემლი, № 4.

შერვაშიძე ა. — კოლო, № 1.

— ००—

სელმოწერილია დასაბეჭდად 30/XI, 1965 წ. საბჭდი 6, საგამოცემლო 5 თაბაქი, შეკვეთის № 8745, ემ 00606, ქაღალდის ზომა 60X90, ტირაჟი 1.600.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის
მთავარპოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9 (ლუქსემბურგის, 22).

3060 40 333.

Кулобе
зес реен
Библи
66

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ
„Литературули Аджара“
ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ
ИНДЕКС 76118